პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ც აკის ორგანო

№ 59 (5150) | კვირა, 13 მარტი, 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა ნება-სურვილი შესრულებულია. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მემარჯვენე-ტროცკისტ ბანდიტებს, ფაშიზმის პირსისხლიან აგენტებს, სამშობლოს საზიზღარ მოღალატეებს, ჯაშუშ-დივერსანტ-მავნებლებს ღირსეული განაჩენი გამოუტანა.

კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გარშემო.

ხალხის განაჩენი

დიდი საბჭოთა ხალხის მრისხანების მძლავრი ქარიშხალი დაატყდათ თავს სოციალიზმის უბოროტესს მტრებს, პირსისხლიანი ფაშიზმის საზიზღარ აგენტებს, სამშობლოს გამყიდველ ნაძირალებს, ჯაშუშებს, მკვლელებსა და დივერსანტებს; პროლეტარულმა მართლმსაჯულებამ აღასრულა მთელი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნა და „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" მონაწილე ბანდიტებს, შარაგზის ვერაგ ყაჩაღებს, კაპიტალიზმის რესტავრატორ გაიძვერებს გამოუტანა მათი შავბნელი საქმიანობის შესაფერი განაჩენი.

„მემარჯვენე-ტროცკისტულ ბლოკში" ერთ აშმორებულ სიდამპლედ გადაიხლართა ყოველგვარი სიბინძურე, — მემარჯვენეები და ტროცკისტები, მენშევიკები და ესერები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები და ყველა ჯურის ნაძირალები; მათი ბლოკი — ეს იყო სამშობლოს მოღალატეების, ჯაშუშების, დივერსანტების, მავნებლების, მკვლელებისა და პროვოკატორების უპრინციპო ბლოკი, რომელიც არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა იმისათვის, რომ ძირი გამოეთხარა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ბედნიერებისათვის.

მრავალგზის დაწყევლილმა ტროცკიმ, ბუხარინმა, რიკოვმა, იაგოდამ და მათი საზარელი ბანდის სხვა მონაწილეებმა თავიანთი ვერაგობითა და მუხანათობით, შავი, სისხლიანი, შემაძრწუნებელი საქმიანობით გადააჭარბეს ყოველგვარ საშინელ ბოროტმოქმედებებს, როგორსაც კი იცნობდა აქამდე კაცობრიობის ისტორია.

პროცესმა, რომლის მსვლელობას დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს მთელი ქვეყანა, მთელი სიზუსტით დაამტკიცა, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი" წარმოადგენდა სოციალიზმის სიძულვილით გაბოროტებულ შეთქმულთა ორგანიზაციას, რომელიც თავის დანაშაულებრივ მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლების აღდგენას, ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირისაგან ნაციონალური რესპუბლიკების ჩამოშორებას და მათ გადაქცევას იმპერიალისტების კოლონიებად.

პროცესმა უცილობლად დაამტკიცა, რომ ამ დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად „მემარჯვენე-ტროცკისტულ ბლოკს" სისტემატური უკანონო ურთიერთობა ჰქონდა უცხოეთის ზოგიერთ სახელმწიფოსთან, ეწეოდა ჯაშუშობას ამ სახელმწიფოთა სასარგებლოდ, ამარაგებდა მათ დაზვერვებს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საიდუმლო მასალებით.

პროცესმა სავსებით გამოამჟღავნა და დაადასტურა, რომ უცხო სახელმწიფოების დაზვერვათა პირდაპირი მითითებებით მემარჯვენე-ტროცკისტული ბანდის მონაწილეები სისტემატურად ახორციელებდნენ მავნებლურ და დივერსიულ აქტებს ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში; გერმანიის ჯაშუში ჩერნოვი შავბნელ, დამანგრეველ მუშაობას ეწეოდა სოფლის მეურნეობაში, ხოლო გერმანია-პოლონეთის ჯაშუში გრინკო — ფინანსების დარგში; ჯაშუში როზენგოლცი მავნებლობდა საგარეო ვაჭრობის სფეროში, ხოლო მეფის ოხრანკის აგენტი საზიზღარი ზელენსკი მინის ნამტვრევებსა და ლურსმნებს ჰყრიდა კარაქში, ვაგონობით ანადგურებდა კვერცხებს და ა. შ.

პროცესმა აბსოლუტური სიზუსტით დაამტკიცა, რომ მშრომელი ხალხის უბოროტესმა მტრებმა, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" მონაწილე ბანდიტებმა ჩაიდინეს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საზარელი და შემაძრწუნებელი დანაშაული: მათ ხელიდან გამოგვაცალეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილები, კომუნიზმის შეუდრეკელი, მგზნებარე მშენებლები — ს. მ. კიროვი, ვ. რ. მენჟინსკი, ვ. ვ. კუიბიშევი და მთელი მოწინავე, პროგრესიული კაცობრიობის საამაყო მწერალი ა. მ. გორკი, აგრეთვე მისი შვილი მ. ა. პეშკოვი.

საბჭოთა ხალხმა აღშფოთებით შეიტყო, რომ შენიღბული ფაშისტი გაიძვერები, რომლებსაც ცოფს ჰგვრიდა სოციალიზმის დიდი წარმატებები, არ კმაყოფილდებოდნენ მათ მიერ ჩადენილი გაუგონარი ბოროტმოქმედებებით და მიზნად ისახავდნენ ხელი აღემართათ მსოფლიო პროლეტარიატის გენიოსი ბელადის დიდი სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების სიცოცხლეზე.

სახელოვანმა საბჭოთა დაზვერვამ სტალინელი სახკომის ნ. ი. ეჟოვის ხელმძღვანელობით გამოამჟღავნა სამშობლოს მოღალატეთა, მკვლელთა, ჯაშუშთა, მავნებელთა და დივერსანტთა საზიზღარი ბანდის შავბნელი საქმიანობა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" საქმეზე გამოტანილი განაჩენი მთელი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი განაჩენია. ამიტომაა, რომ ამ განაჩენს მიესალმება ჩვენი ქვეყნის უკლებლივ ყველა პატიოსანი მშრომელი.

დიადი სტალინური კონსტიტუციის მზით გამთბარი ქვეყნის ხალხები ლენინ-სტალინის უძლეველი პარტიისა და ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად მიდიან წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ, და არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ეს დიადი მსვლელობა.

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" პროცესი

განაჩენი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ

შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე— სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარე არმიის სამხედრო იურისტი ვ. ვ. ულრიხი

წევრები:— სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე კორპუსის სამხედრო იურისტი ი. ო. მატულევიჩი და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის წევრი დივიზიის სამხედრო იურისტი ბ. ი. იევლევი

მდივანი— პირველი რანგის სამხედრო იურისტი ა. ა. ბატნერი

სახელმწიფო ბრალმდებლის—სსრ კავშირის პროკურორის ამხ. ა. ი. **ვიშინსკის** და დამცველთა მოსკოვის კოლეგიის წევრების ამხ. ამხ. ი. დ. **ბრაუდეს** და ნ. ვ. **კომოდოვის** მონაწილეობით ღია სასამართლო სხდომაზე, ქალაქ მოსკოვში 1938 წლის 2—13 მარტს განიხილა საქმე ბრალდებისა გამო:

1. ნიკოლოზ ივანეს-ძე **ბუხარინისა**, დაბადებული 1888 წ.
2. ალექსი ივანეს-ძე **რიკოვისა**, დაბადებული 1881 წ.
3. გენრიხ გრიგოლის-ძე **იაგოდასი**, დაბადებული 1891 წ.
4. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **კრესტინსკისა**, დაბადებული 1883 წ.
5. ქრისტიან გიორგის-ძე **რაკოვსკისა**, დაბადებული 1873 წ.
6. არკადი პავლეს-ძე **როზენგოლცისა**, დაბადებული 1889 წ.
7. ვლადიმერ ივანეს-ძე **ივანოვისა**, დაბადებული 1893 წ.
8. მიხეილ ალექსანდრეს-ძე **ჩერნოვისა**, დაბადებული 1891 წ.
9. გრიგოლ თედორეს-ძე **გრინკოსი**, დაბადებული 1890 წ.
10. ისაკ აბრამის-ძე **ზელენსკისა**, დაბადებული 1890 წ.
11. სერგეი ალექსის-ძე **ბესონოვისა**, დაბადებული 1892 წ.
12. აკმალ **იკრამოვისა**, დაბადებული 1898 წ.
13. ფაიზულა **ხოჯაევისა**, დაბადებული 1896 წ.
14. ვასილ თომას-ძე **შარანგოვიჩისა**, დაბადებული 1897 წ.
15. პროკოფი ტიმოთეს-ძე **ზუბარევისა**, დაბადებული 1886 წ.
16. პავლე პეტრეს-ძე **ბულანოვისა**, დაბადებული 1895 წ.
17. ლევ გრიგოლის-ძე **ლევინისა**, დაბადებული 1870 წ.
18. დიმიტრი დიმიტრის-ძე **პლეტნევისა**, დაბადებული 1872 წ.
19. ეგნატე ნიკოლოზის-ძე **კაზაკოვისა**, დაბადებული 1891 წ.
20. ბენიამინ ადამის-ძე (აბრამის-ძე) **მაქსიმოვ-დიკოვსკისა**, დაბადებული 1900 წ.
21. პეტრე პეტრეს-ძე **კრიუჩკოვისა**, დაბადებული 1889 წ.

— ყველასი დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58—1 ა, 58—2, 58—7, 58—8, 58—9 და 58-11 მუხლებით, ხოლო ივანოვისა, ზელენსკისა და ზუბარევისა, გარდა ამისა, იმ დანაშაულობებში, რომლებიც გათვალისწინებულია რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58—13 მუხლით.

წინასწარი და სასამართლოს ძიებით დადასტურებულია:

რომ ბრალდებულებმა ბუხარინმა, რიკოვმა, იაგოდამ, კრესტინსკიმ, როზენგოლცმა, გრინკომ, შარანგოვიჩმა, ხოჯაევმა, იკრამოვმა, ივანოვმა, ზუბარევმა, ზელენსკიმ და ჩერნოვმა, იყვნენ რა შეურიგებელი მტრები საბჭოთა ხელისუფლებისა, 1932—1933 წლებში სსრ კავშირის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი უცხო სახელმწიფოების დავალებით ჩამოაყალიბეს შეთქმულთა ჯგუფი სახელწოდებით „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი", რომელმაც გააერთიანა არალეგალური ანტისაბჭოთა ჯგუფები ტროცკისტებისა, მემარჯვენეებისა, ზინოვიეველებისა, მენშევიკებისა, ესერებისა, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, შუა აზიის რესპუბლიკების ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა.

„მემარჯვენე - ტროცკისტულმა ბლოკმა" თავის მიზნად დაისახა სსრ კავშირში არსებული სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების დამხობა, სსრ კავშირში კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიის ხელისუფლების აღდგენა დივერსიულ-მავნებლური, ტერორისტული, ჯაშუშურ-მოღალატური საქმიანობის გზით, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების ძირგამოთხრისკენ და რომელიც ხელს უწყობდა უცხოეთის აგრესორებს სსრ კავშირის დამარცხებასა და დანაწილებაში.

მოკლებულებმა ყოველგვარ დასაყრდენს სსრ კავშირის შიგნით, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" ხელმძღვანელებმა თავისი დანაშაულობრივი განზრახვების განხორციელების მიზნით ხალხის მტრის ლ. ტროცკის საშუალებით და ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" ცალკეულ მონაწილეთა საშუალებით დადეს შეთანხმება ზოგიერთი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებთან შეიარაღებული დახმარების შესახებ სსრ კავშირში საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად იმ პირობებით, რომ დაენაწილებინათ სსრ კავშირი და მისგან ჩამოეცილებინათ უკრაინა, ბელორუსია, პრიმორიე, შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკები—ნახსენებ უცხო სახელმწიფოთა სასარგებლოდ.

ეს მოღალატური შეთანხმება „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკისა" უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებთან გაადვილებული იყო იმით, რომ ანტისაბჭოთა შეთქმულობის ხელმძღვანელი მონაწილენი იყვნენ უცხოეთის დაზვერვის პირდაპირი აგენტები და მრავალი წლის განმავლობაში ახორციელებდნენ ჯაშუშურ საქმიანობას ამ დაზვერვების სასარგებლოდ.

კრესტინსკიმ ხალხის მტრის— გერმანიისა და ინგლისის დაზვერვების აგენტის ლ. **ტროცკის** პირდაპირი დავალებით გააბა მოღალატური კავშირი გერმანიის რაიხსვერთან 1921 წელს და გერმანიის ჯაშუში იყო თავის დაპატიმრების დღემდე 1937 წელს, იღებდა თავისი ჯაშუშური მუშაობისათვის და ტროცკისტული ორგანიზაციის დანაშაულობრივი საქმიანობის საწარმოებლად 250.000 გერმანულ მარკას ოქროთი ყოველწლიურად.

როზენგოლცმა თავისი ჯაშუშური მუშაობა გერმანიის გენერალური შტაბისათვის დაიწყო 1923 წელს, ინგლისის დაზვერვისათვის კი—1926 წელს.

რაკოვსკი იყო ინგლისის დაზვერვის აგენტი 1924 წლიდან და იაპონიის ჯაშუში 1934 წლიდან.

ჩერნოვმა ჯაშუშური მუშაობა დაიწყო გერმანიის სასარგებლოდ 1928 წელს, დაუკავშირდა რა გერმანიის დაზვერვას ცნობილი მენშევიკის — ემიგრანტ **დანის** ხელშეწყობით.

შარანგოვიჩი გადაბირებული და შემოგზავნილი იყო სსრ კავშირში ჯაშუშური მუშაობისათვის პოლონეთის დაზვერვის მიერ 1921 წელს და იყო პოლონეთის ჯაშუში თავისი დაპატიმრების დღემდე.

გრინკო იყო გერმანიისა და პოლონეთის ჯაშუში 1932 წლიდან.

ხალხის მტრის ლ. **ტროცკის** და „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" ხელმძღვანელი მონაწილეების — **ბუხარინის, რიკოვის** და **იაგოდას** დავალებით, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" წევრებმა — **როზენგოლცმა, კრესტინსკიმ, რაკოვსკიმ, გრინკომ** და **ბესონოვმა** აშკარა მოღალატური მიზნებით დაიჭირეს უშუალო ურთიერთობა სსრ კავშირის მიმართ მტრულად განწყობილი უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებთან და აწარმოებდნენ მათთან მოლაპარაკებას უცხოეთის აგრესორებისათვის დახმარების აღმოჩენის ფორმების შესახებ საბჭოთა კავშირზე მათი თავდასხმის შემთხვევაში (ტერორისტული და დივერსიულ - მავნებლური აქტების მოწყობა, ჯაშუშობა).

„მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" ხელმძღვანელებმა, მათ რიცხვში **რიკოვმა, ბუხარინმა** და **იაგოდამ,** არა თუ სავსებით იცოდნენ, თავის თანამონაწილეთა, ჯაშუშური საქმიანობა, არამედ ყოველნაირად აქეზებდნენ ჯაშუშური კავშირის გაფართოებას და თვითონ აძლევდნენ მითითებებს „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" მონაწილეებს, როცა ისინი მოღალატურ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან, აჩქარებდნენ უცხოეთის ინტერვენციის მომზადებას.

უცხოეთის დაზვერვათა პირდაპირი დირექტივებით „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" მონაწილეებმა მოაწყეს დივერსიულ-მავნებლური ჯგუფები, მოიცვეს რა ამ ჯგუფებით მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის და საქონელბრუნვის სისტემის საწარმოები და ეწეოდნენ დამანგრეველ საქმიანობას, ამასთან ამოცანად ისახავდნენ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების პარალიზებას და საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის დასუსტებას.

იაპონიის დაზვერვის მითითებებით „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" მონაწილეებმა მოაწყეს შორეულ აღმოსავლეთის მხარეში სამხედრო ტვირთიანი მატარებლის დამსხვრევა ვოლოჩაევკის სადგურზე და № 501 მატარებლისა ხორ-დორმიდონტოვკის გადასარბენზე, აგრეთვე ჩაიდინეს რამდენიმე დივერსია სუჩანის მაღაროებში. ყველა ამ დივერსიას მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი.

ხალხის მტრის ლ. **ტროცკის** დირექტივით და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან შეთანხმების საფუძველზე **როზენგოლცი** საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემაში ატარებდა მავნებლურ მუშაობას, რაც მიმართული იყო გერმანია და იაპონიისათვის დახმარების გაწევისაკენ და რასაც თან სდევდა ეკონომიური ზარალის მიყენება სსრ კავშირისათვის. ამას გარდა, როზენგოლცი სხვადასხვა სავალუტო კომბინაციების გზით სისტემატურად აფინანსებდა ტროცკის.

ჩერნოვმა გერმანიის დაზვერვის დავალებით და **რიკოვის** მითითებებით გამოიყენა თავისი საპასუხისმგებლო სამსახურებრივი მდგომარეობა სსრ კავშირის სამიწათმოქმედო ორგანოებში იმისათვის, რომ თავისი დამქაშების მეშვეობით მოეწყო მთელი რიგი დიდი დივერსიულ - მავნებლური აქტები სასოფლო - სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის შემცირების და სასოფლო - სამეურნეო სამობილიზაციო მარაგის გაფუჭების, ცხენების და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის შემცირების ხაზით, კერძოდ, ეპიზოოტიის ხელოვნურად გავრცელების გზით, ამასთან მარტო აღმოსავლეთ ციმბირში 1936 წელს, ამის შედეგად, დაიხოცა დაახლოებით 25.000 ცხენი.

გრინკო „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" ხელმძღვანელთა და გერმანიის დაზვერვის დავალებით იმ მიზნით, რომ გამოეწვია მოსახლეობის უკმაყოფილება და ამით გაეადვილებინა თავისი მომხრეების შოვნა, ფინანსთა სახალხო კომისარიატის სისტემაში ატარებდა ფართო მავნებლურ მუშაობას, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ აგვიანებდნენ ხელფასის გაცემას, შემნახველი სალაროები ცუდ მომსახურებას უწევდნენ მოსახლეობას, უკანონოდ ახდევინებდნენ გლეხებს ზოგიერთ გადასახადს და ატარებდნენ სხვა მავნებლურ ღონისძიებებს.

შარანგოვიჩმა, იყო რა ბელორუსიის ნაციონალ - ფაშისტური ორგანიზაციის ერთერთი ხელმძღვანელი, პოლონეთის დამზვერავი ორგანოების და „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" ხელმძღვანელების —**რიკოვისა** და სხვების დავალებით გაშალა ფართო დივერსიულ - მავნებლური საქმიანობა ბელორუსიის სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობისა და მრეწველობის დარგში, რითაც უადვილებდა აგრესორებს განეხორციელებინათ თავისი ამოცანები ბელორუსიის სს რესპუბლიკაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში.

იკრამოვმა და **ხოჯაევმა ბუხარინის** მითითებით გააჩაღეს დიდი დივერსიულ - მავნებლური მუშაობა უზბეკეთის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში იმ მიზნით რათა გამოეწვიათ მოსახლეობის უკმაყოფილება და ამით შეექმნათ იმის ხელსაყრელი პირობები, რომ უცხოეთის ინტერვენციის პერიოდში მოემზადებინათ შეიარაღებული გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ზელენსკიმ „ცენტროსოიუზში" და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში მოაწყო მავნებელთა ჯგუფები და მათი დახმარებით, მოსახლეობის უკმაყოფილების გამოწვევის მიზნით, არევ-დარევა შეჰქონდა საქონლის დაგეგმვაში, აფერხებდა საქონლის მიწოდებას სოფლისათვის, აფუჭებდა და ალპობდა საკვებ პროდუქტებს, ჰყრიდა მათში მუშასა და ლურსმანს, განზრახ ფუშავდა კოოპერაციის ძირეული სავაჭრო ქსელის უზრუნველყოფას პირველი საჭიროების საგნებით.

ივანოვი ბუხარინის დავალებით ატარებდა მავნებლურ - დივერსიულ მუშაობას ჩრდილო - კავკასიის სატყეო მეურნეობაში.

ზუბარევი, იყო რა მემარჯვენეთა არალეგალური ორგანიზაციის აქტიური მონაწილე, **რიკოვის** დავალებით ეწეოდა მავნებლობას რუსეთის სფს რესპუბლიკის მთელი რიგი ოლქების სოფლის მეურნეობაში.

აქტიურ დივერსიულ - მავნებლურ საქმიანობასთან ერთად, „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" მონაწილეები გერმანიის, იაპონიის და პოლონეთის დაზვერვათა დავალებით და **რიკოვისა** და **ბუხარინის** უშუალო ხელმძღვანელობით, **ივანოვის, ხოჯაევის, იკრამოვის, ზუბარევის, შარანგოვიჩის, გრინკოს** და **ზელენსკის** აქტიური მონაწილეობით ამზადებდნენ ციმბირში, ჩრდილო-კავკასიაში, უკრაინაში, ბელორუსიაში, უზბეკეთსა და საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში ბანდიტურ - საჯანყებო კულაკურ კადრებს, რათა მოეწყოთ შეიარაღებული გამოსვლები წითელი არმიის ზურგში სსრ კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის დაწყების მომენტისათვის.

ბანდიტურ - საჯანყებო კულაკური ბაზის გაფართოების მიზნით, „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, **ბუხარინმა** დაამყარა ორგანიზაციული კავშირი სსრ კავშირში მოქმედ ესერთა ორგანიზაციის არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტთან, აგრეთვე ესერთა საზღვარგარეთულ ცენტრალურ კომიტეტთან.

უცხოეთის დაზვერვებთან პირდაპირი შეთანხმებით და ხალხის მტრის ლ. **ტროცკის** დავალებით „მემარჯვენე-ტროცკისტულმა ბლოკმა" მოაწყო მთელი რიგი ტერორისტული აქტები საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ.

1934 წელს „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მონაწილემ **რიკოვმა** პირადად შექმნა ტერორისტული ჯგუფი ამხანაგების სტალინის, მოლოტოვის, კაგანოვიჩისა და ვოროშილოვის მიმართ ტერორისტული აქტების მოსამზადებლად და მოსახდენად.

1937 წლის აგვისტოში **როზენგოლცი** პირადად ცდილობდა მოეხდინა ტერორისტული აქტი ამხანაგ სტალინის მიმართ, რისთვისაც არაერთხელ შეეცადა რომ იგი მიეღო მას.

ს. მ. კიროვის ავაზაკური მოკვლა, რაც 1934 წლის 1 დეკემბერს განახორციელა ლენინგრადის ტროცკისტულ - ზინოვიევურმა ტერორისტულმა ცენტრმა, როგორც ეს ამ საქმის გამო წინასწარი და სასამართლო გამოძიებით დადასტურდა, მოწყობილი იყო „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" გადაწყვეტილებით, ამასთანავე ამ ტერორისტული აქტის მოწყობაში უშუალო მონაწილეობას იღებდა ბრალდებული **იაგოდა,** რომელმაც სპეციალური მითითებანი მისცა შინსახკომის ლენინგრადის სამმართველოში მომუშავე თავის თანამონაწილეებს ხელი არ შეეშალათ ამ ბოროტმოქმედების ჩადენისათვის.

ხალხის მტრის ლ. **ტროცკის** მითითებით „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" ხელმძღვანელებმა 1934 წელს მიიღეს გადაწყვეტილება დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის მოკვლის შესახებ. ამ საშინელი ტერორისტული აქტის მოწყობა დაევალა **იაგოდას,** რომელმაც შეთქმულობის მიზნები გაანდო მ. გორკის შინაექიმს — დოქტორ **ლევინს,** ხოლო შემდეგ ექიმ **პლეტნევს,** დაავალა მათ მკურნალობის მავნებლური მეთოდების გზით გამოეწვიათ მ. გორკის სიკვდილი, რაც შესრულებულ იქნა ამ დანაშაულობრივ საქმეში ექიმ **ლევინის** ხელმძღვანელი მონაწილეობით. ამ ბოროტმოქმედებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" მონაწილენი ყოფ. მდივანი მ. გორკისა— **კრიუჩკოვი** და შინსახკომის ყოფ. მდივანი — **ბულანოვი.**

„მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით **იაგოდამ** მკურნალობის მავნებლური მეთოდებით მოაწყო გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარის ამხ. ვ. რ. მენჟინსკის და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვ. ვ. კუიბიშევის მოკვლა, ამასთანავე ამხ. **კუიბიშევის** მიმართ ტერორისტული აქტის მოხდენაში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ **ლევინი** და **კუიბიშევის** ყოფ. მდივანი, მემარჯვენეთა არალეგალური ორგანიზაციის მონაწილე 1928 წლიდან **მაქსიმოვ-დიკოვსკი,** ხოლო ვ. რ. მენჟინსკის მიმართ ტერორისტული აქტის მოხდენაში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ **ბულანოვი** და **იაგოდასა** და **ლევინის** მიერ შეთქმულთა ჯგუფში გადაბირებული ექიმი **კაზაკოვი.**

გარდა ამისა, დადასტურებულია, რომ **ლევინმა** და **კრიუჩკოვმა იაგოდას** პირდაპირი დავალებით მკურნალობის მავნებლური მეთოდებით მოჰკლეს ა. მ. გორკის შვილი — მ. ა. პეშკოვი.

იმასთან დაკავშირებით, რომ 1936 წლის სექტემბერში ამხანაგი ნ. ი. ეჟოვი დაინიშნა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, „მემარჯვენე - ტროცკისტულმა ბლოკმა", ეშინოდა რა ანტისაბჭოთა კადრების სრული გამომჟღავნებისა და განადგურებისა, **დაავალა იაგოდას** მოეხდინა ტერორისტული აქტი ამხ. ნ. ი. ეჟოვის მიმართ.

ამ ავაზაკური დავალების შესასრულებლად **იაგოდამ ბულანოვის** უშუალო მონაწილეობით 1936 წლის შემოდგომაზე განიზრახა ამხ. ნ. ი. ეჟოვის მოკვლა ისეთი გზით, როგორიც იყო მისი ორგანიზმის თანდათანობით მოწამვლა ამისათვის სპეციალურად მომზადებული შხამით, რამაც საგრძნობი ზიანი მიაყენა ნ. ი. ეჟოვის ჯანმრთელობას.

გარდა ამისა, დადასტურებულია, რომ **ბუხარინი** მემარჯვენეთა ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ცენტრის გადაწყვეტილებით ჯერ კიდევ 1930 წელს შეუთანხმდა ესერთა რაზმელს—ამხ. ვოლოდარსკის მოკვლისა და 1918 წელს ვ. ი. ლენინზე თავდასხმის ორგანიზატორს სემიონოვს იმის შესახებ, რომ მას შეექმნა მთელი რიგი ტერორისტული ჯგუფები საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოსამზადებლად და მოსახდენად.

აგრეთვე დადასტურებულია, რომ 1918 წელს **ბუხარინმა** და „მემარცხენე კომუნისტთა" ჯგუფმა, რომელსაც იგი მეთაურობდა, ტროცკისთან და „მემარცხენე" ესერებთან ერთად მოაწყეს შეთქმულობა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

ბუხარინი და მისი დამქაშები შეთქმულობის ხაზით მიზნად ისახავდნენ ჩაეშალათ ბრესტის ხელშეკრულება, დაემხოთ საბჭოთა მთავრობა, დაეპატიმრებინათ და მოეკლათ ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი და ი. მ. სვერდლოვი და შეედგინათ ახალი მთავრობა ბუხარინელებისა, ტროცკისტებისა და „მემარცხენე" ესერებისაგან.

ასრულებდნენ რა შეთქმულობის გეგმას, „მემარცხენე" ესერებმა 1918 წლის ივლისში **ბუხარინის** დასტურითა და თანხმობით, მოაწყეს მოსკოვში აჯანყება საბჭოთა მთავრობის დამხობის მიზნით. ამასთან დადასტურებულია, რომ ვ. ი. ლენინზე თავდასხმა, რაც ესერმა ქალმა კაპლანმა მოახდინა 1918 წლის 30 აგვისტოს, წარმოადგენდა **ბუხარინის** მეთაურობით „მემარცხენე კომუნისტთა" და მათ დამქაშთა „მემარცხენე" და მემარჯვენე ესერთა დანაშაულობრივი განზრახვების პირდაპირ შედეგს.

წინასწარი და სასამართლო გამოძიებით დადასტურებულია, რომ ამ საქმის გამო ბრალდებულნი — **ზელენსკი, ივანოვი** და **ზუბარევი** მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობასთან ბრძოლის გზას ჯერ კიდევ ცარიზმის წლებში დაადგნენ.

ზელენსკი იყო ჟანდარმთა სამარის სამმართველოს აგენტი - პროვოკატორი 1911-დან 1913 წლამდე.

ივანოვი იყო ოხრანკის განყოფილებისა და ჟანდარმთა სამმართველოს აგენტი - პროვოკატორი მოსკოვსა და სხვა ქალაქებში 1911-დან 1916 წლამდე.

ზუბარევი გადაბირებულ იქნა აგენტ - პროვოკატორად ქ. კოტელნიჩიში 1908 წელს, ეწეოდა პროვოკატორულ საქმიანობას 1917 წლამდე.

ამრიგად **სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ** დაადასტურა, რომ: **1. ნ. ი. ბუხარინი, 2. ა. ი. რიკოვი, 3. გ. გ. იაგოდა, 4. ნ. ნ. კრესტინსკი, 5. ქ. გ. რაკოვსკი, 6. ა. პ. როზენგოლცი, 7. ვ. ი. ივანოვი, 8. მ. ა. ჩერნოვი, 9. გ. თ. გრინკო, 10. ი. ა. ზელენსკი, 11. ს. ა ბესონოვი, 12. ა. იკრამოვი, 13. ფ. ხოჯაევი, 14. ვ. თ. შარანგოვიჩი, 15. პ. ტ. ზუბარევი, 16. პ. პ. ბულანოვი, 17. ლ. გ. ლევინი, 18. დ. დ. პლეტნევი, 19. ე. ნ. კაზაკოვი, 20. ბ. ა. მაქსიმოვ-დიკოვსკი** და **21. პ. პ. კრიუჩკოვი** დამნაშავენი არიან იმაში, რომ ისინი, იყვნენ რა აქტიური მონაწილენი „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" სახელწოდებით არსებული შეთქმულთა ჯგუფისა, რომელიც მოქმედებდა უცხოეთის სახელმწიფოთა დაზვერვების პირდაპირი დავალებებით, ატარებდნენ მოღალატურ - ჯაშუშურ, დივერსიულ - მავნებლურ, ტერორისტულ საქმიანობას, ეწეოდნენ რა სსრ კავშირზე ამ სახელმწიფოების სამხედრო თავდასხმის პროვოცირებას, რათა გამოეწვიათ საბჭოთა კავშირის დამარცხება და დანაწილება და მისგან უკრაინის, ბელორუსიის, შუა აზიის რესპუბლიკების, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, შორეული აღმოსავლეთის პრიმორიეს ჩამოცილება— სსრ კავშირისადმი მტრულად განწყობილ უცხო სახელმწიფოთა სასარგებლოდ, საბოლოო მიზნად ისახავდნენ რა სსრ კავშირში არსებული სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დამხობას და სსრ კავშირში კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიის ხელისუფლების აღდგენას, ე. ი. იმ უმძიმეს სახელმწიფო დანაშაულობათა ჩადენაში, რაც გათვალისწინებულია **რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 ა, 58-2, 58-7, 58-8, 58-9** და **58-11** მუხლებით, ხოლო **ივანოვი, ზელენსკი** და **ზუბარევი,** გარდა ამისა, იმ დანაშაულობათა ჩადენაში, რაც გათვალისწინებულია **რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-13** მუხლით.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე და იხელმძღვანელა რა რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 319 და 320 მუხლებით, **სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ**

მიუსაჯა:

1. ნიკოლოზ ივანეს-ძე **ბუხარინს,**
2. ალექსი ივანეს-ძე **რიკოვს,**
3. გენრიხ გრიგოლის-ძე **იაგოდას,**
4. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **კრესტინსკის,**
5. არკადი პავლეს-ძე **როზენგოლცს,**
6. ვლადიმერ ივანეს-ძე **ივანოვს,**
7. მიხეილ ალექსანდრეს-ძე **ჩერნოვს,**
8. გრიგოლ თედორეს-ძე **გრინკოს,**
9. ისაკ აბრამის-ძე **ზელენსკის,**
10. აკმალ **იკრამოვს,**
11. ფაიზულა **ხოჯაევს,**
12. ვასილ თომას-ძე **შარანგოვიჩს,**
13. პროკოფი ტიმოთეს-ძე **ზუბარევს,**
14. პავლე პეტრეს-ძე **ბულანოვს,**
15. ლევ გრიგოლის-ძე **ლევინს,**
16. ეგნატე ნიკოლოზის-ძე **კაზაკოვს,**
17. ბენიამინ ადამის-ძე (აბრამის-ძე) **მაქსიმოვ-დიკოვსკის** და
18. პეტრე პეტრეს-ძე **კრიუჩკოვს** —

— სისხლის სამართლის სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, პირადად მათი კუთვნილი მთელი ქონების კონფისკაციით.

19. დიმიტრი დიმიტრის-ძე **პლეტნევს,** რომელიც უშუალო აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა ამხ. ვ. ვ. კუიბიშევისა და ა. მ. გორკის მკვლელობაში, თუმცა ხელი შეუწყო ამ დანაშაულს — **პატიმრობა ოცდახუთი წლით** და პატიმრობის მოხდის შემდეგ პოლიტიკური უფლებების აყრა ხუთი წლით და მთელი პირადად მისი კუთვნილი ქონების კონფისკაცია.

20. ქრისტიან გიორგის-ძე **რაკოვსკის** და

21. სერგეი ალექსის-ძე **ბესონოვს**—რომელნიც პირდაპირ მონაწილეობას არ იღებდნენ ტერორისტულ და დივერსიულ - მავნებლურ მოქმედებათა მოწყობაში — **პატიმრობა ვადით: რაკოვსკის ოცი წლით და ბესონოვს თხუთმეტი წლით** და პატიმრობის მოხდის შემდეგ პოლიტიკური უფლებების აყრა თვითეულისათვის ხუთი წლით და მთელი მათი პირადად კუთვნილი ქონების კონფისკაცია.

პატიმრობის ვადა პლეტნევს, რაკოვსკისა და ბესონოვს ჩაეთვალოს მათი დაპატიმრების დღიდან.

თავმჯდომარე — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარე — არმიის სამხედრო იურისტი
ვ. ულრიხი.

წევრები:
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე, კორპუსის სამხედრო იურისტი
ი. მატულევიჩი.
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის წევრი, დივიზიის სამხედრო იურისტი
ბ. იევლევი.

დღეს ჩვენს გაზეთში 6 გვერდია.
მორიგი ნომერი გამოვა 15 მარტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" პროცესი

11 მარტის დილის სხდომა

სახელმწიფო ბრალმდებლის—სსრ კავშირის პროკურორის ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა*

ამ პროცესის თავისებურებანი

ამხანაგო, მოსამართლენო, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის წევრნო!

ვიწყებ რა ჩემს საბრალდებო სიტყვას ამ საქმეზე, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებულ მოვლენას, რომელსაც უაღრესად დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, მე მსურდა უწინარეს ყოვლისა შემეჩერებინა თქვენი ყურადღება ამ საქმის ზოგიერთ განმასხვავებელ თვისებაზე, მის ზოგიერთ თვალსაჩინო თავისებურებაზე.

ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასამართლო პირველად როდი იხილავს საქმეს უაღრესად მძიმე დანაშაულობათა შესახებ, რომლებიც მიმართულია ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობის წინააღმდეგ, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს — მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს წინააღმდეგ. მაგრამ არა მგონია შევცდე, თუ ვიტყვი, რომ ჩვენს სასამართლოს პირველად უხდება განიხილოს ისეთი საქმე, როგორიც ეს არის, განიხილოს საქმე ისეთ დანაშაულობათა და ისეთ ბოროტმოქმედებათა შესახებ, როგორიც არიან ის დანაშაულობანი და ბოროტმოქმედებანი, რომელთაც ჩაიარეს თქვენს თვალწინ, რომელთაც ჩაიარეს ამ სასამართლოში მთელი მსოფლიოს თვალწინ, ისეთი დამნაშავეების შესახებ, როგორიც არიან ეს დამნაშავეები, რომელნიც ამჟამად ბრალდებულთა სკამზე სხედან თქვენს წინაშე.

მართლაც, ყველა იმ სასამართლო პროცესთაგან, რომლებიც, კლასთა ბრძოლის პირობებისა და ჩვენი მტრების მხრით სოციალიზმის საქმისათვის გაათთრებული წინააღმდეგობის გამო, ამ უკანასკნელ ხანს დიდი რაოდენობით ჩატარდა, რომელ სასამართლო პროცესს შეუძლია შეედაროს ამ პროცესს იმ დანაშაულობათა საშინელებებით, თავხედობითა და ცინიზმით, რომლებიც ამ ვაჟბატონებმა ჩაიდინეს!

რომელ სხვა პროცესში მოხერხდა გამოგვეაშკარავებინა და აღმოგვეჩინა ასეთი ძალითა და სიღრმით ამ დანაშაულობათა ნამდვილი ბუნება, ასეთი ძალით ჩამოგვეგლიჯა არამზადების სახეზე მათი ვერაგული ნიღბები და დაგვენახვებინა მთელი ჩვენი ხალხისათვის და მთელი მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანისათვის მხეცური სახე საერთაშორისო ყაჩაღთა, რომელთაც ოსტატურად და მოხერხებულად აღუმართავთ ავაზაკური ხელი ჩვენი მშვიდობიანი სოციალისტური შრომის წინააღმდეგ, შრომისა, რომელმაც აგო ბედნიერი და სასიხარულოდ აყვავებული მუშათა და გლეხთა სოციალისტური საზოგადოება!

უკვე მარტო ეს გარემოება საკმაო სიცხადით ლაპარაკობს ამ პროცესის უდიდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ, იმის შესახებ, რომ ეს პროცესი წარმოადგენს განსაკუთრებულ მოვლენას, რომ ამ პროცესს **ისტორიული მნიშვნელობა** აქვს.

რაში მდგომარეობს ამ პროცესის ისტორიული მნიშვნელობა?, რაში მდგომარეობს მისი ზოგიერთი თავისებურებანი?

ამ პროცესის ისტორიული მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ ამ პროცესზე განსაკუთრებული გულმოდგინებითა და სიზუსტით არის ნაჩვენები, დამტკიცებული, დადასტურებული, რომ **მემარჯვენეები, ტროცკისტები, მენშევიკები, ესერები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები და სხვანი და მისთანანი**, სხვას არაფერს წარმოადგენენ თუ არ მკვლელთა, ჯაშუშთა, დივერსანტთა და მავნებელთა უპრინციპო, უიდეო ბანდას.

სწორედ ერთი წლის წინათ ამხანაგი სტალინი, ანალიზს უკეთებდა რა ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებს და მიგვითითებდა რა ტროცკისტი და სხვა ორგულების ლიკვიდაციის ღონისძიებებზე, ამბობდა:

„ორი სიტყვა მავნებლებზე, დივერსანტებზე, ჯაშუშებზე და სხვ. მე ვფიქრობ, ახლა ყველასათვის ნათელია, რომ ახლანდელი მავნებლები და დივერსანტები, რა ბაირაღითაც უნდა ინიღბებოდნენ ისინი, ტროცკისტულითა თუ ბუხარინულით, უკვე დიდი ხანია აღარ არიან პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა მოძრაობაში, რომ ისინი გადაიქცნენ პროფესიულ მავნებელთა, დივერსანტთა, ჯაშუშთა, მკვლელთა უპრინციპო და უიდეო ბანდად. გასაგებია, რომ მოგვიხდება ამ ვაჟბატონების ულმობელად განადგურება და აღმოფხვრა, როგორც მუშათა კლასის მტრებისა, როგორც ჩვენი სამშობლოს მოღალატეებისა. ეს ნათელია და შემდგომ განმარტებებს არ საჭიროებს".

გავიდა წელიწადი. ამ პროცესის მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, რა ღრმად მართალი იყო ამხანაგი სტალინი თავის შეფასებაში ტროცკისტებისა და ბუხარინელებისა.

ტროცკისტები და ბუხარინელები, ესე-იგი „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი", რომლის ზედაფენა ახლა ბრალდებულთა სკამზე ზის,—ეს პოლიტიკური პარტია კი არ არის, პოლიტიკური მიმდინარეობა კი არ არის, ეს არის ბანდა სისხლის სამართლის დამნაშავეებისა, და არა მარტო სისხლის სამართლის დამნაშავეებისა, არამედ ისეთი დამნაშავეებისა, რომელნიც მიჰყიდნენ მტრების დაზვერვებს, დამნაშავეებისა, რომლებსაც სისხლის სამართლის დამნაშავენიც კი აბუჩად იგდებენ როგორც ყველაზე ზნედაცემულებს, ყველაზე უკანასკნელებს, საზიზღრებს, გახრწნილთა შორის ყველაზე გახრწნილებს.

ეგრეთწოდებული „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი"—ეს არის შპიონაჟის, დივერსიების, მავნებლობის, პოლიტიკური მკვლელობების და მტრებისათვის თავისი სამშობლოს მიყიდვის ორგანიზაცია.

ბლოკს არაფერი იდეური, არაფერი, ასე ვთქვათ, „სულიერი", არაფერი იდეოლოგიური არ მოეპოვება. რაც ამ ბლოკის ზოგიერთ მონაწილეს ოდესღაც მცირეოდნად მოეპოვებოდა, ის დიდი ხანია გაქარწყლდა, დაიკარგა, დიდი ხანია გაჰქრა, გაიხრწნა აყროლებულ საზიზღარ ჯაშუშურ არალეგალობაში.

მართალია, ზოგიერთი ბრალდებულთაგანი, განსაკუთრებით ბრალდებული ბუხარინი, ამ პროცესზე არაერთხელ ცდილობდა შეენარჩუნებინა, როგორც ფრანგები იტყვიან, კარგი გამომეტყველება ცუდი თამაშის დროს, მიეღო „იდეურ" ადამიანთა სახე, დაეფარა თავისი ბანდიტური სისხლის სამართლის საქმიანობა ყოველგვარი „ფილოსოფიური", „იდეოლოგიური" და სხვა ამგვარი ლაპარაკით.

ბუხარინი აქ ცდილობდა თავის საზიზღარ დანაშაულობათა მთელი კოშმარი დაეყვანა რაღაც „იდეურ მიზანდასახულობებამდე", რომელთა შესახებაც ის გრძელი მაღალფარდოვანი სიტყვების წარმოთქმას ლამობდა. ბუხარინი აქ ლაპარაკობდა შრომის განაწილებაზე ამ ჯაშუშურ-მავნებლურ ორგანიზაციაში, რაღაც „საპროგრამო პუნქტებზე", რაღაც „იდეური ორიენტაციის" შესახებ, თუმცა—დასძინდა იგი—კულაკობაზე იდეური ორიენტაციის შესახებ.

ბუხარინი, რომელსაც ხელში სწვდნენ, რომელსაც დანაშაულზე წაასწრეს, იმოწმებს თვით ჰეგელს, იჭრება ლინგვისტიკის, ფილოლოგიისა და რიტორიკის ბარდებში, ბუტბუტებს რაღაც სწავლულ სიტყვებს, ოღონდ კი როგორმე კვალი დაჰფაროს. მაგრამ იგი ბოლომდე ვერ იცავს ამ კილოს და თავის სწავლულ ბოდვა-ტიტინს ამთავრებს აღიარებით:

„ჩვენ ყველანი გადავიქეცით გაავთრებულ კონტრრევოლუციონერებად, სოციალისტური სამშობლოს მოღალატეებად, ჩვენ გადავიქეცით ჯაშუშებად, ტერორისტებად, კაპიტალიზმის რესტავრატორებად. ჩვენ წავედით მავნებლობაზე, დანაშაულობაზე, ღალატზე. ჩვენ გადავიქეცით საავაზაკო რაზმად, ვაწყობდით ტერორისტულ ჯგუფებს, ვეწეოდით მავნებლობას, გვინდოდა დაგვემხო პროლეტარიატის საბჭოთა ხელისუფლება".

ბუხარინს ამისთვის უნდა დაემატებინა: „ჩვენ გადავიქეცით იაპონია-გერმანიის დაზვერვის პოლიციურ განყოფილებად, ჩვენ გადავიქეცით სამშობლოს უსირცხვილო გამყიდველებად".

ბლოკი—ეს არის უცხოეთის დაზვერვათა აგენტურა. ბლოკის წევრები და მისი ხელმძღვანელები, როგორიცაა ტროცკი, რომელიც არ ზის აქ ბრალდებულთა სკამზე, ბუხარინი, რიკოვი, იაგოდა, კრესტინსკი, როზენგოლცი და მისი რიგითი წევრები, როგორც ზუბარევი, მაქსიმოვ-დიკოვსკი და სხვები—ესენი არიან ამ დაზვერვათა მონები, ესენი არიან თავიანთი ბატონების ყურმოჭრილი ყმები.

ფილოსოფია და შპიონაჟი, ფილოსოფია და მავნებლობა, ფილოსოფია და დივერსია, ფილოსოფია და მკვლელობანი—როგორც გენია და ავაზაკობა—ორი შეუთავსებელი რამაა!

მე არ ვიცი სხვა მაგალითი,—ეს პირველი მაგალითია ისტორიაში იმისა, რომ ჯაშუში და მკვლელი იყენებს ფილოსოფიას, როგორც დაფხვნილ მინას, რათა თვალში შეაყაროს თავის მსხვერპლს, სანამ მას თავს გაუხეთქდეს ყაჩაღური ხელკეტით!

„მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი"—უცხოეთის დაზვერვათა აგენტურა

„მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი", რომელიც ამჟამად ბრალდებულთა სკამზე ზის, — როგორც ეს მთელი სიცხადით დაგვანახვა სასამართლო გამოძიებამ,—ეს არის მხოლოდ მოწინავე რაზმი საერთაშორისო ფაშიზმისა, ეს არის ჯალათთა და მალულ მკვლელთა ხროვა, რომელთა დახმარებით მოქმედებს ფაშიზმი სხვადასხვა ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა ესპანეთსა და ჩინეთში.

აი რატომ არის, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის", როგორც ჯაშუშთა ბანდის, მხილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი სოციალისტური რევოლუციისათვის, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი საერთაშორისო პროლეტარიატისათვის.

ამ მხილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანობის საქმისათვის მთელ მსოფლიოში მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობის კულტურისათვის, ნამდვილი დემოკრატიისათვის და ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში, ბრძოლისათვის ომის ყველა და ყოველგვარი გამჩაღებლების წინააღმდეგ, ყველა საერთაშორისო პროვოკაციებისა და პროვოკატორების წინააღმდეგ.

აი რატომ ადევნებენ გულისფანცქალით თვალყურს ამ პროცესის მსვლელობას მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელი მასები, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებისა, სადაც ხალხი გმირულ ბრძოლას აწარმოებს თავისი თავისუფლებისათვის ფაშისტების უღლის წინააღმდეგ.

ბუხარინები და რიკოვები, იაგოდები და ბულანოვები, კრესტინსკები და როზენგოლცები, იკრამოვები, შარანგოვიჩები, ხოჯაევები და სხვები—ეს იგივე მეხუთე კოლონაა, ეს იგივე პოუმია, ეს იგივე კუკლუქს-კლანია. ეს ფაშისტური პროვოკატორებისა და ომის გამჩაღებლების ერთერთი რაზმია, რომლებიც საერთაშორისო სარბიელზე მოქმედებენ.

ამ რაზმის გაცამტვერება დიდი დამსახურებაა მშვიდობიანობის საქმის, დემოკრატიის საქმის, კაცობრიობის ნამდვილი კულტურის საქმის წინაშე.

მაგრამ ამ პროცესის განსაკუთრებული მნიშვნელობა თქმულით არ შემოიფარგლება.

აქ, ბრალდებულთა სკამზე ზის არა ერთი რომელიმე ანტისაბჭოთა ჯგუფი, არა ერთი რომელიმე უცხო დაზვერვის აგენტურა. აქ, ბრალდებულთა სკამზე სხედან მთელი რიგი ანტისაბჭოთა ჯგუფები, რომლებიც წარმოადგენენ სსრკ წინააღმდეგ მტრულად განწყობილი მთელი რიგი უცხო სახელმწიფოების დაზვერვათა აგენტურას.

ამ „საქმეში" ჩაეფლნენ ყველა ანტისაბჭოთა ძალების, ჯგუფებისა და ორგანიზაციების ნაშთები, ჩაეფლნენ, სულ მცირე, როგორც ეს ზუსტად დადასტურებულია სასამართლოს გამოძიებით, ოთხი უცხო დაზვერვა: იაპონური, გერმანული, პოლონური და ინგლისური და, რასაკვირველია, ყველა სხვა უცხო დაზვერვანი, რომელთაც აღნიშნულ დაზვერვებთან გაბმული აქვთ მეგობრული, ეგრეთწოდებული, ოპერატიული კონტაქტი.

მართლაც, თუ ტროცკის შესახებ ვილაპარაკებთ, მისი კავშირი გესტაპოსთან ამომწურავად იყო დამტკიცებული უკვე ტროცკისტ-ზინოვიეველების ტერორისტული ცენტრის პროცესზე 1936 წლის აგვისტოში და ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესზე 1937 წლის იანვარში. ახლა კი დამტკიცებულია, რომ მისი კავშირი გერმანიის პოლიტიკურ პოლიციასთან და სხვა ქვეყნების დაზვერვებთან ეკუთვნის უკვე მნიშვნელოვნად უფრო ადრინდელ პერიოდს, რომ ტროცკი დაკავშირებული იყო გერმანიის დაზვერვასთან უკვე 1921 წლიდან. ამის შესახებ სავსებით ზუსტად მოგვცა ჩვენება კრესტინსკიმ ამ სასამართლოს პროცესზე. ახლა დამტკიცებულია, რომ ტროცკი დაკავშირებული იყო ინგლისის დაზვერვასთან „ინტელიჯენს-სერვისთან" 1926 წლიდან. ამის შესახებ ზუსტად გვიჩვენა,—და ეს დამტკიცებულია,—ბრალდებულმა რაკოვსკიმ მთელი ბლოკი ტროცკის მეთაურობით მთლიანად შესდგებოდა მხოლოდ უცხოელი ჯაშუშებისა და მეფის ოხრანკის წევრებისაგან.

ბუხარინი და რიკოვი თავის თანამზრახველთა საშუალებით დაკავშირებული იყვნენ მთელ რიგ უცხოეთის დაზვერვებთან, რომლებსაც ისინი სისტემატურ მომსახურებას უწევდნენ.

იაგოდას ბუზივით ეხვივნენ გერმანიის, იაპონიისა და პოლონეთის ჯაშუშები, რომლებსაც იგი არა მარტო ჰფარავდა, როგორც თვითონ მან აღიარა აქ, არამედ რომელთა საშუალებითაც იგი აწარმოებდა ჯაშუშურ მუშაობას, აწვდიდა დაზვერვებს საიდუმლო სახელმწიფო მასალებს, ეწეოდა ჩვენი ქვეყნის გაყიდვას და გაცემას უცხოეთის ამ დაზვერვებზე.

კრესტინსკი, მისივე აღიარებით,— გერმანიის ჯაშუშია 1921 წლიდან.

როზენგოლცმა — ტროცკისტული არალეგალური მუშაობის ერთერთმა ხელმძღვანელმა, როგორც დადასტურებულია, თავისი ჯაშუშური მუშაობა დაიწყო გერმანიის გენერალური შტაბისათვის, როგორც მან თვითონ აღიარა, 1923 წელს, ხოლო ინგლისის დაზვერვისათვის, როგორც იგი თვითონვე გამოტყდა ამ დანაშაულობაში,—1926 წელს.

რაკოვსკი—ტროცკის ერთერთი უახლოესი და განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირი, მისივე საკუთარი ჩვენებით, ინგლისის დაზვერვის „ინტელიჯენს-სერვისის" აგენტი იყო 1924 წლიდან და იაპონიის დაზვერვის აგენტი 1934 წლიდან.

ჩერნოვმა თავისი ჯაშუშური მუშაობა გერმანიის სასარგებლოდ, მისივე საკუთარი ჩვენებით, დაიწყო 1928 წელს, კავშირი გააბა რა გერმანიის დაზვერვასთან საკმაოდ ცნობილი ემიგრანტის — მენშევიკ დანის ინიციატივითა და ხელშეწყობით.

შარანგოვიჩი პოლონეთის დაზვერვამ გადაიბირა და ჯაშუშური მუშაობისათვის სსრ კავშირში გადმოგზავნა 1921 წელს.

გრინკო, მისივე საკუთარი სიტყვით, გერმანიისა და პოლონეთის დაზვერვათა ჯაშუში გახდა 1932 წელს, ხოლო მანამდე ჯაშუშური კავშირი ჰქონდა ამ დაზვერვებთან, განსაკუთრებით პოლონეთის დაზვერვასთან.

იკრამოვი და ხოჯაევი თავიანთი ყურბაშების საშუალებით „მუშაობენ" ბუხარინის ხელმძღვანელობით ინგლისის დაზვერვის რეზიდენტებთან კავშირის გასაბმელად, იმ დაზვერვასთან, რომლის განმტკიცებაზე ცოტა კი არ იმუშავა სსრ კავშირის შუა აზიის საზღვრებზე საკმაოდ ცნობილმა მზვერავმა და ავანტიურისტმა ლოურენსმა.

შემდეგ მოდიან მეფის ოხრანკის პროვოკატორები და აგენტები — ზელენსკი, ზუბარევი, ივანოვი. ივანოვი ამასთან ინგლისის ჯაშუშიცაა.

მიუმატეთ ამ კომპანიას მომწამლავთა—მკვლელთა ჯგუფი: ლევინი, პლეტნევი, კაზაკოვი, კრიუჩკოვი, მაქსიმოვ-დიკოვსკი და სხვები, რომელნიც დაკავშირებული იყვნენ მათთან, და მაშინ ამ ბლოკის და მისი თვითეული მონაწილის მორალურ-პოლიტიკური სახე სავსებით ცხადი გახდება.

აი რატომ შეგვიძლია ჩვენ ვთქვათ — აი აშმორებული გროვა ადამიანთა ნაძირალებისა, რომელნიც არაფერს არ ერიდებოდნენ, არაფერს არ თაკილობდნენ, მზად იყვნენ ყველაფრისათვის—ქარხნებისა და რკინიგზის მატარებლების აფეთქებისათვის, პირუტყვის განადგურებისათვის, პურის გაფუჭებისათვის, მკვლელობისათვის, ჯაშუშობისა და ღალატისათვის.

მთელი მსოფლიოს წინაშე ახლა ფარდა ეხდება ბუხარინების, იაგოდების, კრესტინსკების, რიკოვების და სხვა მემარჯვენე-ტროცკისტების საზიზღარ, გამცემლურ, ბანდიტურ საქმიანობას. ისინი ჰყიდდნენ სამშობლოს, ვაჭრობდნენ მისი თავდაცვის სამხედრო საიდუმლოებებით. ისინი იყვნენ ჯაშუშები, დივერსანტები, მავნებლები, მკვლელები, ქურდები—და ყოველივე ეს იმისათვის, რომ დახმარებოდნენ ფაშისტურ მთავრობებს — დაემხოთ საბჭოთა მთავრობა, დაემხოთ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, აღედგინათ კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალაუფლება, დაენაწილებინათ საბჭოთა ხალხის ქვეყანა, ჩამოეცილებინათ მისგან ნაციონალური რესპუბლიკები და გადაექციათ ისინი იმპერიალისტების კოლონიებად.

ასეთი იყო მათი ბატონების ბრძანება, და ცდილობდნენ რა მთელი ძალღონით, ისინი ასრულებდნენ ამ ბრძანებას, როგორც კი შეეძლოთ.

ასეთები არიან ეს ადამიანები, ასეთია მათი გეგმები და ანგარიშები, ასეთია მათი სამარცხვინო და საზარელი დანაშაულობანი.

ბრალდებული ბუხარინი ტრაბახით ამბობდა აქ, რომ ეს მათ, მემარჯვენეებმა, კაპიტალისტთა ამყოლ-დამყოლებმა, შეაიარაღეს ტროცკიზმი კაპიტალიზმის რესტავრაციის თეორიის „სულიერი" იარაღით.

რა „თეორიაზე" ლაპარაკობს ბუხარინი, ეს გაქნილი პოლიტიკური გაიძვერა და სსრ კავშირის წინააღმდეგ უცხოეთის შპიონაჟის ერთერთი უდიდესი ორგანიზატორი?

როგორც ეშმაკი საკმეველს, ისე გაურბის ბუხარინი თავისი დანაშაულის აღიარებას. ბუხარინი აქ უარყოფს თავის დანაშაულს.

რა ფასი აქვს ამ უარყოფას იმ დამამტკიცებელი საბუთების წინაშე, რომლებიც ჩვენ აქ მოგვეპოვება ბუხარინის წინააღმდეგ.

მოვაგონებთ მხოლოდ, რომ 7 მარტის დილის სხდომაზე ბუხარინი და რიკოვი მთლიანად მხილებულ იქნენ ჯაშუშურ კავშირში და ჯაშუშურ მუშაობაში გერმანიისა და პოლონეთის დაზვერვათა სასარგებლოდ.

ბუხარინი კი, ამ პირობებში ლაპარაკობს რაღაც „თეორიაზე", ცდილობს რა „თეორიულად ახსნას გარემოებათა მიმდინარეობა, რომლებმაც მემარჯვენეები საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა ხალხის დაუძინებელი მტრების ბანაკში მიიყვანა"...

საჭირო არ არის ვეძებოთ ეს ახსნა ბუხარინის „თეორიაში". ეს ახსნა უნდა ვეძებოთ ბუხარინის დანაშაულობებში, თუმცა ამ დანაშაულობებს იგი „თეორიის" მსგავსი რაღაცათი ჰფარავდა.

სწორედ ისინი, ეს დანაშაულობანი, ხსნიან საქმეთა ნამდვილ მსვლელობას, იმ მოვლენებისა და ბრძოლის ნამდვილ ლოგიკას, რომლებმაც ერთმანეთის პირისპირ დააყენეს ორი სამყარო, ორი ბლოკი— **ბლოკი მოღალატეებისა**, უცხოეთის კაპიტალის დაქირავებული აგენტებისა, ამჟამად მხილებული და გასრესილი დიდი საბჭოთა ქვეყნის რისხვითა და ძლიერებით, **ბლოკი გამცემლებისა**, რომლებმაც დაიმსახურეს მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხის მილიონიანი მასების მხრით სამუდამო ზიზღი, შერცხვენა და წყევლა-კრულვა, — და **ბლოკი საბჭოთა პატრიოტებისა**, რომლებიც დიადი და უძლეველი არიან თავიანთი სამშობლოსადმი სიყვარულით, რომელთაც გადაიტანეს არაერთი ისტორიული ბრძოლა მტრებთან, და რომელნიც მზად არიან კომუნისტური პარტიისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ ყოველ მტერს ყოველგვარ პირობებში, ყოველ დროს, საიდანაც არ უნდა გამოჩნდეს ის, მიუხედავად ყოველგვარი ღალატისა, მიუხედავად ყოველგვარი გამცემლობისა.

ამ სასამართლო პროცესის მნიშვნელობა განისაზღვრება, რასაკვირველია, იმ გაკვეთილებითაც, რომლებიც აუცილებლად საჭიროა გამოვიტანოთ ჩვენ ყველამ, საბჭოთა მიწაწყლის პატრიოტებმა, ამ პროცესიდან.

ჩვენი სამშობლო სტკბება სოციალისტური გამარჯვების ბედნიერებით, კაპიტალისტური უღლისაგან განთავისუფლებული შრომის ბედნიერებითა და სიხარულით.

ოცი წელია ურყევ სალ კლდესავით სდგას საბჭოთა სახელმწიფო— მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო.

ოცი წელია შეუპოვრად და მედგრად სწარმოებს შეწყობილი მუშაობა მრავალრიცხოვანი ხალხებისა, რომლებიც გაერთიანდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ძმურ კავშირში, რაც აშენებულია სოციალისტური რევოლუციის ბელადების ლენინისა და სტალინის გენიით.

ოდესღაც ღარიბი და სუსტი ქვეყანა ამ ოცი წლის განმავლობაში მდიდარ და ძლიერ ქვეყნად, მძლავრ და უძლეველ ქვეყნად გადაიქცა.

რუსეთის სახელმწიფო ამ ოცი წლის განმავლობაში სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაიქცა.

საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე, რომელმაც მიიღო დიადი სტალინური კონსტიტუცია, ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებამ მიაღწია იმას, რომ ძირითადად უკვე განახორციელა სოციალიზმი, შექმნა სოციალისტური წყობილება, ე. ი. განახორციელა ის, რასაც მარქსისტები სხვანაირად კომუნიზმის პირველ ანუ დაბალ ფაზას უწოდებენ. მაშასადამე, ჩვენში ძირითადად უკვე განხორციელებულია კომუნიზმის პირველი ფაზა, სოციალიზმი. კომუნიზმის ამ ფაზის ძირითად პრინციპს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ფორმულა: „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი შრომის მიხედვით"".

სოციალიზმი დამკვიდრდა ჩვენი ხალხის ყოფაცხოვრებაში, სოციალიზმმა გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში, და ქვეყნიერებაზე არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეასუსტოს ამ სოციალისტური გამარჯვების მნიშვნელობა ან სიდიადე. და ეს ასეა, მიუხედავად ყველა სიძნელისა, რომლებიც იდგნენ და ჯერ კიდევ დგანან ჩვენს გზაზე. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ჩვენდამი მტრულად განწყობილი უცხო სახელმწიფოები და ექსპლოატატორული კლასების დრომოჭმული და მომაკვდავი ნაშთები ჩვენს ქვეყანაში ყოველნაირად ცდილობენ შეაფერხონ ჩვენი საზოგადოების პროგრესული განვითარება, ხელი შეუშალონ ჩვენს სოციალისტურ წარმატებებს, ჩაშალონ ჩვენი მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობა, მიმართული სსრ კავშირში სოციალიზმის აშენებისაკენ.

შეიძლება სრულიად გაუზვიადებლად ითქვას, რომ საბჭოთა ისტორიის განვლილი 20 წლის მანძილზე ჩვენმა სახელმწიფომ და ჩვენმა ხალხმა არ იციან არცერთი წელი, არცერთი თვე და დღე, რომ ჩვენ თავს არ გვესხმოდნენ მტრები.

დიდი ოქტომბრის პირველი დღეებიდან უდიდესი ისტორიული ეპოქის — სტალინური კონსტიტუციის ეპოქის ბრწყინვალე დღეებამდე საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკას არა შორდება ექსპლოატატორებისა და მათი ყურისხვა აგენტურის — ტროცკისტების, მენშევიკების, ესერების, ბუხარინელების, ზინოვიეველების, მუსავატელების, დაშნაკების, ქართველი, უზბეკი და სხვა ნაციონალისტების, შავრაზმელების, თეთრგვარდიელების, კადეტების, ხუცების, კულაკებისა და სხვათა და სხვათა კლასობრივი თავდასხმის ცეცხლი.

ამ პროცესმა ერთხელ კიდევ მოგვაგონა და მასთან არაჩვეულებრივი სიძლიერითა და სიმწვავით მოგვაგონა, რომ ორი სამყარო — კაპიტალიზმის სამყარო და სოციალიზმის სამყარო — ერთიმეორის პირისპირ დგას, როგორც შეურიგებელი და მოსისხლე მტრები.

სსრ კავშირში სოციალიზმის საქმისათვის კაპიტალისტური გარემოცვის საფრთხეზე არაერთხელ მიუქცევიათ ჩვენი ყურადღება ჩვენს მასწავლებლებს ლენინსა და სტალინს. რ. კ. პ. (ბ) VIII ყრილობაზე 1919 წლის მარტს ლენინი ამბობდა:

„ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო სახელმწიფოში, არამედ **სახელმწიფოთა სისტემაშიც**, და საბჭოთა რესპუბლიკის დიდი ხნით არსებობა იმპერიალისტური სახელმწიფოების გვერდით წარმოუდგენელია. ბოლოსდაბოლოს ან ერთი გაიმარჯვებს, ან მეორე. ხოლო ვიდრე ეს ბოლო დადგებოდეს, გარდუვალია მთელი რიგი უსაშინელესი შეჯახებანი საბჭოთა რესპუბლიკასა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის". (ტ. XXIV გვ. 122).

„უნდა გვახსოვდეს,—გვასწავლიდა ლენინი, — რომ ყოველი თავდასხმისაგან ჩვენ მუდამ ბეწვზე ვკიდივართ". (ტ. XXVII გვ. 117).

ამხანაგმა სტალინმა ამ დღეებში ჩვენ ერთხელ კიდევ მოგვაგონა კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ.

„მართლაც,—სწერდა ამხანაგი სტალინი თავის ისტორიულ პასუხში ამხ. ივანოვისადმი,—სასაცილო და სისულელე იქნებოდა თვალები დაგვეხუჭა და არ დაგვენახა კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტი და გვეფიქრა, რომ ჩვენი გარეშე მტრები, მაგალითად, ფაშისტები, თუ მათ შემთხვევა მიეცათ, არ შეეცდებიან მოაადინონ სამხედრო თავდასხმა სსრ კავშირზე. ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ ბრმა ბაქიებს ან ფარულ მტრებს, რომელთაც სურთ მიაძინონ ხალხი. არანაკლებ სასაცილო იქნებოდა იმის უარყოფა, რომ სამხედრო ინტერვენციის სულ მცირე წარმატების შემთხვევაში ინტერვენტები შეეცდებიან დაანგრიონ საბჭოთა წყობილება მათ მიერ დაკავებულ რაიონებში და აღადგინონ ბურჟუაზიული წყობილება. განა დენიკინი ან კოლჩაკი არ აღადგენდნენ ხოლმე ბურჟუაზიულ წყობილებას მათ მიერ დაკავებულ რაიონებში? რითი სჯობიან ფაშისტები დენიკინს ან კოლჩაკს? სამხედრო ინტერვენციის და რესტავრაციის ცდების საფრთხის უარყოფა კაპიტალისტური გარემოცვის არსებობის დროს შეუძლიათ მხოლოდ უთავურებს ან ფარულ მტრებს, რომელთაც სურთ ბაქიობით დაჰფარონ თავისი მტრობა და რომელნიც ცდილობენ ხალხის დემობილიზებას".

ჩვენს მტრებს მთელი რიგი წლების განმავლობაში ინტერვენციის წარმატების იმედი ჰქონდათ, როცა ისინი რაზმავდნენ და საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად აღაფრთოვანებდნენ სხვადასხვა ანტისაბჭოთა ჯგუფებს სსრ კავშირის შიგნით, ვარაუდობდნენ რა ამ ჯგუფების დახმარებით განეხორციელებინათ თავისი ავაზაკური განზრახვა. სსრ კავშირში არცერთი რამდენადმე სერიოზული შეთქმულობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არ მომხდარა ისე, რომ მასში უცხოულ კაპიტალისტებსა და სამხედრო წრეებს პირდაპირი და ყველაზე აქტიური მონაწილეობა არ მიეღოთ.

1921 წელს ლენინი ჩვენ გვაფრთხილებდა:

„ჩვენ გარშემორტყმული ვართ მსოფლიო ბურჟუაზიით, რომელიც უდარაჯებს მერყეობის ყოველ წუთს, რათა დააბრუნოს „თავისიანები", რათა აღადგინოს მემამულეები და ბურჟუაზია" (ტ. XXVI გვ. 348).

ამხანაგი სტალინი მუდამ მოგვაგონებს კაპიტალისტური გარემოცვის საფრთხეს, ამტკიცებს, რომ...

„ჩვენი ქვეყნის მომაკვდავი კლასების მიერ წინააღმდეგობის გაწევა სწარმოებს არა გარეშე ქვეყნისაგან იზოლირებულად, არამედ მას მხარს უჭერს კაპიტალისტური გარემოცვა". („ლენინიზმის საკითხები" გვ. 458).

ცნობილია, რომ შახტელებიცა და სამრეწველო პარტიელებიც არა მარტო მავნებლობას ეწეოდნენ და ომის შემთხვევისათვის დივერსიულ აქტებს ამზადებდნენ, არამედ სისტემატურად ეწეოდნენ ჯაშუშურ მუშაობას, ამასთან, როგორც ეს „სამრეწველო პარტიის" საქმით გამოირკვა, ამ ჯაშუშური მუშაობის საწარმოებლად რამზინმა განსაკუთრებული კომისიაც კი შექმნა მავნებელი პროფესორის ოსადჩის თავმჯდომარეობით, რომელიც იმ დროს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ იყო. „სამრეწველო პარტიის" პროგრამაში გამახვილებული იყო ყურადღება დივერსიებზე მოსკოვში, ლენინგრადში, დონბასში, ურალში ხიდების აფეთქების, რკინიგზის ლიანდაგების გაფუჭების, ელექტროსადგურების აფეთქების, ქარხნების და ფაბრიკების გაჩერების გზით.

განა ჩვენს ქვეყანაში უცხოეთის დაზვერვათა ჯოჯოხეთურ მუშაობაზე არ ლაპარაკობს საქმე ინგლისელი ინჟინრებისა ტორნტონის, მაკდონალდისა და სხვების, „ინტელიჯენს-სერვისის" 1933 წელს გამომჟღავნებული აგენტებისა, ზოგიერთ ჩვენს ელექტროსადგურზე მავნებლობისა და დივერსიათა ორგანიზატორებისა, იმ ადამიანებისა, რომლებიც ამზადებდნენ დასაყრდენ პუნქტებს მომავალი ინტერვენციისათვის?

ბოლოს, განა ამასვე არ მოწმობენ 1936—1937 წლების უკანასკნელი სასამართლო პროცესები, რომლებმაც გამოამჟღავნეს ტროცკისტთა, ზინოვიეველთა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების ჯაშუშურ-ტერორისტული ბანდების ბოროტმოქმედებანი. იმ ადამიანებისა, რომლებიც დადგნენ უცხოეთის პოლიციურ ოხრანკათა სამსახურში და გადაიქცნენ ამ ოხრანკების ჯაშუშურ და დივერსიულ-ტერორისტულ აგენტურად? დიახ, დიახ, ამაზე სრული დამაჯერებლობით ლაპარაკობენ, გაჰკივიან კოშმარული დანაშაულობანი ამ ბანდიტური ჯგუფებისა, რომლებიც მოსპობილი არიან ჩვენი საბჭოთა სასამართლოს განაჩენებით.

იგივე სავსებით ცხადჰყო ახლანდელმა სასამართლო პროცესმაც, რომლის მთავარი „გმირები" არიან „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები, რომლებიც მხილებული არიან როგორც სოციალიზმის, ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის დაუძინებელი მტრები.

ეს პროცესი აჯამებს საბჭოთა სახელმწიფოსა და ლენინ-სტალინის პარტიის წინააღმდეგ იმ ადამიანთა ბრძოლის შედეგს, რომლებიც, როგორც ეს განსაკუთრებული სიცხადითა და დამაჯერებლობით დაამტკიცა სასამართლოს გამოძიებამ, მთელ თავის სიცოცხლეში დაიარებოდნენ ნიღბაფარებული, რომლებმაც ეს ბრძოლა დაიწყეს დიდი ხნის წინათ ჩვენს დრომდე, რომლებიც პროვოკატორული ხმამაღალი ფრაზების ამოფარებით ემსახურებოდნენ არა რევოლუციასა და პროლეტარიატს, არამედ კონტრრევოლუციისა და ბურჟუაზიის, და რომლებიც ატყუებდნენ პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას, რათა უფრო მოხერხებულად ეკეთებინათ თავისი მოღალატური შავბნელი საქმე, რათა უფრო დიდხანს დარჩენილიყვნენ გამოუმჟღავნებელი.

საზიზღარმა ბოროტმოქმედებმა მოტყუების, პირმოთნეობისა და ორგულობის გზით შესძლეს უკანასკნელ დრომდე გადაედოთ თავისი გამომჟღავნების დრო. მაგრამ ეს დრო დადგა და ბოროტმოქმედნი გამომჟღავნებული არიან, გამომჟღავნებული არიან მთლიანად და ბოლომდე.

ნიღაბი ჩამოგლეჯილია. მათი ნამდვილი სახე, მათი ნამდვილი ვინაობა ახლა ყველასათვის ნათელია. ყველასათვის ცხადია მათი სამარცხვინო საქმეებიც, ისე როგორც ცხადია მათი უპადრუკი, სამარცხვინო ხვედრი.

ახლანდელმა პროცესმა სავსებით და მთლიანად გამოამჟღავნა ახლა, როგორც ფაშისტური აგენტურა, არა მარტო ტროცკისტები, არამედ ბუხარინელებიც. რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოსტატურად ინიღბებოდნენ, ოსტატურად არიდებდნენ თავს გამომჟღავნებას, როგორც მკვლელები, ჯაშუშები და პროვოკატორები.

ახლა საბოლოოდ გამოირკვა კონტრრევოლუციურ ბანდად მათი ამ გადაქცევის მთელი პროცესი, გადაქცევისა, რომელიც უკვე დიდი ხანია დაისახა და არაერთხელ იყო გამომჟღავნებული ჩვენი პარტიისა და პირადად ამხანაგ სტალინის მიერ.

დაიწყო რა 1918 წელს შეთქმულობით ლენინის, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის, წინააღმდეგ, აღმართა რა 1918 წელს თავისი ბოროტმოქმედი ხელი ლენინის წინააღმდეგ, განა შეეძლო ბუხარინს დაემთავრებინა სხვანაირად, თუ არა ისე, როგორც დაამთავრა ამჟამად,—ამ სამარცხვინო საბრალდებულო სკამით, მოელის რა მკაცრ, მაგრამ სამართლიან მსჯავრს საბჭოთა ხალხისას, რომელიც წყევლა-კრულვით წარმოსთქვამს ამჟამად ამ საძულველ სახელს!

დაიწყო რა სოციალიზმში კულაკთა მშვიდობიანი შეზრდის აშმორებული „თეორიით", აწარმოებდა რა მთელი ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არალეგალურ ბრძოლას პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ, განა შეეძლო ბუხარინს დაემთავრებინა თავისი პოლიტიკური კარიერა სხვანაირად, თუ არა ისე, როგორც ამთავრებს მას, იმანჭება და ფიგლიარობს რა ახლაც კი, თავისი სიცოცხლის, შესაძლოა, უკანასკნელი საათის წინ!

პარტიის XVI ყრილობაზე 1930 წელს ამხანაგი სტალინი, ააშკარავებდა რა ტროცკიზმის ორმაგობას, მიგვითითებდა, რომ ამ ორმაგობით...

(გაგრძელება იხ. [illegible] გვ.)

---

*) შემოკლებული სტენოგრამა.

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პროცესი

ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვის გაგრძელება

„აიხსნება ის ფაქტი, რომ თავის ვითომდა „გააფთრებულ“ იერიშებს მემარჯვენე უკლონისტების წინააღმდეგ ტროცკიზმი“ (ეს კაპიტულანტობა ნიღაბქვეშ) „ჩვეულებრივ აგვირგვინებს **ბლოკით** მათთან, როგორც უნიღბო კაპიტულანტებთან“.

ტროცკისტები და მემარჯვენეები კაპიტულანტები არიან. პირველნი კაპიტულანტები არიან ისტერიული, პროვოკაციული „რევოლუციური“ ფრაზების ნიღაბქვეშ, მეორენი—კაპიტულანტები უნიღბოდ.

რით აიხსნება ტროცკისტებისა და მემარჯვენეების პოზიციათა ეს ნათესაობა, მათი მუდმივი მისწრაფება ერთმანეთისაკენ, მუდმივი ძიება ბლოკებისა, დასასრულ, ამ ბლოკთა არსებობა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს და სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ მათი ბრძოლის სხვადასხვა ეტაპებზე?

ეს, რა თქმა უნდა, აიხსნება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ტროცკისტებისა და მემარჯვენეების სოციალური ბაზა საერთოა. ეს აიხსნება იმით, რომ ტროცკისტებიცა და მემარჯვენეებიც ასახავენ ზედდაწოლას კაპიტალისტური ელემენტებისას, რომელნიც წინააღმდეგობას უწევენ სოციალიზმის წარმატებებს, რომელნიც არ აპირებენ მშვიდობიანად და წყნარად დასტოვონ ისტორიის სცენა.

ეს, როგორც ჩვენ ახლა ვიცით, აიხსნება იმით, რომ ერთნიც და მეორენიც მოქმედებდნენ იმ ერთიდაიმავე ბატონების ბრძანებით, რომელნიც სხედან სსრ კავშირისადმი მტრულ უცხო სახელმწიფოთა გენერალურ შტაბებსა და დაზვერვებში.

ტროცკისტებმა და ბუხარინელებმა უკვე მრავალი წლის წინათ ამოჰყვეს თავი კონტრრევოლუციის ბანაკში. ტროცკისტები და მემარჯვენეები უკვე მრავალი წლის წინათ გადაიქცნენ ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის მეაბჯრეებად. ტროცკისტები და მემარჯვენეები უკვე მრავალი წლის განმავლობაში ამარაგებენ კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიას იარაღით საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ საბრძოლველად. ტროცკისტები და მემარჯვენეები აკეთებენ ერთსადაიმავე შავბნელ საქმეს, ღალატის საქმეს.

ფაქტები სავსებით უდავოდ ადასტურებენ როგორც მემარჯვენეებისა და ტროცკისტების მიერ შეკრული ბლოკის გარდუვალობასა და ბუნებრივობას, ისე ამ ბლოკის გადაქცევასაც უცხოეთის ფაშისტურ დაზვერვათა აგენტურად.

როგორ იბრძოდნენ მემარჯვენე-ტროცკისტები ვ. ი. ლენინის წინააღმდეგ, სოციალიზმის საქმის წინააღმდეგ

როგორ იბრძოდნენ ტროცკისტები და ზინოვიეველები ლენინის წინააღმდეგ, სოციალიზმის წინააღმდეგ, პროლეტარული რევოლუციის გმირული მეცადინეობის წინააღმდეგ, რაც მიმართული იყო სსრ კავშირში ახალი სოციალისტური საზოგადოების აშენებისაკენ, — ეს ამომწურავი სისრულით დაგვანახვა ორმა წინანდელმა სასამართლო პროცესმა პიატაკოვის, ზინოვიევის, კამენევის, რადეკის, სმირნოვისა და სხვების მაგალითზე.

ახლა მე მინდა მოგაგონოთ ზოგიერთი ფაქტი, რომელიც ამ თვალსაზრისით ახასიათებს ამ პროცესის ზოგიერთი გმირისა და პირველ რიგში ბრალდებულ ბუხარინისა და რიკოვის პოზიციასა და საქციელს.

აი, რამდენიმე მოკლე ცნობა.

1909 წელი — ბუხარინი ემხრობა ოტზოვიზმს.

1914—1917 წლები (იმპერიალისტური ომის პერიოდი)—ბუხარინი „მემარცხენე კომუნისტია“, უარჰყოფს პროგრამა - მინიმუმს, ბრძოლას ეწევა ლენინის წინააღმდეგ.

1914 წელი — იგი ულოლიავებს გეგმას--გამოსცეს საკუთარი გაზეთი, რომელსაც უპირისპირებს ბოლშევიკურ პრესას, ლენინურ პრესას.

1915 წლის გაზაფხული — ბუხარინი ტროცკისტია. ბერნის კონფერენციაზე იგი გამოდის სამოქალაქო ომის ლოზუნგის წინააღმდეგ, მხარს უჭერს ერთიანობას ტროცკისტულ-მენშევიკურ „ნაშე სლოვოსთან“. ლენინი სწერს სტატიას „ველიკოროსთა ნაციონალური სიამაყის შესახებ“. ბუხარინი ამას აფასებს, როგორც სოციალ-პატრიოტიზმის გამოვლინებას.

1915 წლის შემოდგომა — ბუხარინი გამოდის თეზისებით, რომლებიც უარჰყოფენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას.

1916 წლის თებერვალი — ბუხარინი სოლიდარობას უცხადებს ჰოლანდიის მემარცხენე სოციალდემოკრატთა ნახევრად ანარქისტულ პროგრამას.

1916 წელს ბუხარინი ჟურნალ „ახალგაზრდობის ინტერნაციონალში“ გამოდის ანარქისტული, ანტილენინური შეხედულებებით სახელმწიფოს საკითხზე, პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

სტატიაში „მსოფლიო მეურნეობა და იმპერიალიზმი“ (1915 წ.) ბუხარინი აშკარად იცავს ტროცკისტულ თეზისს იმის შესახებ, რომ ცალკე ქვეყნების პროლეტარიატის ცალკეული გამოსვლები ვერ გაიმარჯვებენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორც ლენინი ამბობდა, ბუხარინები სოციალიზმს შემდეგისათვის სდებდნენ... „ბერძნულ კალენდებამდე, ე. ი. „არასოდეს“-ამდე (ლენინი, ტ. XIX, გვ. 221). ვლადიმერ ილიას-ძე 1916 წელს მის შესახებ სწერდა, რომ იგი — ბუხარინი „(1) ჭორებს ენდობა და (2) პოლიტიკაში უაღრესად **მერყევია**“ (ლენინი, ტ. XXIX, გვ. 229).

„ომმა,—სწერდა ლენინი,—ხელი ჰკრა მას ნახევრად ანარქისტული იდეებისაკენ. თათბირზე, რომელმაც ბერნის რეზოლუციები მიიღო (1915 წ. გაზაფხულზე), მან წარმოადგინა თეზისები...—უდიდესი სისულელე; სამარცხვინო რამ; ნახევრად ანარქიზმი“.

1916 წელს, როგორც უკვე ვთქვი, ჟურნალ „ახალგაზრდობის ინტერნაციონალში“ ბუხარინი ანვითარებდა ანარქისტულ - სინდიკალისტურ აზრებს სახელმწიფოსადმი პროლეტარიატის პრინციპული მტრობის შესახებ, ყოველგვარი სახელმწიფოს აფეთქების შესახებ.

შემდეგში, ვ. ი. ლენინის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, ბუხარინი გამოვიდა უტიფარი მტკიცებით, რომ ამ საკითხში სცდა არა იგი, ბუხარინი, არამედ ლენინი.

1916—1917 წლები — ბუხარინი ტროცკისთან ერთად რედაქტორობს ტროცკისტულ გაზეთს „ნოვი მირს“ (ნიუ-იორკი), რომელშიაც უარჰყოფს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას.

1917 წელი — პარტიის VI ყრილობაზე ბუხარინი გამოდის ტროცკისტული სქემით. ოქტომბრის დღეებში კვლავ და კვლავ იცავს რუსეთში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობას.

1918 - წელი — ბუხარინი „მემარცხენე კომუნიზმის“ ბელადია. ეს ეპიზოდი სავსებით გულდასმით იქნა განხილული სასამართლოს სხდომაზე.

1918 წლის 8 ოქტომბერს—მოსკოვის საბჭოს პლენუმზე ბუხარინი აცხადებს, რომ მისი „მემარცხენე კომუნიზმი“ მცდარია. ჩვენ ვიცით, რომ სასამართლოში ბუხარინი იძულებული იყო აღეარებინა, რომ ნამდვილად იგი აქტიურად იბრძოდა ბრესტის ზავის ჩაშლისათვის.

1919 წელი—პარტიის VIII ყრილობა — ბუხარინი კვლავ გამოდის ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარების წინააღმდეგ.

შემდეგ მიდის პარტიის IX, X ყრილობები, სადაც ბუხარინი გამუდმებით ატარებს „თავის“ ხაზს, მიმართულს პარტიის წინააღმდეგ, ლენინის წინააღმდეგ, სტალინის წინააღმდეგ.

1921 წელს ბუხარინი ტროცკის ინტერესებისათვის ადგება ბუფერის პოზიციას, ის გამცემლურად აღვივებს დისკუსიას, ლენინის თქმით, „ბუფერულ ნავთს“ ასხამს ამ დისკუსიას.

ანტილენინურ ფრაქციაში ბუხარინი გამოდის სერებრიაკოვთან, რადეკთან, კრესტინსკისთან, პიატაკოვთან და სხვა ტროცკისტებთან ერთად.

1920 წლის დასასრული — 1921 წლის დასაწყისი — სწარმოებს დისკუსია პროფკავშირების შესახებ. ჩვენი ქვეყანა ემზადება ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასასვლელად. ბუხარინი გამოდის „ბუფერის“ როლში, შემდეგ სავსებით გადადის ტროცკის პოზიციებზე. X ყრილობაზე კი აცხადებს, „რესპუბლიკა ბეწვზე ჰკიდიაო“.

1922 წელს ლენინი აცამტვერებს ბუხარინს მისი ცდისათვის — ჩაეშალნა საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. ლენინი პირდაპირ ამხელს ბუხარინს როგორც სპეკულანტს, წვრილ ბურჟუას, როგორც გლეხობის კულაკური ზედაფენის ინტერესთა დამცველს. (ლენინი, ტ. XXVII, გვ. 381).

1923—24 წლებში ბუხარინი ბლოკს ჰკრავს კამენევთან და ზინოვიევთან ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ.

1925 წ. — ბუხარინის კულაკური ლოზუნგი „გამდიდრდით“.

1928 წ. — ბუხარინი პარტიის ც. კ-ის პლენუმზე აცხადებს, პარტიასთან უთანხმოებანი არ მაქვსო, და ამავე დროს აწარმოებს მოლაპარაკებას კამენევთან და ფარულად უთანხმდება მას. სწერს „ეკონომისტის შენიშვნებს“.

1929 წელს ბუხარინი „პრავდაში“ აცხადებს, ჩემი შეხედულებები შემცდარი იყოო. ახლა სასამართლოში მან აჩვენა, რომ ესეც ტაქტიკური მანევრი იყო, რომ ის მაშინაც, 1929 წელსაც ცრუობდა. ვინაიდან სწორედ ამ დროს ყალიბდებოდა არალეგალური ორგანიზაცია, რომელმაც იარაღით ხელში დაიწყო გამოსვლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ლიტონსიტყვაობა რომ არ გამომივიდეს, მოგაგონებთ ბუხარინის, რიკოვის და, ბოლოს, ივანოვის ჩვენებებს იმის შესახებ, თუ როგორ აჩაღებდა ბუხარინი ბრძოლას ჩრდილო - კავკასიაში, როგორ აწყობდა კულაკურ აჯანყებებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ თავისი მოწაფისა და ამ საქმეში ხელქვეითის სლეპკოვის საშუალებით, როგორ ჰგზავნიდა იაკოვენკოს ციმბირში, როგორ მოახერხეს მათ პროვოკაციის გზით კულაკური აჯანყების გამოწვევა ბიისკის ოლქში და სხვა ადგილებში. მოგაგონებთ, რომ ამავე დროს ბუხარინი გამოდიოდა რა პრესაში, ამბობდა: „ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ მთელ პარტიასთან ერთად ვაწარმოოთ გადამჭრელი ბრძოლა ყველა გადახრის წინააღმდეგ“. ბუხარინი აქაც ცრუობდა.

1929 წლის 15 დეკემბერს ბუხარინი „პრავდაში“ ათავსებს სტატიას, რომლის ბოლოში ჩამოსთვლის და ჰგმობს თავის შეცდომებს. და სწორედ ამავე დროს ის აწარმოებს არალეგალურ საუბრებს კამენევთან.

მან ბლოკი შეჰკრა ბოლშევიზმის უბოროტეს, გამომჟღავნებულ მტრებთან, რომლებიც ის-ის იყო, 1927 წლის ნოემბერში, გამოდიოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ანტისაბჭოთა დემონსტრაციით მოსკოვისა და ლენინგრადის ქუჩებში.

1930 წელს ბუხარინს კვლავ შეაქვს ც. კ-ში განცხადება და აღიარებს თავის შეცდომებს. ნამდვილად კი, თქვენ ეს მოისმინეთ ბუხარინის ჩვენებიდან, ნამდვილად სწორედ ამ დროს ის სემიონოვთან აწარმოებდა მოლაპარაკებას ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოწყობის შესახებ.

1933 წლის იანვარში — ბუხარინი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე („პრავდა“ № 14) გამოდის სიტყვით, რომელშიც მოითხოვს ა. პ. სმირნოვის დაჯგუფების მკაცრ დასჯას, ლაპარაკობს თავის მემარჯვენე - ოპორტუნისტული, სრულებით არასწორი საერთო პოლიტიკური გეზის შესახებ, თავის დანაშაულობის შესახებ პარტიის წინაშე, მისი ხელმძღვანელობის წინაშე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე, მუშათა კლასის და ქვეყნის წინაშე.

საქმით კი ეს იყო „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ ჩამოყალიბების პირველი წელი, რომელიც შეუდგა ისეთი ამოცანების შესრულებას, როგორიც არის ტერორი, ჯაშუშობა, დივერსია, მავნებლობა, სამშობლოს ღალატი და სსრ კავშირისაგან ნაციონალური რესპუბლიკების ჩამოცილება.

1934 წლის დასაწყისი. — პარტიის XVII ყრილობა — ბუხარინის გამოსვლა, რომელშიც იგი იწონებს „ყველა ოპოზიციისა და მემარჯვენე ოპოზიციის, როგორც მთავარი საშიშროების, შეუბრალებელ გაცამტვერებას, ე. ი. სწორედ იმ დაჯგუფებისა, რომელსაც მე ოდესღაც ვეკუთვნოდიო“.

ამავე დროს კი ყველა ძალთა მობილიზაციას ახდენს იმისთვის, რათა გააძლიეროს დანაშაულობრივი მოქმედებანი თავისი ჯგუფისა, რომელიც უკვე გადაიქცა ნამდვილი ჯაშუშების, მკვლელების, მზვერავების ჯგუფად.

1936 წლის დასაწყისი. — ბუხარინმა „იზვესტიაში“ მოთავსებულ სტატიაში რუს ხალხს უწოდა „ობლომოვების ნაცია“. 1936 წლის 14 თებერვლის „იზვესტიის“ ნომერში ბუხარინი აცხადებს ამ თავისი მტკიცების მცდარობის შესახებ.

ასეთია ბუხარინი, — ეს პირმოთნე, ცრუ, ცბიერი ბუნების ადამიანი. ეს ღვთისნიერ - მტაცებელი და დარბაისელ-ბოროტი კაცი, ეს, როგორც მაქსიმ გორკი ამბობდა ერთერთი გმირის შესახებ „ყოფილი ადამიანების“ გალერეიდან— „წყეული ნარევი მელიისა და ღორისა“.

არც სხვები არიან უკეთესები — ისინიც „გმირები“ არიან.

ბრალდებული რიკოვი. ბოლშევიკების პარტიაში შესვლამდე რიკოვი შედიოდა სარატოვში ესერებისა და სოციალდემოკრატების გაერთიანებულ პარტიაში.

1909-1911 წლები. — რიკოვი ნახევრად ტროცკისტია, ნახევრად ლიკვიდატორი.

აპრილის კონფერენციის პერიოდში რიკოვი და კამენევი მხარს უჭერენ რევოლუციური დემოკრატიის „ცოცხალი ძალების“ გაერთიანებას, ე. ი. მხარს უჭერენ კავშირს ესერებთან და მენშევიკებთან.

1917 წლის ოქტომბერში კამენევთან და ზინოვიევთან ერთად რიკოვი დეზერტირობს.

1917 წლის დეკემბერში რიკოვი სჩხავის, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ არის მტკიცე, ლაპარაკობს, რომ „არ შეიძლება გასძლოს წმინდა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ჩამორჩენილ ქვეყანაში იმ დროს, როდესაც ევროპაში არ მოხდა სოციალისტური რევოლუცია“.

1920 წელს რიკოვი საპრონოველებთან ერთად გამოდის ლენინის წინააღმდეგ, კოლეგიალობის დასაცავად.

რიკოვი „გოელროს“ ლენინური გეგმის წინააღმდეგია, იგი თავითფეხამდე ჩაეფლო ობივატელურ „რეალიზმში“, ყურებამდე ჩაეფლო რუტინაში (როგორც მაშინ მის შესახებ სწერდა ვ. ი. ლენინს ამხანაგი სტალინი).

შემდეგ კი? შემდეგ 1928, 1929, 1932 წლებში — ბლოკები, ცენტრები, შეთქმულებანი, ღალატი.

არც სხვა ბრალდებულები არიან უკეთესები.

აი ძველი ტროცკისტი და გერმანიის ჯაშუში კრესტინსკი, რომელმაც თავისი გამცემლური კარიერა ჯერ კიდევ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სიცოცხლეში დაიწყო. კრესტინსკი აწვდის ჯაშუშურ ცნობებს გერმანულ დაზვერვას და ყოველწლიურად იღებს 250.000 მარკას ოქროთი გერმანიის რეიხსვერისაგან არალეგალური ტროცკისტული მუშაობის სასარგებლოდ.

აი ასეთივე გაქნილი ტროცკისტი როზენგოლცი, რომელიც გერმანიის ჯაშუშია 1923 წლიდან და ინგლისის ჯაშუში კი 1926 წლიდან.

შეთქმულება ვ. ი. ლენინის წინააღმდეგ 1918 წელს

მე საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ შევჩერდე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის წინააღმდეგ მიმართული 1918 წლის შეთქმულების გარემოებათა გამოკვლევაზე, რასაც ადგილი ჰქონდა აქ.

წინასწარ გამოძიების დროსაც და სასამართლოშიც ბუხარინი ცდილობდა ყოველნაირად თავი დაეძვრინა 1918 წლისთვის, თავი დაეღწია პასუხისმგებლობისაგან ისტორიის წინაშე, მუშათა კლასის წინაშე, მთელი პატიოსანი კაცობრიობის წინაშე იმ საზარელი ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც მოწყობილი იყო ბუხარინის მიერ „მემარცხენე“ და მემარჯვენე ესერებთან ერთად, ტროცკისა და მის ჯგუფთან ერთად, და რომელიც ნაწილობრივ განხორციელებულ იქნა.

უნდა გავიხსენოთ 1918 წლის ფაქტები, ვითარება და პირობები, რათა ღირსეულად შევაფასოთ მთელი სიღრმე ტროცკისა და ბუხარინის მიერ რევოლუციის წინააღმდეგ ჩადენილი ჯოჯოხეთური ბოროტმოქმედებისა, მთელი სიღრმე მათი გამცემლობისა!...

1918 წელი. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა მთელს თავის ძალებს ძაბავს, რათა გადალახოს უზარმაზარი სიძნელეები, აღმართული სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დამყარებისა და განმტკიცების გზაზე.

მშვიდობიანობისათვის ბრძოლა ამ პირობებში იყო ბრძოლა პროლეტარული რევოლუციის მთელი მომავლისათვის, რომლის ბედი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ბეწვზე ეკიდა.

ამ პირობებში ომისა და ზავის საკითხი არსებითად იქცეოდა ერთ საკითხად — **იყოს თუ არ იყოს საბჭოთა ხელისუფლება, საბჭოთა სახელმწიფო, საბჭოთა ქვეყანა.**

გენიალურმა ლენინურმა სტრატეგიამ ეს საკითხი დადებითად გადასწყვიტა. ისტორიამ დაადასტურა ამ გადაწყვეტილების სისწორე. მან, ისტორიამ სთქვა: „იყოს“.

ლენინიზმი გვასწავლის არამარტო შეტევის ხელოვნებას, არამედ უკანდახევის ხელოვნებასაც.

„... არ შეიძლება, — სწერდა ლენინი, — გავიმარჯვოთ, თუ არ შევისწავლეთ წესიერი შეტევა და წესიერი უკანდახევა (ტ. XXV, გვ. 177).

ამხანაგი სტალინი ამის გამო ამბობდა:

„ასეთი სტრატეგიის მიზანია დროის მოგება, მოწინააღმდეგის გახრწნა და ძალების დაგროვება შემდეგ შეტევაზე გადასვლისათვის.

ასეთი სტრატეგიის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ბრესტის ზავის დადება, რომელმაც საშუალება მისცა პარტიას მოეგო დრო, გამოეყენებინა შეტაკებანი იმპერიალიზმის ბანაკში, გაეხრწნა მოწინააღმდეგის ძალები, შეენარჩუნებინა თავის მხარეზე გლეხობა და დაეგროვებინა ძალები იმისთვის, რათა მოემზადებინა შეტევა კოლჩაკისა და დენიკინის წინააღმდეგ“.

ამ სტრატეგიამ, ლენინ-სტალინის გენიალურმა სტრატეგიამ, სავსებით გაამართლა თავისი თავი. მან იხსნა ახალი რუსეთი და საბჭოთა ხელისუფლება უცილობელი დაღუპვისაგან.

1924 წელს ამხანაგმა სტალინმა მოგვაგონა ამის შესახებ:

„ახლა უკანასკნელი რეგვენიც კი ხედავს, — ამბობდა ლენინი ბრესტის ზავის დადების სამი წლის შემდეგ, — რომ „ბრესტის ზავი“ იყო დათმობა, რომელმაც გაგვაძლიერა ჩვენ და დაქსაქსა საერთაშორისო იმპერიალიზმის ძალები“. (ლენინიზმის საკითხები, გვ. 57 ქართ. გამოც. გვ. 73).

ცნობილია, რომ ტროცკი და ბუხარინი თავისი მომხრეებით ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეშალნათ ბრესტის ზავი.

ტროცკის და „მემარცხენე“ ესერებს, გენერალ ჰოფმანთან მოლაპარაკების დროს, ისე ეჭირათ თავი, როგორც პროვოკატორებს. „მემარცხენე კომუნისტები“ ბუხარინის მეთაურობით ცოფს ჰყრიდნენ იმ სამშვიდობო პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ატარებდა საბჭოთა მთავრობა ლენინის, სტალინის და სვერდლოვის მეთაურობით, და მოითხოვდნენ მოლაპარაკების შეწყვეტას და „რევოლუციური ომის“ გამოცხადებას.

თავიანთი მყვირალა, არსებითად კი პროვოკატორული სიტყვებითა და ლოზუნგებით ბუხარინელები და ტროცკისტები ცდილობდნენ გადაეცდინათ ჩვენი პარტია ლენინური გზიდან.

წინასწარ გამოძიებაზედაც კი, 1937 წლის 2 ივნისს მიცემულ ჩვენებებში ბუხარინი ცდილობდა დაეფარა ნამდვილი ხასიათი თავისი ბრძოლისა ბრესტის ზავის პერიოდში ლენინის, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის, წინააღმდეგ.

გამოძიებამ დაადასტურა, და მე საჭიროდ მიმაჩნია მთელი მოცულობით მოვაგონოთ ეს, ამხანაგო მოსამართლენო, რომ 1918 წელს, უშუალოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ბრესტის ზავის დადების პერიოდში, ბუხარინმა და მისმა ეგრეთწოდებულმა „მემარცხენე კომუნისტების“ ჯგუფმა და ტროცკიმ თავისი ჯგუფით, „მემარცხენე“ ესერებთან ერთად, მოაწყეს შეთქმულება ლენინის, როგორც საბჭოთა მთავრობის მეთაურის, წინააღმდეგ.

ბუხარინი და სხვა შეთქმულები, როგორც ეს გამოძიების მასალებიდან სჩანს, მიზნად ისახავდნენ ჩაეშალნათ ბრესტის ზავი, დაემხოთ საბჭოთა მთავრობა, დაეპატიმრებინათ და მოეკლათ ლენინი, სტალინი და სვერდლოვი და შეედგინათ ახალი მთავრობა ბუხარინელებისაგან, რომლებიც მაშინ შენიღბვის მიზნით თავისთავს „მემარცხენე კომუნისტებს“ უწოდებდნენ, ტროცკისტებისა და „მემარცხენე“ ესერებისაგან.

ჩვენ გვახსოვს მოწმეები, რომლებმაც გაიარეს სასამართლოს წინაშე, კარგად გვახსოვს მათი ჩვენებანი, ჩვენ ისინი ვნახეთ, ჩვენ მათ მოვუსმინეთ. ჩვენ გვახსოვს, თუ რა მძიმე ტყვიად ატყდებოდა თავს მათი სიტყვები ბუხარინს, სახალხო კომისართა ლენინური საბჭოს წინააღმდეგ პროვოკატორული ბრძოლის სულისჩამდგმელს, ბუხარინს, — როგორც ეს სასამართლოს ძიებითაც სრული სიცხადით დადასტურდა, საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებისა და აჯანყების ორგანიზატორს, საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების — ამხანაგების ლენინის, სტალინისა და სვერდლოვის მოკვლის წამქეზებელს.

თქვენ გახსოვთ აქ კამკოვის ჩვენება. კამკოვი — „მემარცხენე“ ესერთა პარტიის ც. კ-ის ერთერთი ფრიად თვალსაჩინო ხელმძღვანელია. კამკოვი აჩვენებდა, რომ მას ბუხარინთან 1918 წელს ჰქონდა საუბარი ბრესტის ზავის საკითხზე, რომ ბრძოლა ამ საკითხზე, ბუხარინის სიტყვით, უაღრესად მწვავე ფორმებს ღებულობს. ბუხარინი კამკოვს ელაპარაკებოდა მწვავე ფორმებზე, იმაზე, რომ „მემარცხენე კომუნისტების“ რიგებში ირჩევა ახალი მთავრობის შექმნის საკითხი. ამასთან, — სთქვა კამკოვმა, — ბუხარინმა დაასახელა პიატაკოვი, როგორც შესაძლო კანდიდატი ახალი მთავრობის ხელმძღვანელის პოსტზე, და განაცხადა, რომ თვით შეცვლა მთავრობისა წარმოდგენილი აქვთ იმნაირად, რომ დაპატიმრებულ იქნას საბჭოთა მთავრობის მთელი შემადგენლობა ლენინის მეთაურობით.

ბუხარინი ამას არ უარჰყოფდა, მაგრამ ბუხარინი იმიჯნება ჩვენი ბელადების მოკვლის გეგმისაგან.

რა საბუთები წარმოადგინა მან თავის გასამართლებლად ამ საკითხში? არავითარი, გარდა ლიტონი უარყოფისა. იგი აქ ამხილა იაკოვლევამ, იგი აქ ამხილა ოსინსკიმ, იგი აქ ამხილა მანცევმა, იგი აქ ამხილა კარელინმა.

ბუხარინი უარჰყოფს. მაგრამ ხომ არ შეიძლება მართლაც არგუმენტად მივიჩნიოთ სრულიად დაუსაბუთებელი უარყოფა, მით უფრო, რომ ეს უარყოფა საქმეთა თვით ლოგიკას ეწინააღმდეგება.

ეს ფაქტი—ლენინის, სტალინისა და სვერდლოვის მოკვლის გეგმა—რომ არ ყოფილიყო, რათ დასჭირდებოდათ ამაზე ლაპარაკი კარელინს, იაკოვლევას, ოსინსკის და მანცევს, იმ ადამიანებს, რომელთა ინტერესს სრულებითაც არ შეადგენს აღიარონ ახლა ასეთი სამარცხვინო და ასეთი შემზარავი ფაქტი, ასეთი საშინელი დანაშაულობა სამშობლოს წინააღმდეგ.

ბუხარინმა აღიარა, რომ მას თავის „მემარცხენე კომუნისტების“ ჯგუფთან ერთად, ტროცკისთან და მის ჯგუფთან ერთად და „მემარცხენე“ ესერებთან ერთად განზრახული ჰქონდა საბჭოთა მთავრობის ძალდატანებითი დამხობა მისი მეთაურებით — ლენინით, სტალინით და სვერდლოვითურთ და ლენინის, სტალინისა და სვერდლოვის დაპატიმრებაც კი.

მაგრამ იცის თუ არა ბუხარინმა, თუ რას ნიშნავს ძალდატანებითი დამხობა? იცის თუ არა ბუხარინმა, რას ნიშნავს ძალდატანებითს დამხობასთან დაკავშირებული დაპატიმრებანი? იცის თუ არა ბუხარინმა, რომ ადამიანები, რომლებიც მიდიან ძალდატანებითს დამხობაზე და ძალდატანებითს დაპატიმრებაზე, ამით მიდიან ძალდატანებაზე, ამით მიდიან მკვლელობაზეც!

ბუხარინმა აღიარა, ისიც, როგორც თქვენ სასამართლო გამოძიებისას დაინახეთ, მხოლოდ სანახევროდ აღიარა, რადგან მას უკანდასახევი გზა არა აქვს, რომ 1918 წელს ბუხარინი საბჭოთა ხელისუფლებას ფორმალურ ხელისუფლებად აცხადებდა და მისი ლიკვიდირების წინადადებას იძლეოდა.

გამოძიებამ დაადასტურა, რომ 1918 წელს ბუხარინმა და ტროცკიმ შეჰკრეს ბლოკი ესერებთან, რათა საერთო ბრძოლა ეწარმოებინათ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, რომლის სათავეშიც იყვნენ მაშინ ლენინი, სტალინი და სვერდლოვი, რომ მათ განზრახული ჰქონდათ მოეწყოთ შეიარაღებული აჯანყება, რომ ისინი აპირებდნენ ლენინის, სტალინისა და სვერდლოვის დაპატიმრებასა და მოკვლას.

დამტკიცებულია თუ არა ეს?

სავსებით დამტკიცებულია. დამტკიცებულია თვით ბუხარინის ჩვენებებითა და იაკოვლევას და კარელინის, კამკოვის, მანცევისა და ოსინსკის ჩვენებებით.

ბუხარინი უარჰყოფს მკვლელობის მომზადებას, მაგრამ როგორ უარჰყოფს? მე გთხოვდით თქვენ, ამხანაგო მოსამართლენო, სათათბირო ოთახში გადაგეთვალიერებინათ ჩვენი სასამართლო გამოძიების სათანადო სხდომის ოქმი, რათა მთელი გარკვეულობით გაგხსენებოდათ მეთოდი, რომლითაც ბუხარინი ამ ფაქტს უარჰყოფს.

აი ეს საუბარი. ბუხარინი აღიარებს, რომ იგი იყო ამ შეთქმულების ერთერთი ორგანიზატორი.

მას ეკითხებიან: ლენინის, სტალინისა და სვერდლოვის დაპატიმრების შესახებ თქვენ აშკარად ლაპარაკობდით?

ბუხარინი: ლაპარაკი იყო დაპატიმრების შესახებ, მაგრამ არა ფიზიკური მოსპობის შესახებ. ეს იყო არა ბრესტის ზავის წინა პერიოდში, არამედ შემდეგ. ამ პერიოდში მე ერთი საუბარი მქონდა პიატაკოვთან, როდესაც კარელინი და კამკოვი მოვიდნენ და განაცხადეს, რომ ისინი იძლევიან წინადადებას ახალი მთავრობის შედგენის შესახებ.

კითხვა: როდის იყო ეს?

ბუხარინი: ეს იყო ბრესტის ზავამდე. მათ შემოიტანეს წინადადება მთავრობის შექმნის შესახებ, რისთვისაც 24 საათით უნდა დაეპატიმრებინათ ლენინი.

კითხვა: როდესაც მთავრობას ამხობენ და მას აპატიმრებენ იყენებენ თუ არა ძალდატანებითს საშუალებებს?

ბუხარინი: დიაღ.

კითხვა: თქვენ მხედველობაში გქონდათ გამოგეყენებინათ დაპატიმრებისას ძალდატანებითი საშუალებანი? სწორია თუ არა ეს?

ბუხარინი: სწორია.

კითხვა: მაგრამ რაში მდგომარეობენ ძალდატანებითი საშუალებანი? თქვენ ზუსტად დაადგინეთ ეს?

ბუხარინი: არა, არ დაგვიდგენია.

კითხვა: მაშ გადასწყვიტეთ ისე, როგორც გარემოებანი ნებას მოგცემდათ და გიბრძანებდათ?

ბუხარინი: დიაღ, სრული სიმართლეა.

კითხვა: ხოლო გარემოებებს შეუძლიათ გიბრძანონ იმოქმედოთ ძალიან გაბედულად?

ბუხარინი: დიაღ.

დასკვნა აქედან მარტივია — განზრახული იყო დაემხოთ მთავრობა, ამისათვის დაიპატიმრებინათ მთავრობა — ლენინი, სტალინი, სვერდლოვი, ეხმარათ ყველა ის ღონისძიებანი, რომლებიც შეიძლება უკარნახონ გარემოებებმა და იმ ბრძოლის ვითარებამ, რომელიც სწარმოებს მთავრობის დასამხობად. ბრძოლა იყო ყოვლად მწვავე ფორმით, და რამდენადაც—თუ ბუხარინის თვალსაზრისზე დავდგებით, როგორც მან სთქვა — არ ყოფილა ლაპარაკი მკვლელობის შესახებო. თვით ფაქტი, თვით მთავრობის დამხობის ამოცანა, თვით იმ მთავრობის ხელმძღვანელთა დაპატიმრების აუცილებლობა, რომლის დამხობაც დაისახეს მიზნად შეთქმულებმა, — ხომ სავსებით ბუნებრივად ლაპარაკობდა, რომ მათ არას გზით არ შეეძლოთ უარი ეთქვათ და ხელი აეღოთ ხელმძღვანელთა მოკვლაზე, განზრახულ მოკვლაზე...

მოვლენათა მთელი ლოგიკა, ამ ბრძოლის მთელი აზრი, იმ ატმოსფეროს მთელი სიმძაფრე, რომელშიც ეს ბრძოლა ხდებოდა, მთელი სიმწვავე თვით საკითხისა — იყოს ბრესტის ზავი, ესე იგი, იყოს საბჭოთა ქვეყანა, ქვეყანა, რომელიც აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას, თუ არ იყოს ბრესტის ზავი, არ იყოს საბჭოთა მიწა-წყალი, რომელიც, როგორც „ფორმალური“, მათ განზრახული ჰქონდათ გასანადგურებლად მიეცათ მტრისათვის, — ყოველივე ეს მთელი სერიოზულობით ლაპარაკობდა იმაზე, რომ საქმე ეხება ნამდვილ ბრძოლას, რომელიც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში დაკავშირებულია ისეთი ღონისძიების გამოყენების აუცილებლობასთანაც, რის შედეგსაც წარმოადგენს სიკვდილი, მკვლელობა. აი რატომ ვამბობ მე: ჩემთვის არა კრიმინოლოგიის თვალსაზრისით, ვინაიდან ამჟამად, 20 წლის შემდეგ იმ დროიდან, რაც მოხდა ეს ბოროტმოქმედება, ჩვენ არ ვუყენებთ ბუხარინს დამოუკიდებელ ბრალდებას, — ამას აქვს მნიშვნელობა იმისათვის, რომ შევაფასოთ ის კავშირი, რომელიც არსებობს მკვლელ და კონტრრევოლუციონერ ბუხარინსა და მისი თანამზრახველების შეთქმულობითი საქმიანობასა და მას შორის რასაც ისინი სჩადიოდნენ შემდეგში. ყოველივე ამას მნიშვნელობა აქვს, რათა ცხადვყოთ, რომ ბუხარინს ამჟამადაც იმ საკითხის შესახებ, რომელსაც ისტორიული ინტერესი და მნიშვნელობა აქვს, არ ძალუძს, არ სურს აღიაროს ყველა დანაშაულობანი, რომლებიც მან ნამდვილად ჩაიდინა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ.

ახლა სავსებით გამოაშკარავებულია ის საზარელი ბოროტმოქმედება, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1918 წლის 30 აგვისტოს. მე მხედველობაში მაქვს 1918 წლის 30 აგვისტოს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სიცოცხლეზე ხელყოფა ესერების ტერორისტი ქალის კაპლანის მიერ. კარელინი ამტკიცებდა აქ, რომ საკითხი ტერორისტული აქტის შესახებ ლენინის წინააღმდეგ აღძრული იყო 1918 წელს სახელდობრ ბუხარინისა და სხვა არავის მიერ. კარელინი ამტკიცებდა, რომ პროშიანმა ამის შესახებ მოახსენა „მემარცხენე“ ესერების პარტიის ც. კ-ის წევრებს. კარელინი ამტკიცებდა, რომ „ასეთი ხასიათის მოთხოვნამ „მემარცხენე კომუნისტების“ მხრივ, გამოთქმულმა მათი მეთაურის ბუხარინის მიერ, თავისი როლი ითამაშა ლენინის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის დაჩქარებაში რაც მემარჯვენე ესერების პარტიის ც. კ-მა მოახდინა. ეს საზარელი ბოროტმოქმედება ფაქტია.

ოსინსკიმ თავის ჩვენებაში სტუკოვის სიტყვების თანახმად სთქვა, რომ ის — სტუკოვი ასეთივე აზრისა იყო, ასეთივე წარმოდგენა ჰქონდა 1918 წლის 30 აგვისტოს ბოროტმოქმედებაზე.

„1918 წლის ბოლოს სტუკოვმა, — გვაძლევდა ჩვენებას აქ ოსინსკი, — რომელიც ბუხარინთან ერთად დაკავშირებული იყო ესერებთან, მითხრა, რომ მემარჯვენე ესერი ქალის ფანია კაპლანის გასროლა ლენინის წინააღმდეგ, მოწყობილი იყო არა მარტო მემარჯვენე ესერების ხელმძღვანელთა მითითებით, არამედ იყო პირდაპირი დასრულება იმ ღონისძიებათა, რომელნიც ბლოკს თავის დროზე დასახული ჰქონდა ლენინის, სტალინისა და სვერდლოვის ფიზიკური მოსპობისათვის“. (ტ. 44, ს. ფ. 89).

ეს ჩვენებანი საკმარისი დამაჯერებლობით მოწმობენ იმ საზიზღარ, გამცემლურ, ჯოჯოხეთურ მუშაობას, რომელსაც აწარმოებდა ბუხარინი, ეს პატენტიანი პირმოთნე და იეზუიტი.

რათა დავასრულოთ ბუხარინის ყოფაქცევისა და თვით ბუხარინის დახასიათება, უნდა ვთქვათ, რომ პირმოთნეობით და ვერაგობით ამ კაცმა გადააჭარბა ყველაზე ვერაგულ, საზარელ ბოროტმოქმედებს, რომელთაც კი იცნობდა კაცობრიობის ისტორია.

აქ, სასამართლოს წინაშე მთლიანად გვიჩვენა მან თავისი თავი. ბუხარინის პოლიტიკურ ცხოვრებას ჩვენ აქ კვალდაკვალ, წლიდანწლამდე მივდიეთ.

რამდენჯერ ფიცულობდა ბუხარინი ლენინის სახელით მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინვე უკეთ მოეტყუებინა და გაეცა პარტიაც, ქვეყანაც, სოციალიზმის საქმეც.

რამდენჯერ მიჰკარებია ბუხარინი დიდ მასწავლებელს იუდა-გამცემლის ამბორით!

ბუხარინი გვაგონებს ვასილ შუისკის და იუდა ისკარიოტელს, რომელიც ემბორებოდა და გასცემდა. და ქცევაც ნიკოლოზ ივანეს-ძე ბუხარინს სწორედ ისეთივე აქვს, როგორიც ვასილ ივანეს-ძე შუისკის, როგორც მას ჩვენ სახელოვანი მწერალი ოსტროვსკი გვიხატავს.

„თვალის სინათლეს, ვასილ ივანეს-ძეს, რაც არ უნდა დაიწყოს, ყველაფერი წმინდა აქვს! განზრახ თაღლითობას დაიწყებს, ან აშკარა სისაძაგლეს დააპირებს, თვითონ კი, ხედავ, ოხრავს მარხულის გამომეტყველებით და ამბობს: „წმინდა საქმეა, ძმებო!“...

ასეა ბუხარინიც—მავნებლობას, დივერსიას, ჯაშუშობას, მკვლელობას აწყობს, გარეგნულად კი მორჩილი შეხედულება აქვს, ჩუმი, თითქმის წმინდანისა. და თითქოს წყნარი სიტყვები ვასილ ივანეს-ძე შუისკისა: „წმინდა საქმეა, ძმებო!“ ისმის ნიკოლოზ ივანეს-ძის ბაგეთაგან.

აი უმწვერვალესი საზარელი პირმოთნეობა, ვერაგობა, იეზუიტობა და არაადამიანური სისაძაგლე.

ჯაშუშები, მოღალატეები, კაპიტალიზმის რესტავრატორები

სასამართლოს გამოძიებამ გამოამჟღავნა და სრული მკაფიობით დაამტკიცა, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი“ წარმოადგენდა ზოგიერთი უცხო სახელმწიფოს დაზვერვის ნამდვილ აგენტურას, რომელიც ამ ბლოკის საშუალებით, ამ შეთქმულთა ჯგუფის საშუალებით ანხორციელებდა ჯაშუშობას, მავნებლობას, დივერსიებს, ტერორს, სსრკ სამხედრო ძლიერების ძირგამოთხრას, ამ სახელმწიფოების პროვოკაციულ სამხედრო თავდასხმას სსრ კავშირზე, სსრ კავშირში არსებული სოციალისტური წესწყობილების დამხობას, სსრ კავშირში კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიის ხელისუფლების აღდგენას, სსრკ დანაწილებას და ზემოთაღნიშნულ სახელმწიფოთა სასარგებლოდ მისგან უკრაინის, ბელორუსიის, შუა აზიის რესპუბლიკების, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და პრიმორიეს ჩამოცილებას.

ამ გამოძიებით დადასტურებულია, რომ ბლოკს ჰყავდა თავისი ნამდვილი ბატონ-პატრონები ტროცკისა და უცხოეთის დაზვერვათა სახით, რომ მთელი მისი დანაშაულობრივი საქმიანობა მიმდინარეობდა იაპონიის, გერმანიისა და პოლონეთის გენერალური შტაბების უშუალო ხელმძღვანელობით და იქ შემუშავებული გეგმებით.

აი ჩერნოვის ჩვენება. ჩერნოვი უკავშირდება პოლიციას თუ პოლიციის მოხელის საშუალებით ბერლინში ობერჰაუზს. ობერჰაუზმა მითხრაო, ამბობს ჩერნოვი, რომ

(გაგრძელება იხ. 4-ე გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პროცესი

ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვის გაგრძელება

გერმანიის დაზვერვა იღებს საჭირო ზომებს საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. და შემდეგ, მიმართავს რა ჩერნოვს, ობერჰაუზი ეუბნება: „აი თქვენ სთვლით თქვენს თავს ოპოზიციად საბჭოთა კავშირში, თქვენ უნდა გაერთიანდეთ მაორგანიზებელ ძალად. თუ თქვენ გინდათ ხელისუფლების დაპყრობა, მაშინ ბრძოლის ნურც ერთ მეთოდს ნუ ითაკილებთ“. როცა ბრძოლის მეთოდებზე ლაპარაკობდა, ობერჰაუზმა წინადადება მისცა განმტკიცებულიყო მემარჯვენეთა კავშირი გერმანიის დაზვერვასთან. იგი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ მემარჯვენეთა მთელი ორგანიზაცია შეიძლება დავაყენოთ გერმანული დაზვერვის მიზნების სამსახურში.

აქ, სასამართლოს წინაშე, შეკითხვაზე, თუ ვინ იყო ბატონ-პატრონი, ჩერნოვმა უპასუხა: „რიკოვისა და გერმანიის დაზვერვის გარდა,—არავინ“. ნუთუ ცხადი არ არის, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ ეგრეთწოდებული ორგანიზაცია სხვა არა იყო რა, თუ არ ზოგიერთი უცხო სახელმწიფოს ზოგიერთი დაზვერვის ექსპოზიტურა.

ბრალდებულმა შარანგოვიჩმა აქ სავსებით დაადასტურა თავისი კავშირი პოლონეთის გენერალურ შტაბთან. მან დაადასტურა, რომ, როგორც ბელორუსული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური არალეგალური ადგილობრივი ორგანიზაციის მეთაური, ის თავის მიზნად ისახავდა პოლონეთის დაზვერვისა და პოლონეთის გენერალური შტაბის ინტერესების მომსახურებას.

ძირითადი მიზნები ამ ორგანიზაციისა? თვით შარანგოვიჩმა მოკლედ განსაზღვრა ისინი: საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და კაპიტალიზმის აღდგენა, ბელორუსიის ჩამოცილება საბჭოთა კავშირისაგან ფაშისტურ სახელმწიფოებთან ომის შემთხვევაში. ამ მიზნის მისაღწევად, როგორც ის ლაპარაკობდა, ხაზი ესმებოდა მჭიდრო კავშირის დამყარების აუცილებლობას პოლონეთის გენერალურ შტაბთან.

აი რატომ სავსებით სამართლიანად სთქვა აქ რიკოვმა, რომ მემარჯვენეთა ბელორუსული ორგანიზაცია არსებითად პოლონეთის გენერალური შტაბის ექსპოზიტურა იყო. რიკოვმა ჩვენ გვითხრა აქ, რომ მან ჯერ კიდევ 1933 წელს იცოდა კარახანის მოლაპარაკების შესახებ გერმანელ ფაშისტებთან, რომ გერმანელი ფაშისტები სრული კეთილგანწყობით უცქერდნენ, როგორც აქ ბრალდებულმა რიკოვმა სთქვა, მემარჯვენეების მიერ ხელისუფლების დაპყრობის შესაძლებლობას, და რომ ისინი შეჰპირდნენ ყოველნაირად მივესალმებით და მხარს დავუჭერთ ხელისუფლების ამ დაპყრობასო.

სავსებით ცხადია, რომ სსრ კავშირზე თავდასხმისათვის პლაცდარმის მომზადების ამოცანა და გამარჯვების უზრუნველყოფა სსრ კავშირზე, ამ თავდასხმის შემთხვევაში, ეს ამოცანა დასმული იყო გერმანიის, პოლონეთისა და სხვა დაზვერვების მიერ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ წინაშე, როგორც ფაშისტური დაზვერვის პირდაპირი აგენტურის წინაშე.

და, ბოლოს, ჩვენ გვახსოვს კრესტინსკის ჩვენებანი. როგორც ხაფანგში დაჭერილი თაგვი, ის უკვე აქ, პროცესზე, აქეთ-იქით აწყდებოდა, ეძებდა თავის გადარჩენის შესაძლებელ გზებს, მაგრამ ეს უიმედო აღმოჩნდა. კრესტინსკიმ აღიარა, რომ უკვე 1920—1921 წლებში, ტროცკის მითითებით, იგი, კრესტინსკი სხვა ტროცკისტებთან ერთად მოლაპარაკებას აწარმოებდა გენერალ სექტთან და გერმანიის რეიხსვერთან, ის 250 ათას ოქროს მარკად წელიწადში ჯაშუშურ ცნობებს აძლევდა გერმანიის გენერალურ შტაბს და უზრუნველჰყოფდა გერმანიის სამხედრო მზვერავების დაუბრკოლებელ შემოსვლას სსრ კავშირში. რაზე იყო მაშინ ლაპარაკი, თუ არ სსრ კავშირის გადაქცევაზე გერმანიის ფაშიზმის კოლონიად? რაში მდგომარეობს რეიხსვერთან ამ შეთანხმების არსებითი მხარე, რომლის ძაფები დაკავშირებულია ეგრეთწოდებული „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ ღალატთან და გამცემლობასთან,—ამის შესახებ სთქვა თვითონ კრესტინსკიმ. ნება მომეცით მოკლედ მოგაგონოთ.

„ჩვენ ვიღებთ, — ლაპარაკობს იგი,—მცირე თანხას, ისინი კი იღებენ ჯაშუშურ ინფორმაციას, რომელიც მათთვის საჭირო იქნება საომარი თავდასხმის დროს. მაგრამ გერმანიის მთავრობას ხომ,—ჭკუას გვასწავლის შემდეგ კრესტინსკი, აშკარავებს რა თავის ზრახვებს,—კერძოდ ჰიტლერს, სჭირდება კოლონიები, ტერიტორიები, და არამარტო ჯაშუშური ინფორმაცია. და ის (ე. ი. ჰიტლერი) მზად არის კოლონიების მაგიერ, რომლის გულისათვის უნდა ეჩხუბოს ინგლისს, ამერიკასა და საფრანგეთს, დაკმაყოფილდეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიით“. საკითხი სდგას, როგორც იტყვიან უაღრესად ნათლად. სათამაშო ქაღალდი, თუმცა დაწინწკლული, სავსებით გახსნილია. ისინი ამბობდნენ: „ჩვენ გაძლევთ არა მარტო ჯაშუშურ ცნობებს, არამედ საჭირო მომენტში ჩვენ გაგიხსნით ფრონტს. ამისათვის მოგვეცით ფული, რომლის საშუალებით ჩვენ ვაწარმოებთ დანაშაულობრივ არალეგალურ ტროცკისტულ მუშაობას. რათ უნდა ებრძოლოთ თქვენ ინგლისს, ამერიკასა და საფრანგეთს კოლონიებისათვის? თქვენ შეგიძლიათ სსრ კავშირი გადააქციოთ თქვენს კოლონიად. უკიდურეს შემთხვევაში მისი აყვავებული მონაპირე რესპუბლიკები მაინც, მაგალითად უკრაინა. რათ უნდა ებრძოლოთ ამერიკას, ინგლისსა და საფრანგეთს კოლონიებისათვის, როცა ჩვენ, თქვენი მორჩილი ფარეშები, მზად ვართ მოგცეთ საბჭოთა მიწა იმ ოქროს მარკებში, რომლითაც თქვენ დაგვეხმარებით ჩვენი არალეგალური მუშაობის წარმოებისათვის“.

აი აზრი ამ შეთანხმებისა.

„მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკი“—ეს არა მარტო უიდეო, უპრინციპო ხროვაა მავნებლებისა, დივერსანტებისა, მკვლელებისა, ჯაშუშებისა,—ეს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, უცხოეთის დაზვერვების აგენტთა პირწავარდნილი ხროვაა. ის ალაყაფის კარებს უღებს მტერს, ფარული სათოფურებიდან ესვრის ქუჩებს, ხელს უწყობს ოა ქალაქებში და სოფლებში შემოჭრილ მტერს, ხელს უწყობს თავის სამშობლოს დამარცხებას.

კრესტინსკი ამბობდა, „ჩვენ მივდიოდით კაპიტალისტური ურთიერთობის აღდგენაზე სსრ კავშირში და ტერიტორიულ დათმობებზე ბურჟუაზიული სახელმწიფოების მიმართ, რომლებთანაც ამის შესახებ უკვე შევთანხმდით“.

ამაშია, არსებითად რომ ვთქვათ, ბლოკის დანაშაულობრივი საქმიანობის მთელი აზრი.

თავის ჩვენებათა ცინიზმში კრესტინსკის არც გრინკო ჩამორჩება. გრინკო ხომ პირდაპირ აჩვენებდა, რომ ამოცანა, რომელიც დაუსახეს მათ უცხოეთის მზვერავმა ბატონპატრონებმა, მდგომარეობს, უმთავრესად, იმაში, რომ დახმარებოდნენ უცხოელ აგრესორებს: ეს იყო, ამბობდა გრინკო აქ, საერთო პოზიცია ტროცკისტებისა, მემარჯვენეებისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაციებისაც, და, კერძოდ, უკრაინული ნაციონალ-ფაშისტური ორგანიზაციისა.

ეს მოასწავებდა საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერებისათვის ძირის გამოთხრას, ძირგამომთხრელ მუშაობას არმიასა და თავდაცვითს მრეწველობაში, ფრონტის გახსნას ომის შემთხვევაში და ამ ომის პროვოცირებას.

საპატიო ამოცანები კია, აი!

თვით ამ დანაშაულობრივი მიზნების ჩამოთვლა მთლიანად ამხელს ამ ბლოკს, როგორც ზოგიერთი უცხო სახელმწიფოს ჯაშუშურ-მზვერავი ორგანიზაციების პირწავარდნილ ბანდას.

იკრამოვმა აქ მოგვითხრო, თუ როგორ ჩააგონებდნენ მას „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მეთაურები, და პირველ რიგში ბუხარინი, მიეღო ყოველგვარი ზომები, რათა გადაქცეულიყო უცხოეთის დაზვერვათა ნამდვილ აგენტურად.

„მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის“ მოსკოველი მეთაურები იკრამოვს აწვდიდნენ ინფორმაციას იაპონია-გერმანულ, როგორც ისინი ამბობდნენ, „ორიენტაციაზე“, თავიანთ კავშირურთიერთობაზე გერმანელებთან და იაპონელებთან. რისი გულისათვის? იმ ამოცანისათვის, რომელიც ასე მკაფიოდ დაგვიხატეს გრინკომაც და კრესტინსკიმაც.

მეორე შეხვედრა მიძღვნილი იყო მავნებლობის საკითხის განხილვისადმი. მესამე შეხვედრა მიძღვნილი იყო ინგლისთან კავშირურთიერთობის საკითხისადმი. ამაზე აქ ძალიან დაწვრილებით და სრულად ლაპარაკობდა ბრალდებული ხოჯაევი.

რას ეუბნებოდა მას ბუხარინი? იგი ეუბნებოდა, რომ საჭიროა ავიღოთ ორიენტაცია ინგლისზე, რომ თუ ახლა ომი არ იქნა, თუ ინტერვენცია მალე არ მოხდა,—ჩვენს საქმეს „ანდერძი აეგება“.

არსებითად რომ ვთქვათ, ბუხარინი აქ არ უარჰყოფდა ამ საუბარს. ესევე დაადასტურა მეორე ბრალდებულმა ხოჯაევმაც.

იმაზე, თუ როგორი იყო ეს ურთიერთდამოკიდებულება უცხოეთის დაზვერვებსა და ბლოკს შორის, შეიძლება ვიმსჯელოთ მთელი რიგი ფაქტების მიხედვით, რომლებიც უცილობლად დადასტურდა სასამართლოს ამ ძიების დროს.

მე თქვენ მოგაგონებთ ბრალდებულ რიკოვის დაკითხვას. კითხვაზე, თუ რას წარმოადგენდა ბურჟუაზიულ-ფაშისტური ორგანიზაცია, რომელიც ბელორუსიაში მოქმედებდა გოლოდედის, ჩერვიაკოვისა და შარანგოვიჩის ხელმძღვანელობით, რიკოვი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ბელორუსიაში ხელმძღვანელ პოსტებზე ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო ცალკეულ მუშაკთა დანიშვნასაც კი წინასწარ ათანხმებდნენ პოლონეთის დაზვერვასთან.

მე თქვენ მოგაგონებთ ბრალდებულ ივანოვის ჩვენებებს, რომელმაც აქ უკვე ილაპარაკა, რომ ზოგჯერ ბლოკის მონაწილენი ვერ არჩევდნენ, თუ სად მოქმედებდნენ მემარჯვენენი და სად მოქმედებდა უცხოეთის დაზვერვა, იმდენად იყო მათში ყველაფერი გადახლართული. მე აგრეთვე მოგაგონებთ იმასაც, რომ, ივანოვის სიტყვით, ბუხარინი ურჩევდა მას დაჰკავშირებოდა ინგლისის დაზვერვას. ბუხარინი ეუბნებოდა, ინგლისს ძალიან დიდი ინტერესები აქვს ჩრდილოეთის მხარეში. იგი ამბობდა, რომ ამ ქვეყანასთან მემარჯვენეთა ცენტრს შეთანხმება აქვს საბჭოთა ხელისუფლების დამხობაში მემარჯვენეებისათვის დახმარების გაწევის შესახებ და რომ ეს შეთანხმება ითვალისწინებს ინგლისელ ტყისმრეწველთა ინტერესების უზრუნველყოფას ჩრდილოეთის მხარის სატყეო მეურნეობაშიო.

როგორც ივანოვმა აჩვენა, ბუხარინი ურჩევდა მას იმგვარად დაეყენებინა საქმე, რომ დაენახვებინა ინგლისის ბურჟუაზიისათვის, რომ მემარჯვენეები ხალისით თანხმდებიან დააკმაყოფილონ ამ ბურჟუაზიის ყოველგვარი ეკონომიური და ფინანსიური ინტერესები, ურჩევდა მიეცა ავანსები ინგლისის ბურჟუაზიისათვის, რათა ერთის მხრით არ დაეკარგა მათი მხარდაჭერა, ხოლო მეორე მხრით არ დაეკარგა ნდობა.

არსებითად ამასვე ამბობდა რაკოვსკიც, როდესაც იგი აჩვენებდა, თუ ხშირად რა წინააღმდეგობებით ალსავსე მდგომარეობა იქმნებოდა უცხოეთის დაზვერვათა ისეთი „კეთილსინდისიერი“ აგენტებისათვის, როგორადაც გამოიყურება ეს სათნო ბერიკაცი, რომელიც აქ თქვენს წინაშე ბრალდებულთა სკამზე ზის. თვით რაკოვსკი წარმოადგენს ისეთ სპეციალისტს, რომელიც ერთდაიმავე დროს იაპონიის დაზვერვასაც ემსახურებოდა და ინგლისის დაზვერვასაც და იურენევთან ერთად ვარდებოდა მათთვის „მძიმე“ მდგომარეობაში.

„ჩვენ,—ამბობდა აქ რაკოვსკი, გადმოგვცემდა რა იურენევის სიტყვებს,—ისეთ ხლართში ჩავვარდით, რომ ზოგჯერ არც კი იცი, როგორ მოიქცე. გეშინია— ერთერთ ჩვენს კონტრაგენტს, რომ დააკმაყოფილებ, ვაი თუ მეორეს აწყენინო. აი, ახლა, მაგალითად, იქმნება ანტაგონიზმი ინგლისსა და იაპონიას შორის ჩინეთის საკითხზე, ჩვენ კი გვიხდება ვიქონიოთ კავშირურთიერთობა ინგლისის დაზვერვასთანაც და იაპონიის დაზვერვასთანაც...“

მძიმე მდგომარეობაა მზვერავისათვის, მძიმე მდგომარეობაა ინგლისის და იაპონიის ჯაშუშისათვის!

ამასთან დაკავშირებით საჭიროა შევეხოთ ბუხარინს, რომელსაც აქ უნდოდა ეჩვენებინა, რომ, არსებითად რომ ვთქვათ, იგი არ არის არც სსრ კავშირის დამარცხების, არც შპიონაჟის, არც მავნებლობის, არც დივერსიის მომხრე, ვინაიდან საერთოდ მას დამოკიდებულება არ უნდა ჰქონეს ამ პრაქტიკულ საქმესთან, ვინაიდან იგი „თეორეტიკოსია“, რომელიც მუშაობდა საყოველთაო საკითხების პრობლემატიკაზე.

როდესაც ბუხარინს ამაზე ეკითხებიან: „სხვანაირად რომ ვთქვათ, იყო ორიენტაცია ზოგიერთი უცხო სახელმწიფოს დახმარებაზე?“, იგი უპასუხებდა: „დიაღ, ეს ასეც შეიძლება ითქვას“. მას არ უნდა პირდაპირ სთქვას, არამედ ამბობს, რომ „ეს ასეც შეიძლება ითქვას“. შეიძლება და საჭიროა ასე ითქვას, ვინაიდან ეს შეეფერება სინამდვილეს. კითხვაზე: „სხვანაირად რომ ვთქვათ, ორიენტაცია სსრ კავშირის დამარცხებაზე?“, — ბუხარინი ამბობს, რჩება რა თავისი ბუნდოვანი სიტყვიერი ექვილიბრისტიკის ერთგული: „საერთოდ თუ შევაჯამებთ, ვიმეორებ—დიაღ“.

ბუხარინი რიკოვთან და ტომსკისთან ერთად სახუმარო საქმეს კი არ აწყობდა, არამედ სერიოზულ საქმეს, საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამხობის საქმეს; ისინი არ ერიდებოდნენ პირდაპირ არავითარ საშუალებას. დაჰკარგეს რა ყოველგვარი დასაყრდენი სსრ კავშირის შიგნით, დაამყარეს რა მთელი თავისი იმედები სსრ კავშირისადმი მტრულ უცხო სახელმწიფოზე, ისინი შეუთანხმდნენ მას ფრონტის გახსნის შესახებ, საბჭოთა ხალხის, საბჭოთა სახელმწიფოს განადგურების საერთო განზრახვის შესახებ, იმისათვის, რომ ღალატის გზით დაჰპატრონებოდნენ ძალაუფლებას, რომელიც მათ იმავე მომენტში მთლიანად, განუყოფლად და სავსებით უნდა გადაეცათ ფაშისტების ხელში, თავისი ნამდვილი პატრონების ხელში.

კმარა სიტყვებით თამაში! კმარა ექვილიბრისტიკა, „ფილოსოფია“! ლაპარაკი იყო სახელმწიფო ღალატზე, მტრის მხარეს გადასვლაზე, ფრონტის გახსნაზე, სსრ კავშირის დამარცხებაზე, ჩვენი სამშობლოს განადგურებაზე.

ამ შეთქმულების ცალკეულ მონაწილეთა მთელ ჯაშუშურ მუშაობას ყველა უბანზე მთლიანად წარმართავდნენ ბუხარინი და რიკოვი. ყველა ჯაშუშური ცნობა სათანადო ორგანოებში მიდიოდა იმ არხებით, იმ საშუალებებისა და კავშირურთიერთობის გზით, რომლებიც რიკოვის, ბუხარინის, იაგოდას და მათი თანამონაწილეების ხელში იყო.

აქ სასამართლოში სავსებით გამომჟღავნდა რიკოვის, ბუხარინისა და იაგოდას კავშირურთიერთობა უცხოეთის მთელ რიგ სახელმწიფოთა დაზვერვებთან. მენშევიკებთან, დანთან, II ინტერნაციონალთან, ესერებთან, მასლოვთან, უცხოეთის, საზღვარგარეთის დაზვერვებთან ერთად, აგრესორებთან ერთად ისინი ცდილობდნენ დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება და აღედგინათ ნამდვილი, პირწავარდნილი, ასპროცენტიანი კაპიტალიზმის, მემამულეთა და ფაბრიკანტთა ნამდვილი ბატონობის ხელისუფლება.

ყველა ეს მავნებლობა, ღალატი, გამცემლობა გადახლართული იყო უცხოეთის დაზვერვათა სისტემატურ მომსახურებასთან საიდუმლო ცნობებითა და სხვადასხვა მასალებით. კრესტინსკი, როზენგოლცი, ივანოვი, შარანგოვიჩი, ჩერნოვი, რაკოვსკი, იაგოდა და სხვები სისტემატურად აწვდიდნენ უცხოეთის დაზვერვებს საბჭოთა სახელმწიფოს საიდუმლოებას.

იმაზე, რომ შეთქმულნი „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკიდან“ სისტემატურ მომსახურებას უწევდნენ უცხოეთის დაზვერვებს, ჩვენ სარწმუნო ცნობები მოგვეპოვება. მე აქ მოვიყვან ტოკიოს გაზეთ „მიაკოს“ 1937 წლის 20 თებერვლის ნომრიდან ამონაწერს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ეგრეთწოდებული საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის საიდუმლო სხდომის შესახებ. დეპუტატმა იოსიდამ სამხედრო მინისტრს გენერალ სუგიამას მიმართა შეკითხვით: „იცის თუ არა მან და არმიამ, როგორია ციმბირის რკინიგზის ტვირთგამტარობა“. მინისტრმა ამ შეკითხვაზე დადებითად უპასუხა და სთქვა, რომ ციმბირის რკინიგზის ტვირთგამტარობა მათ იციან, რომ ციმბირის რკინიგზის გამტარუნარიანობის შესახებ მათ სისტემატური ცნობები მოეპოვებათ რუსეთში არსებული ელემენტებისაგან, რომელნიც ოპოზიციაში უდგნან ახლანდელ საბჭოთა მთავრობას. მათი საშუალებით იაპონიაში ღებულობენ ცნობებს ციმბირის რკინიგზის შესახებ.

აი ეს ელემენტები, აი ეს ჯაშუშები, მზვერავები, იმპერიალიზმის მსახურნი, რომელნიც ჩვენი ქვეყნის ინტერესებით ვაჭრობენ. აი ისინი— სამხედრო მინისტრის აგენტები, რომელნიც ჩვენი ქვეყნის მიჯნებზე აგროვებენ თავის ძალებს ჩვენს წმინდათა-წმინდა საზღვრებზე თავდასხმისათვის.

ბუხარინი, ტომსკი, რიკოვი, იაგოდა აპირებდნენ ფრონტის გახსნას. მაგრამ აქაც, ისე როგორც ყველგან, როგორც მთელს თავის გამცემლურ მუშაობაში, ისინი მოქმედებდნენ როგორც პროვოკატორები. და არც ეს არის შემთხვევითი, რადგან ეს ახასიათებს ამ ვაჟბატონების მუშაობის მეთოდს.

ისინი ფრონტის გასახსნელად ემზადებიან, მაგრამ მათ სურთ ისე აჩვენონ საქმე მთელი ჩვენი ქვეყნის მუშებსა და გლეხებს, მთელ ჩვენს ხალხს, რომ ფრონტი მათ კი არ გახსნეს, არამედ ვიღაც სხვამ, რომ ისინი, პირიქით, წინააღმდეგი არიან ფრონტის გახსნისა, წინააღმდეგი არიან ღალატისა; ისინი პირსაც კი ჰკრავდნენ იმის შესახებ, თუ როგორ მისცენ სამართალში ისინი, ვინც გახსნის ფრონტს მათივე ბრძანებით, რათა გამოიყენონ, როგორც ცინიკურად გამოსთქვა ბუხარინმა, პატრიოტული ლოზუნგები.

თამაში გამოაშკარავებულია. გამცემლური ნიღაბი მათი სახიდან ჩამოგლეჯილია და ჩამოგლეჯილია ერთხელ და სამუდამოდ. ვერც ერთმა ბრალდებულმა ვერ გაბედა უარეყო თავისი დანაშაულობრივი მუშაობა სსრ კავშირის დამარცხების მომზადებისა და სსრ კავშირის დანაწილების მიმართულებით.

ტროცკი, როგორც ეს წინანდელ პროცესებზე გამოირკვა და როგორც ეს კვლავ დადასტურდა ამ პროცესზე, შეუთანხმდა გერმანიისა და იაპონიის დაზვერვებს სსრ კავშირისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საერთო ბრძოლის შესახებ. ჩვენ ამ პროცესზედაც მოგვეპოვება ამის შესახებ ერთერთი ბრალდებულის, სახელდობრ ბრალდებული ბესონოვის მეტად დაწვრილებითი ჩვენება.

ჩვენ ვიცით, რომ ტროცკისტებმა თავისი ორგულობის ნიღაბით შესძლეს გამძვრალიყვნენ მთელ რიგ საკმაოდ პასუხსაგებ პოსტებზე, რომლებზედაც პრაქტიკულად ხორციელდება ჩვენი საგარეო პოლიტიკა. რაკოვსკები, კრესტინსკები, იურენევები და სხვები, ბესონოვები და მათი მსგავსნი — ყველა ესენი ხომ ის ადამიანები არიან, რომელნიც ასრულებდნენ მათთვის დაკისრებულ საქმეს — სსრ კავშირის დიპლომატიურ წარმომადგენლობას საგარეო ურთიერთობაში. ეს, სხვათა შორის, კიდევ უფრო აძლიერებს მათს დანაშაულს და საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა ხალხის წინაშე მათი პასუხისმგებლობის სიმძიმეს.

ამ ვაჟბატონებმა გამოიყენეს თავისი თანამდებობრივი მდგომარეობა, — და ასე იქცეოდა რაკოვსკიც, გრინკოც, კრესტინსკიც, — იმისთვის, რომ ჩაეშალნათ მშვიდობიანობის საქმე, იმისთვის, რომ მიეღოთ შესაძლო შეტაკებათა პროვოცირების ყველა ზომები იმპერიალისტების გულის მოსაგებად.

შეთანხმების მეორე პუნქტი — სსრ კავშირში მომქმედი ტროცკისტული ორგანიზაციების ყოველმხრივი თანამშრომლობა გერმანიის არალეგალურ და ჯაშუშურ ორგანიზაციებთან და მათ აგენტებთან. რისთვის? სსრ კავშირის სამხედრო და სამეურნეო ძლიერებისათვის ძირის გამოსათხრელად, ომში სსრ კავშირის დამარცხების დასაჩქარებლად.

მესამე პუნქტი — გერმანიის ფაშიზმის მიერ სსრ კავშირში სახელმწიფო გადატრიალებისათვის ხელის შეწყობა იმ მიზნით, რომ ძალაუფლება „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ ხელში გადავიდეს.

მეოთხე — ინტერვენციის დაჩქარება და ზავის დაუყოვნებლივ დადება ახალ მთავრობასთან ძალაუფლების სათავეში მისი ჩადგომის შემდეგ — ბუნებრივი ნაბიჯი იმ მოღალატური მუშაობის გეგმაში, რომელსაც ეს ვაჟბატონები ეწეოდნენ.

მეხუთე — უკრაინის ჩამოშორება სსრ კავშირისაგან გერმანიის სასარგებლოდ, ისე როგორც პრიმორიეს ჩამოშორება იაპონიის სასარგებლოდ, როგორც ბელორუსიის ჩამოშორება პოლონეთის სასარგებლოდ, როგორც მთელი ჩვენი საბჭოთა კავშირის დანაწილება ცალკეული ოლქებისა და რესპუბლიკების ჩამოშორების გზით და მათი გადაცემა უცხოელ იმპერიალისტთა განკარგულებაში.

ბუხარინი აქ იძულებული იყო აღიარებინა, რომ პირობები, რომელთა საფუძველზედაც დადებულ იქნა ეს ეგრეთწოდებული კავშირი, — ხოლო ეს სრულიადაც არ არის „კავშირი“ (არამედ არსებითად ეს პატრონისა და ნოქრის ხელშეკრულებაა) — ეს პირობები იყო: სსრ კავშირის დანაწილება, უკრაინის, პრიმორიეს, ბელორუსიის ჩამოშორება სსრ კავშირისაგან. მე შევეკითხე ბუხარინს: „ვის სასარგებლოდ?“ და მან მიპასუხა: „გერმანიის სასარგებლოდ, იაპონიის, ნაწილობრივ ინგლისის სასარგებლოდ“. ეს არის ბუხარინის საკუთარი აღიარება, რომელსაც იგი ვერსად გაექცევა და რომელსაც ის თავს ვერ დააღწევს.

ტროცკისტები და მემარჯვენეები სწორედ ამ შეთანხმების შესაბამისად მოქმედებდნენ.

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტულ ბლოკში“ თვალსაჩინო ადგილი ეჭირათ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ჯგუფებს, რომლებიც შეიქმნა ზოგიერთ ნაციონალურ რესპუბლიკაში იმავე უცხოეთის დაზვერვათა აგენტურის პირდაპირი ზეგავლენით და „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ ეგრეთწოდებული ცენტრის უშუალო ხელმძღვანელობით.

მოღალატენი გრინკო, ხოჯაევი, შარანგოვიჩი, იკრამოვი — ესენი არიან სხვადასხვა ჯურის გაქნილი, ნაცადი კონტრრევოლუციონერები, დიდი კონტრრევოლუციური სტაჟით, ბოროტბისტებიდან, „მილი ისტიკლიალიდან“ და „მილი იტიხადიდან“ „მემარჯვენე-ტროცკისტულ ბლოკამდე“.

რიკოვი არწმუნებდა ხოჯაევს, რომ მემარჯვენეთა ხელმძღვანელობით უზბეკეთის ნაციონალისტურ ორგანიზაციას შეუძლია მიაღწიოს უზბეკეთის რესპუბლიკის „დამოუკიდებლობას“.

რიკოვთან ერთად ამავე მიმართულებით მოქმედებდა ბუხარინიც, რომელიც ხოჯაევის სიტყვით, ხოტბას ასხამდა გერმანიის ფაშიზმს, ამბობდა რა, რომ ფაშისტური გერმანია ამჟამად მთელი ძალღონით მუშაობს იმაზე, რომ გერმანია ევროპის ჰეგემონად გადააქციოს, და რომ შესაძლოა შეთანხმება იაპონიასა და გერმანიას შორის სსრ კავშირთან საბრძოლველად.

ბუხარინი ჩააგონებდა ხოჯაევს გამოენახა გზები ინგლისის დაზვერვისაკენ იმ ყურბაშების საშუალებით, რომელთა შესახებ აქ აჩვენა ხოჯაევმა. ბუხარინი წინადადებას აძლევდა კავშირი გაებათ ინგლისურ წრეებთან, ზოგ რამეს შეჰპირებოდნენ ინგლისს. იგი ამბობდა: „არ შეუძლია უზბეკეთს 5 მილიონიანი მოსახლეობით დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გახდეს ორ ბუმბერაზს შორის: ერთის მხრით, საბჭოთა კავშირსა, და, მეორეს მხრით, ინგლისს შორის. საჭიროა რომელიმე ნაპირს მიადგეთ“. და ბუხარინი ხელს ჰკრავს ხოჯაევს, რომელიც ისედაც თავისთავად საკმაოდ მომზადებულია, რომ ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ნაპირს მიადგეს.

ბუხარინი ამ მიმართულებით იკრამოვის დამუშავებასაც აწარმოებდა, თუმცა იკრამოვი ისეთია, რომ ძალიანაც არ საჭიროებდა ამას. ბუხარინი ცილს სწამებდა ლენინს, იგი ამბობდა, რომ კოლონიურ ქვეყნებს არ შეუძლიათ მიაღწიონ სოციალიზმს სსრ კავშირის პროლეტარიატის დახმარებით.

მემარჯვენე-ტროცკისტ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტ მოღალატეებს, თავიანთი კაპიტალისტი ბატონების საამებლად, უნდოდათ კვლავ დაედგათ კაპიტალისტური მონობის უღელი ჩვენი მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების ხალხებისათვის, რომლებიც დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ გაანთავისუფლა და რომლებსაც წინათ ცარიზმი, მემამულეები და კაპიტალისტები სჩაგრავდნენ. ვერ ბედავდნენ რა საჯაროდ გამოეთქვათ თავისი გამცემლური გეგმები იმ ხალხთა დამონებისა, რომლებიც ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგად აყვანილ იქნენ უდიდეს სიმაღლეზე, კულტურულ-პოლიტიკური და ეკონომიური აყვავების სიმაღლეზე, — ეს გამცემლები იყენებდნენ თავის გამცემლურ, ცრუ, მოსატყუებელ ლოზუნგებსა და სიტყვებს ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შესახებ. თითქოს მსოფლიოში არსებობდეს სხვა ქვეყანა, გარდა სსრ კავშირისა, სადაც მართლაც უზრუნველყოფილი იყოს ნამდვილი ნაციონალური დამოუკიდებლობა, ნამდვილი და სრული ნაციონალური კულტურა, ხალხთა მილიონიანი მასების ნამდვილი აყვავება! ასეთი ქვეყანა, გარდა სსრ კავშირისა, მთელ მსოფლიოში არ არის! იმ დროს, როცა კაპიტალისტური ქვეყნების კოლონიებში — ინდოეთში, ალჟირში, ტუნისში, მაროკოში, ისევე როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში, ხალხები იტანჯებიან კაპიტალისტური ჩაგვრის მძიმე უღელქვეშ, სადაც სულ უფროდაუფრო მატულობს სიღარიბე და სილატაკე, მასების ამოწყვეტა შიმშილით, სადაც ფართოდაა გავრცელებული სიფილისი, ტუბერკულოზი, სადაც სულ უფროდაუფრო ძლიერდება გაჩანაგება და პაუპერიზაცია, — სსრ კავშირში, მის სახელოვან თერთმეტ მოკავშირე რესპუბლიკაში სულ უფროდაუფრო იზრდება მასების მატერიალური კეთილდღეობა, სულ უფროდაუფრო ვითარდება ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურა, სულ უფროდაუფრო სასიხარულოდ და მკაფიოდ ელვარებს ამ რესპუბლიკების მდიდარ, თვალუწვდენელ სივრცეებზე დიადი ცხოველმყოფელი სხივებით ამობრწყინებული ახალი სოციალისტური მზე ხალხთა მძლავრი ურღვევი კავშირის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უქკნობი დიდების მზე.

მავნებლები, დივერსანტები

მოღალატეთა ეს ხროვა მოქმედებდა უკვე ცნობილი, სასამართლოს მიერ არაერთხელ გამოაშკარავებული, დანაშაულობრივი მეთოდებით: მავნებლობის, დივერსიის, შპიონაჟის, ტერორის მეთოდით. მავნებლები დივერსანტები, ჯაშუშები შეიპარნენ მთელ რიგ დარგებში და იქ ხელმძღვანელი მდგომარეობა დაიკავეს. ასეთი იყო ჩერნოვი, რომელსაც ეჭირა საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მაღალი პოსტი, ასეთი იყო გრინკო, რომელსაც ეჭირა სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის მაღალი პოსტი, ასეთი იყო როზენგოლცი, რომელსაც ეჭირა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მაღალი პოსტი, ასეთი იყო ზელენსკი, ცენტროსოიუზის ყოფილი თავმჯდომარე, ასე იყო კიდევ მთელ რიგ სხვა შემთხვევებში. ამ დამნაშავეთა ხელში, რასაკვირველია, ისეთი შესაძლებლობანი იყო უაღრესად ფართო და ამავე დროს უაღრესად შენიღბული და უაღრესად საშიში მავნებლობისა, როგორიც იშვიათად არის ხოლმე დამნაშავეთა ხელში.

ისახავდა რა თავის ძირითად მიზანს — საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი“,—როგორც ეს ჩვენმა სასამართლო ძიებამ გვიჩვენა, არ მორიდებია ყველაზე ბინძურ და ყველაზე ცინიკურ მეთოდებს, რათა ძირი გამოეთხარა მასების ნდობისათვის საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისადმი, რათა დაეთესა მოსახლეობაში უკმაყოფილება საბჭოებით და, შეძლებისდაგვარად, აემხედრებინა ხალხი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ეს პროვოკაციული საქმიანობა, რომელსაც თვითეული ბრალდებული ატარებდა იქ, სადაც ის მუშაობდა, უდიდეს საერთო-პოლიტიკურ საფრთხეს წარმოადგენს. ამას განსაკუთრებით მოწმობენ ისეთი საქმეები, როგორიცაა, მაგალითად, აქ, სასამართლოში, ნახსენები ლეპელის საქმე: უწესოებანი და უკანონობანი, რომლებსაც ამ ბლოკის კარნახით ახორციელებდნენ შეთქმულნი და დამნაშავენი, მიმართული იყო იქითკენ, რომ უკანონო მოქმედებათა პრაქტიკით სახელი გაეტეხათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის მოსახლეობის უფართოესი მასების თვალში.

აიღეთ ფინანსები. მავნებლების ძირითადი მიზანდასახულობა ფინანსების დარგში,—როგორც ეს რიკოვმა, ბუხარინის თანხმობით, ჩამოაყალიბა,—იყო „დავარტყათ საბჭოთა მთავრობას საბჭოთა მანეთითო“. ეს სხვანაირად გამოთქმული ძველი ტროცკისტული ლოზუნგია, რომელიც ცნობილია სხვა პროცესებიდან პიატაკოვის საშუალებით— „დავარტყათ ყველაზე უფრო საგრძნობი საშუალებებით ყველაზე უფრო მგრძნობიარე ადგილებსო“.

„დავარტყათ საბჭოთა მთავრობას საბჭოთა მანეთითო“—აი დირექტივა, რომელიც განსაზღვრავდა გრინკოს მთელ საქმიანობას, საქმიანობას ყოფილი ფინანსთა სახალხო კომისრისას, რომელიც ამავე დროს მოქმედებდა გერმანიის და პოლონეთის დაზვერვათა აგენტად და ბუხარინისა და რიკოვის ხელქვეითი იყო. ის ცდილობდა გაეტარებინა „ბლოკის“ სწორედ ეს დირექტივა. ეს გადაწყვეტილება არა შიშის, არამედ სინდისის (თუმცა გახრწნილი სინდისის) ქვეშ.

გრინკოს სახით ჩვენ ვხედავთ საბჭოთა ხელისუფლების ძველ დაუძინებელ მტერს, რომელიც სავსებით და მთლიანად მიეყიდა გერმანიის დაზვერვას და რომელიც მავნებლობის, დივერსიის, ღალატისა და ტერორის გზით იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის.

აიღეთ მეორე მზვერავი—ჩერნოვი, უეჭველად „ნიჭიერი“ ადამიანი, იმიტომ რომ მან მარტო ერთ საღამოს მოასწრო ყოფილიყო დანთან და კიბრიკთან ერთად წაჩხუბებოდა, პოლიციელებს, თავი ამოეყო პოლიცეი-პრეზიდიუმში და გამხდარიყო გერმანიის ჯაშუში.

მაგრამ აქ დაუჯერებელი არაფერია. ცხოვრებაში სწორედ ასე ემართება ისეთ ადამიანებს, როგორიც ჩერნოვია. ეს ახლაა, რომ მას ცოტად თუ ბევრად ცოცხალი და ჯანსაღი სახე აქვს. პატიმრობამ მას მნიშვნელოვნად უშველა. თავისუფლად ყოფნისას მას ჰქონდა სხვა სახე, ჩამომხმარი სახე ალკოჰოლიკისა, რომელიც უფრო მეტს სვამდა, ვიდრე მუშაობდა, ეს იყო სოციალური სნეულებით—ალკოჰოლიზმით დაავადებული კაცი. და აი, მთავრობის დავალებით ის საზღვარგარეთ გაემგზავრა. მაგრამ ამავე დროს ის ასრულებს დავალებას „ბლოკისას“, რომელიც სარგებლობს მის შემთხვევითი მივლინებით იმისათვის, რომ იგი დანთან კავშირურთიერთობის მოსაწყობად გამოიყენოს. ის მიდის დანთან და კიბრიკთან. დანი და კიბრიკი—ეს ცხადია — გერმანიის მზვერავები არიან. ეს სჩანს თუნდაც იქიდან, რომ ის საუბარი, რომელიც მას დანთან და კიბრიკთან ჰქონდა, მაშინვე ცნობილი გახდა პოლიცეი-პრეზიდიუმის დაზვერვისათვის. გაემგზავრა იგი მთავრობის დავალებით, ხოლო ისეთ პირწავარდნილ მენშევიკებთან დაკავშირებული აღმოჩნდა, როგორიც არიან დანი და კიბრიკი, იგი მათ ეარშიყება. ამას შეუძლია გაუფუჭოს ჩერნოვს არა მარტო პოლიტიკური კარიერა. და ამით სარგებლობს გერმანიის დაზვერვა. ჩერნოვის შესახებ რიკოვმაც კი იოხუნჯა, რომ ჩერნოვმა ერთ საღამოს მოასწრო პოლიცეი-პრეზიდიუმში ყოფნაც და მზვერავად გახდომაცო.

და აი ჩერნოვი მოქმედებს გერმანიის დაზვერვის დავალებით და პირდაპირ ამბობს: „გერმანიის დაზვერვა განსაკუთრებულ პირობად აყენებდა მავნებლობის მოწყობას მეცხენეობის დარგში“. იმ ანგარიშით, რომ, როგორც რაივიდი ამბობდა, არ მიეცათ ცხენები წითელი არმიისათვის.

რასაკვირველია, ვის შეუძლია ამის გაკეთება, თუ არ ისეთ პირს, რომელსაც ასეთი მაღალი პოსტი უჭირავს, თუ არ ჩერნოვს? აბა, სხვას ვის შეეძლო მოეწყო სპეციალური ფაბრიკები გადამდებ სენთა პრეპარატების დასამზადებლად? მხოლოდ მას. და იგი ამას ახორციელებდა. აქ მან თვითონ სთქვა, რომ მისი დავალებით დაიღუპა 25.000 ცხენი. ისეთ მხარეებში, როგორიც ციმბირია, მოსპობილ იქნა დიდძალი ცხენი. მავნებლები სპეციალურად უცრიდნენ ღორებს წითელ ქარსა და შავ ჭირს. სჩადიოდნენ ამას ვორონეჟის ოლქშიც, აზოვ-შავი ზღვის მხარეშიც და ლენინგრადის ოლქშიც.

როზენგოლციც ისე მოქმედებს, როგორც ეს გერმანელებსა და იაპონელებს აინტერესებთ. იგი ამ უცხო სახელმწიფოების ინტერესებისათვის სპეციალურად სდებს ხელშეკრულებას ნავთის შესახებ. იგი სპეციალურად მავნებლურად აწყობს ოქროს ნარჩენების ექსპორტს იმავე სახელმწიფოთა ინტერესებისათვის, თავისი სამშობლოს ინტერესების პირდაპირ საზიანოდ. იგი აწყობს თუჯის მავნებლურ და დანაშაულობრივ ექსპორტს იაპონიაში, რათა ეს თუჯი მოხმარდეს სწორედ იმ ყუმბარების დამზადებას, რომლებიც იაპონიის სამხედრო ხროვას განზრახვა აქვს გამოიყენოს ჩვენი სამშობლოსათვის დასაშენად თუ არა, ყოველ შემთხვევაში მის დასაშინებლად მაინც. იგი ყოველნაირად აფერხებს თავდაცვითს იმპორტს. იგი მოქმედებს ისე, როგორც მას უბრძანა დაზვერვამ. იყენებს თავის მაღალ მდგომარეობას, ატყუებს, გამცემლურად და ვერაგულად ჰღალატობს თავის სახელმწიფოებრივ მოვალეობას.

იკრამოვი ხოჯაევთან ერთად მავნებლობაში არ ჩამოუვარდება თავის ცენტრალურ „კოლეგებს“. იგი თვითონ იძლეოდა აქ ჩვენებას მავნებლობაზე ნამანგანში, მავნებლობაზე აბრეშუმსართავ ფაბრიკებში, ბამბის საწმენდ ქარხნებში, მავნებლობაზე ბამბის მეურნეობის ორგანიზაციაში. მათი ჩვენებებით, ამ მავნებლური ძირგამომთხრელი მუშაობის მოწყობაში რიკოვისა და ბუხარინის როლი სავსებით გარკვეული იყო—როლი, რომელსაც შეიძლება ხელმძღვანელი ეწოდოს.

ზელენსკი. აქ მე მხოლოდ აღვნიშნავ იმ უაღრესად სამარცხვინო პრაქტიკას, როგორიცაა მინისა და ლურსმნების ჩაყრა სასურსათო საგნებში, კერძოდ კარაქში, რაც ზიანს აყენებდა ყველაზე ცხოველ სასიცოცხლო ინტერესებს, ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ინტერესებს. მინა და ლურსმანი კარაქში! ეს ხომ ისეთი საშინელი დანაშაულია, რომლის წინაშე, ჩემი აზრით, ყველა სხვა ასეთი დანაშაულობანი მკრთალად გვეჩვენება. ჩვენს ქვეყანაში, ყოველგვარი რესურსებით მდიდარს ქვეყანაში, არ შეიძლებოდა და არც შეიძლება იყოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც რომელიმე პროდუქტი არ ყოფილიყო საკმარისი. სწორედ ამიტომ მთელი ამ მავნებლური ორგანიზაციის ამოცანა იყო—მიეღწია ისეთი მდგომარეობისათვის, რომ ის, რაც ჩვენში ჭარბად მოიპოვება, დეფიციტური გაეხადათ, ბაზარი და მოსახლეობის მოთხოვნილებანი დაძაბულ მდგომარეობაში ჰქონოდათ. აქ მხოლოდ ეპიზოდს მოვაგონებთ ზელენსკის საქმიანობიდან—ისტორიას 50 ვაგონი კვერცხისას, რომელიც ზელენსკიმ შეგნებულად მოსპო იმისათვის, რათა მოსკოვი ისე დაეტოვებინა, რომ არ ჰქონოდა კვების ეს უაღრესად საჭირო პროდუქტი.

აწყობდნენ რა ამ მავნებლობას, ყველა ეს რიკოვები და ბუხარინები, იაგოდები და გრინკოები, როზენგოლცები და ჩერნოვები და სხვ. და მისთანანი ამ დარგში გარკვეულ მიზანს ისახავდნენ—ეცადნათ სოციალისტური რევოლუციის დახრჩობა შიმშილის გაძვალტყავებული ხელით. ვერ მოახერხეს და ვერასოდეს ვერ მოახერხებენ!

შარანგოვიჩი ავრცელებს ცხენების ანემიას—იხოცება 30 ათასი ცხენი. შარანგოვიჩი ძირს უთხრის ტორფის მრეწველობას. შარანგოვიჩი შეგნებულად სთესავს ნაციონალურ შუღლს, აღვივებს ნაციონალისტურ გრძნობებს ბელორუსიის მოსახლეობაში.

ივანოვი ანგრევს ქარხნებს, ანგრევს ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობას, თუმცა ფრთხილად, უკანმიხედვით, ვაი თუ ძალიან დავაზარალო ინგლისელი პატრონების ინტერესები, რომელთათვისაც „მემარჯვენე-ტროცკისტულ ბლოკს“ უნდოდა გადაეცა სატყეო მეურნეობა და რომელთათვისაც მუშაობდა იგი რამდენადაც კი ძალა და შესაძლებლობა შესწევდა.

და ამას ემატება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ პირდაპირი და აშკარა შეიარაღებული გამოსვლების მოწყობა. ბუხარინი რიკოვთან ერთად ჰგზავნის სლეპკოვს ჩრდილო-კავკასიაში, იაკოვენკოს— ციმბირში, რომლებიც იწვევენ იქ საჯანყებო მოძრაობას, უკავშირდებიან თეთრგვარდიელ კაზაკთა წრეებს საზღვარგარეთ, ამზადებენ კაზაკთა დესანტს ჩრდილო-კავკასიაში. რიკოვი და ზუბარევი აწყობენ ურალში საჯანყებო რაზმებს. იკრამოვი და ხოჯაევი იმავე ბუხარინის, რიკოვისა და სხვების ხელმძღვანელობით აწყობენ საჯანყებო რაზმებს შუა აზიაში მოლებისაგან, ბაისაგან, ყოველგვარი დეკლასირებული ელემენტებისაგან. ივანოვიც კი ჩრდილო-კავკასიაში მუშაობს საჯანყებო რაზმების მოწყობაზე, ბუხარინის პირდაპირი დავალებით. გადასახლებული კულაკებისაგან,—ალბათ ბუხარინს ამ გზით სურდა უზრუნველეყო კულაკობისათვის „სოციალიზმში შეზრდის“ შესაძლებლობა.

(გაგრძელება იხ. მე-5 გვ.)

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პროცესი

ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვის გაგრძელება

საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეების—ს. მ. კიროვის, ვ. რ. მენჟინსკის, ვ. ვ. კუიბიშევის, ა. მ. გორკის მოკვლა

ახლა მე გადავდივარ შემდეგ ნაწილზე, სახელდობრ ბრალდებულთა ტერორისტულ საქმიანობაზე და საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეების ს. მ. კიროვის, ვ. რ. მენჟინსკის, ვ. ვ. კუიბიშევის, ა. მ. გორკის მოკვლასა და მ. ა. პეშკოვის მოკვლაზე, რაც მათ მოიფიქრეს და განახორციელეს.

ეს პროცესის ერთერთი უაღრესად შავბნელი და უაღრესად მძიმე მომენტია.

როგორ დაასაბუთა რიკოვმა თავისი არალეგალური ჯგუფის გადასვლა ტერორზე? ძალიან აშკარად. მან სთქვა: „იმ დროს, როდესაც მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას არალეგალური, შეთქმულობითი ხასიათი ჰქონდა, როდესაც არ ასრებობდა რაიმე მასობრივი ბაზა მისი კონტრრევოლუციური მუშაობისათვის, როდესაც არ არსებობდა იმედი ხელისუფლების სათავეში რაიმე სხვა გზით ჩადგომისა, ტერორის მიღება, ცენტრის აზრით, რაღაც პერსპექტივას იძლეოდა“.

სიკვდილის სიცივისა და სიმყრალის სუნი ასდის რიკოვისა და სხვა მემარჯვენე-ტროცკისტი ფაშისტი შეთქმულების ამ ჩვენებებს.

ბუხარინიც ტერორის მომხრე იყო, თუმცა, როგორც მან განაცხადა, მას გეზი უფრო მასობრივ აჯანყებებზე ჰქონდა აღებული და არა ტერორზე. ჰო და, თუ რა გეზი ჰქონდა მას აღებული, ამის ახსნა მისი საქმეა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ის დიდი ხნის წინათ — ამჟამად ეს სავსებით დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, — მონაწილეობას ღებულობდა ჯერ კიდევ 1918 წელს კაპლანისა, „მემარცხენე“ ესერებისა, ტროცკისტებისა და მემარჯვენე ესერების მიერ ტერორისტული აქტების მოწყობაში. ის თვითონ ლაპარაკობს მთელი ხმით იმის შესახებ. რომ შემდეგ 1932 წელს იგი აწარმოებს მოლაპარაკებას ყოფილ ესერ სემიონოვთან, ტერორისტული აქტების ორგანიზატორთან და ესერთა მებრძოლი რაზმების ხელმძღვანელთან, აწარმოებს მოლაპარაკებას ტერორისტული ბრძოლის მოწყობის შესახებ ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ კაგანოვიჩის წინააღმდეგ. 1932 წელს ბუხარინი პიატაკოვისა და სედოვის საშუალებით მოლაპარაკებას აწარმოებს ტროცკის იმ პირობის, დირექტივისა თუ, როგორც ის ეძახის, გეზის შესახებ, რომელიც მდგომარეობდა ტერორზე გადასვლის აუცილებლობაში. შეთქმულთა ბლოკი ფართოდ აჩაღებს იმ ტერორისტული ჯგუფების მოწყობას, რომლებიც პრაქტიკულად ამზადებენ ტერორისტული აქტების შესრულებას, კიროვის მოკვლას. ეს მკვლელობა სავსებით გამოაშკარავებულ და გამომჟღავნებულ იქნა წინანდელ პროცესზე, მაგრამ მხოლოდ ახლა დადასტურდა, რომ საქმიანობა ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრისა, რომელმაც მოჰკლა სერგეი მირონის-ძე კიროვი, დამოუკიდებელ ხასიათს არ ატარებდა. ახლა დადასტურებულია, რომ კიროვი მოკლულ იქნა სწორედ აი ამ „მემარჯვენე - ტროცკისტული“ ცენტრის დადგენილებით, აი ამ ბლოკისა, რომელსაც შეიძლება ყველა ცენტრთა ცენტრი ეწოდოს.

ბრალდებულმა იაგოდამ დაადასტურა სასამართლოში, რომ კიროვის მოკვლა მოხდა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პირდაპირი გადაწყვეტილებით, რომ ეს გადაწყვეტილება განახორციელა იაგოდამ, რომელსაც დაეკისრა სწორედ ეს სამარცხვინო მოვალეობა.

იაგოდამ დაადასტურა სასამართლოში, რომ რიკოვი და ბუხარინი მონაწილეობდნენ ამ გადაწყვეტილების მიღებაში, რომ რიკოვი და ენუქიძე მონაწილეობდნენ ცენტრის იმ სხდომაზე, სადაც იხილავდნენ ს. მ. კიროვის მოკვლის საკითხს; რომ ამგვარად რიკოვი და ენუქიძე უშუალო მონაწილეობას ღებულობდნენ თვით იმ საკითხის განხილვაში, რომელიც შეეხებოდა სერგეი მირონის-ძე კიროვის მოკვლას. ჩემს პირდაპირ კითხვაზე, სიმართლეს ლაპარაკობენ თუ არა აქ ბუხარინი და რიკოვი, როდესაც აცხადებენ, რომ მათ არ იცოდნენ ამ მკვლელობის შესახებ, იაგოდამ განაცხადა, რომ ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ როდესაც ენუქიძემ გადმოგვცა იმის შესახებ, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტულმა ბლოკმა“ საერთო სხდომაზე გადასწყვიტა საკითხი კიროვის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის ჩადენის შესახებ, — ის, იაგოდა, უარს ამბობდა ამაზე ზოგიერთი „ტაქტიკური“ კონსპირატიული მოსაზრებით. მაგრამ მაინც იცოდა, რომ ეს იყო მათი ცენტრის გადაწყვეტილება, და არა გამოსვლა შეთქმულთა რომელიღაც პარტიზანული მცირე ჯგუფისა, რომ ეს გადაწყვეტილება გამომდინარეობდა „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკიდან“, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ბუხარინიც და რიკოვიც.

ამჟამად ზუსტად არის გამორკვეული, რომ ამხ. კიროვის მკვლელობა მოხდა იაგოდას უახლოესი მონაწილეობით. მე დადასტურებულად მიმაჩნია ისიც, რომ მკვლელობა მოხდა რიკოვისა და ბუხარინის უახლოესი მონაწილეობით.

მაგრამ კიროვის მოკვლით, როგორც ეს დადასტურებულია სასამართლო გამოძიებით, არ განისაზღვრება მემარჯვენე - ტროცკისტ მოღალატეთა და შეთქმულთა ტერორისტული საქმიანობა.

როგორც გამოძიებით დადასტურდა, ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი, ვიაჩესლავ რუდოლფის-ძე მენჟინსკი და ვალერიან ვლადიმერის-ძე კუიბიშევი დაეცნენ, როგორც იმ ტერორისტული აქტების მსხვერპლნი, რომლებიც განხორციელებულია ამავე „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ დავალებით. მკვლელობის მსხვერპლი გახდა აგრეთვე ა. მ. გორკის შვილი — მ. პეშკოვი.

იაგოდამ ამ საკითხზე ასეთი ჩვენება მისცა:

„მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ კიროვის მკვლელობა ჩატარებული იყო „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ ცენტრის გადაწყვეტილებით. ამავე ცენტრის გადაწყვეტილებით მოხდენილ იქნა ტერორისტული აქტები და მოკლულ იქნენ კუიბიშევი, მენჟინსკი და გორკი“.

ესევე დაადასტურეს იმ პირებმა, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობას იღებდნენ ამ მკვლელობაში, მკვლელთა შეფის — იაგოდას საზიზღარი განზრახვა ყველაზე ვერაგული, საზიზღარი და იეზუიტური საშუალებით იქნა განხორციელებული. იაგოდა ჯერ ცდილობდა უარეყო თავისი მონაწილეობა მაქსიმე ალექსის-ძე პეშკოვის მკვლელობის მოწყობაში. შემდეგ მან ეს აღიარა სასამართლოს დახურულ სხდომაზე. მან სავსებით დაადასტურა, როგორც ეს ჩაწერილია სასამართლო ძიების საქმეში, წინასწარ გამოძიებაზე მიცემული თავისი ჩვენება, დაადასტურა, რომ მან მოაწყო მაქსიმე პეშკოვის მკვლელობა, ხოლო ის გარემოება, რომ მას არ სურდა ამაზე ელაპარაკა, იმით ახსნა, რომ მკვლელობის მოტივებს უაღრესად პირადი ხასიათი აქვთო.

ის ამბობს, რომ ამ საკითხზე სპეციალური გადაწყვეტილება იყო ცენტრისა, რომელიც მას ენუქიძემ გადასცა. აქ გათვალისწინებული იყო ექიმების გამოყენება, რაც სრულ გარანტიას ჰქმნიდა გამომჟღავნების შეუძლებლობის მხრივ.

როგორც ვხედავთ, იაგოდა უბრალო მკვლელი როდია. ეს არის მკვლელი, რომელსაც აქვს იმის გარანტია, რომ გამომჟღავნებული არ იქნება. მაგრამ მისი ვარაუდები არც აქ გამართლდა, გარანტია დამპალი აღმოჩნდა, იგი ჩაიშალა. იაგოდა და მისი საზიზღარი დანაშაულობრივი საქმიანობა გამოაშკარავებულია, გამოაშკარავებულია არა იმ გამცემლური დაზვერვის მიერ, რომელიც მოაწყო და რომელსაც საბჭოთა სახელმწიფოს და ჩვენი რევოლუციის ინტერესების წინააღმდეგ წარმართავდა მოღალატე იაგოდა, არამედ გამოაშკარავებულია იმ ნამდვილი, ჭეშმარიტად ბოლშევიკური დაზვერვის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს სტალინის ერთერთი უშესანიშნავესი თანამებრძოლი — ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვი.

ენუქიძე და იაგოდა საუბრობენ თემაზე, თუ როგორ უფრო უკეთესად შეიძლება იმ გარანტიების თვალსაზრისით, რომლებსაც იაგოდა ეძებდა მენჟინსკისა და მათ მიერ ამორჩეული სხვა მსხვერპლთა საქმის გასტუმრება. იაგოდა თავის მახვილგონიერ აზრს აყენებს: მივაღწიოთ სიკვდილს, როგორც ის ამბობდა, ავადმყოფობით, ან როგორც მან აქ სასამართლოში სთქვა: „დამნაშავედ ვცნობ თავს მაქსიმე პეშკოვის დაავადებაშიო“.

იაგოდა იდგა ყოვლად ვერაგული საშუალებებით ადამიანთა მოკვლის ტექნიკის სიმაღლეზე. ის წარმოადგენდა ბანდიტური „მეცნიერების“ უკანასკნელ სიტყვას, მან გადააჭარბა მთელ რიგ სხვა დამნაშავეებს, რომლებსაც არ ესმოდათ იაგოდას ეს შორს და ღრმად გათვალისწინებული დანაშაულებრივი ზრახვები.

„როცა ენუქიძემ გადმომცა საკონტაქტო ცენტრის გადაწყვეტილება კიროვის მკვლელობის შესახებ, მე გამოვთქვი შიში, სთქვა იაგოდამ, — რომ პირდაპირს ტერორისტულ აქტს შეუძლია არა მარტო მე, არამედ მთელი ორგანიზაცია ჩააგდოს-მეთქი. მე მივუთითე ენუქიძეს უფრო ნაკლებად საშიშ საშუალებაზე და მოვაგონე მას, ენუქიძეს, თუ როგორ იქნა მოკლული მენჟინსკი ექიმების დახმარებით. ენუქიძემ მიპასუხა, რომ კიროვის მკვლელობა ისე უნდა მოხდეს, როგორც განზრახულია, რომ ეს მკვლელობა ტროცკისტებმა და ზინოვიეველებმა იკისრეს და ჩვენი საქმე კი ის არის, რომ ხელი არ შევუშალოთო.

რაც შეეხება ექიმების საშუალებით მოკვლის უსაშიშრო საშუალებას, ენუქიძემ სთქვა, რომ უახლოეს დროში ცენტრი განიხილავს, თუ პარტიისა და მთავრობის სახელდობრ რომელი ხელმძღვანელი უნდა იქნას ამ საშუალებით პირველ რიგში მოკლულიო“.

განა შეიძლება ამაზე შორს წასვლა ამ უსაზღვრო ცინიზმსა და ვერაგობაში, როცა ადამიანები გულშემზარავი სიმშვიდით და აუშფოთველობით იხილავდნენ, თუ პარტიისა და მთავრობის რომელი ხელმძღვანელის და რა საშუალებით სჯობია მოკვლა, რომ თავიდან ავიცილოთ მხილებაო.

იაგოდა შემდეგ ამბობდა:

„რამდენიმე ხნის შემდეგ, ენუქიძესთან ჩემი შემდეგი შეხვედრის დროს, მან მაცნობა, რომ ცენტრმა მიიღო გადაწყვეტილება მოახდინოს მთელი რიგი ტერორისტული აქტები პოლიტბიუროს წევრების წინააღმდეგ, და, გარდა ამისა, პერსონალურად მაქსიმ გორკის წინააღმდეგ. ენუქიძემ ამიხსნა, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი“, ითვალისწინებს რა, როგორც უახლოეს პერსპექტივას, საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, გორკის სახით ხედავს საშიშ ფიგურას. გორკი შეურყეველი მომხრეა სტალინური ხელმძღვანელობისა და, უეჭველია, შეთქმულობის რეალიზაციის შემთხვევაში აღიმაღლებს პროტესტის ხმას ჩვენს — შეთქმულთა წინააღმდეგო“.

აი რად იყო დაყენებული ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის მოკვლის საკითხი, რომელიც ამ ბლოკმა საბოლოოდ გადასწყვიტა.

კიდევ ერთი გადაწყვეტილება თავიდან მოშორების შესახებ წილად ჰხვდა ვალერიან ვლადიმერის-ძე კუიბიშევს, როგორც ლენინურ-სტალინური პოლიტბიუროს ერთერთ აქტიურ წევრს.

ამრიგად. ამ მოკლე ხნის განმავლობაში სამი მსხვერპლი, სამი ნაადრევად დაღუპული შესანიშნავი ადამიანი გამოესალმა სიცოცხლეს „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ გადაწყვეტილებით. ჩვენი ქვეყნის სამი საუკეთესო ადამიანი, თავის სამშობლოს ერთგული შვილნი, გამცემელთა უსირცხვილო შეთქმულების მსხვერპლნი გახდნენ. და მათ შორის რუსული და მსოფლიო ლიტერატურის სიამაყე—დიდი რუსი მწერალი—გენიალური მხატვარი ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი.

მისი სიმღერებისა და ზღაპრების, მოთხრობებისა და რომანების თვითეული სტრიქონი გამსჭვალულია კეთილშობილებით, რევოლუციური მოქმედების სიმხურვალით. ტყუილად არ დაუკავშირა მან თავისი სიცოცხლე დიდ ლენინსა და დიდ სტალინს, როგორც მათმა საუკეთესო და უახლოესმა მეგობარმა. ტყუილად არ დაუწერია ლენინს არაერთხელ, გორკი უდიდესი მხატვრული ტალანტია, რომელმაც მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობას ბევრი სარგებლობა მოუტანა და მოუტანსო.

ტყუილად კი არ სწერდა ლენინი, რომ გორკი პროლეტარული ხელოვნების უსათუოდ უდიდესი წარმომადგენელია, რომელიც თავისი დიდი მხატვრული ნაწარმოებებით მტკიცედ დაუკავშირდა რუსეთის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასსაო. გორკი გრძნობდა მომავალ ქარტეხილს, ის წინასწარმეტყველებდა ჩვენი მოძრაობის გამარჯვებას, ნათელი პროლეტარული გონების გამარჯვებას კაპიტალიზმის სიბნელესა და სისაძაგლეზე

დიდი ადამიანის ავადმყოფ გულში გამცემლური ჩარტყმით დაიღუპა მშრომელი კაცობრიობის ერთერთი საუკეთესო მეგობარი, ჩაჰქრა ადამიანის გონებისა და ადამიანის სილამაზის ერთერთი ყველაზე ბრწყინვალე და ძლიერი ლამპარი. ეს ლამპარი ჩააქრეს აი ამ მოღალატეებმა, აი ამ ადამიანისებრმა მხეცებმა, რომლებმაც გულცივად და გამცემლურად სასიკვდილოდ შესწყვიტეს დიდი ადამიანის მგზნებარე და კეთილშობილური გულის ძგერა.

ახლა ყველაფერი გამოაშკარავებულია. ახლა ცნობილია არა მარტო მკვლელობის საშუალებანი, არამედ მათი მოტივებიც, და თვით მკვლელებიც. ბესონოვი ამბობს, რომ, როდესაც იგი 1934 წლის ივლისში პარიზში შეხვდა ტროცკის, რომელსაც მუდამ გაბოროტებით სძულდა გორკი, ისე როგორც გორკის სძულდა საერთაშორისო შპიონაჟისა და გამცემლობის ობერ-ბანდიტი ტროცკი, მაშინ ტროცკიმ სთქვა, რომ გორკი თავიდან უნდა მოვიშოროთ რადაც უნდა დაგვიჯდეს, რომ გორკი ძალიან პოპულარულია, როგორც სტალინის უახლოესი მეგობარი, როგორც პარტიის გენერალური ხაზის გამტარებელი. ტროცკიმ ბესონოვს მისცა პირდაპირი დავალება და უბრძანა გადაეცა იგი პიატაკოვისათვის. როგორც ბესონოვი ამბობს, ეს დავალება მიცემული იყო უაღრესად კატეგორიული ფორმით: გორკი მოსპეთ ფიზიკურად, რადაც უნდა დაგვიჯდეთო. და ხალხის მტრისა და ობერ-ბანდიტი ტროცკის ეს ბრძანება ბესონოვმა ჩამოიტანა აქ, სსრ კავშირში, და გადასცა პიატაკოვს, გადასცა ბლოკს, რომელმაც, როგორც ეს იაგოდამ აჩვენა და როგორც მე შემდეგში დავამტკიცებ, მიიღო ეს დავალება, მიიღო გადაწყვეტილება ა. მ. გორკის მოკვლის შესახებ. ეს ისე საზარელია, რომ ამაზე მე საჭიროდ მიმაჩნია განსაკუთრებით და სპეციალურად შევჩერდე.

პირველი შეკითხვა, რომელიც მე აქ მინდოდა მიმეცა, ეს არის კითხვა—მონაწილეობდნენ თუ არა ამ საქმეში რიკოვი და ბუხარინი, იცოდნენ თუ არა მათ, რომ მზადდება ეს საშინელი ბოროტმოქმედება. ამ კითხვაზე მე ვუპასუხებ უყოყმანოდ და მტკიცედ: დიაღ, იცოდნენ, დიაღ, მონაწილეობდნენ. მე არ მინდა მოვიყვანო არავითარი სხვა ჩვენებები და, კერძოდ, იაგოდას ჩვენებები,—მე მოვიყვან: 1) თვით რიკოვისა და ბუხარინის ჩვენებებს და 2) იმას, რასაც მე საგანთა ლოგიკას ვუწოდებ. როგორია აქ საქმის ვითარება? შეხედეთ, თუ რას ამბობს ამის შესახებ რიკოვი. რიკოვმა აჩვენა, რომ მას, რიკოვს, ჰქონდა ლაპარაკი ენუქიძესთან, ესე იგი შეთქმულთა ბლოკის ერთერთ უაღრესად აქტიურ მონაწილესთან და ორგანიზატორთან. თუ რამდენად აქტიური იყო იგი მკვლელობათა ორგანიზაციაში, ამის შესახებ ჩვენ გვაქვს მაქსიმოვ-დიკოვსკის ჩვენებანი. ენუქიძეს არაერთხელ გამოუძახებია იგი თავისთან და მიუცია მითითებანი, თუ როგორ უკეთ უზრუნველჰყონ ვალერიან ვლადიმერის-ძე კუიბიშევის სიკვდილი.

ენუქიძე ამ „საქმეზე“ იაგოდასთან ერთად მუშაობდა. აი ამ ენუქიძესთან აქვს ლაპარაკი რიკოვს—რაზე? ავიღოთ მარტო ის, რაც თვითონ რიკოვმა სთქვა: „ენუქიძემ მაცნობა, რომ ტროცკისტები და ზინოვიეველები უაღრესად შეშფოთებული არიან იმ გავლენით, რომელსაც იჩენს გორკი, რომ იგი არის სტალინისა და პარტიის გენერალური ხაზის გადაჭრით მომხრე“. ეს იგივეა, რაც ბესონოვმა გაიგონა ტროცკისაგან 1934 წელს და რაც ჩამოიტანა აქ 1934 წლის შემოდგომაზე და გადასცა ამ ბლოკის მესვეურებს, ხელმძღვანელებს, მეთაურებს.

მე სავსებით დამტკიცებულად და დადასტურებულად მიმაჩნია შემდეგი ფაქტები, რომლებიდანაც გამომდინარეობს მხოლოდ ერთი დასკვნა—დასკვნა, რომ რიკოვი მონაწილეობას იღებდა ა. მ. გორკის მოკვლის მომზადებაში. ჯერ ერთი, 1935 წელს ენუქიძე და რიკოვი ლაპარაკობდნენ იმ განსაკუთრებულ გაბოროტებაზე, რომლითაც გამსჭვალულია ბლოკი ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის მიმართ. მართალია. ისინი საქმეს თავს ახვევენ ბლოკის ტროცკისტულ-ზინოვიევურ ნაწილს, მაგრამ ეს არავითარი მხრით არ სცვლის საქმეს. მეორე, ამ გაბოროტებულ განწყობილებას ისინი ისეთი ტონით გამოხატავდნენ რომელიც მოწმობდა იმას, რომ მზადდებოდა ძალდატანებითი ზომები, მიმართული გორკის „პოლიტიკური აქტივობის ლიკვიდაციისაკენ“. და, მესამე, გორკის პოლიტიკური აქტივობის ლიკვიდაცია წარმოდგენილი ჰქონდათ თვით იმ ზომამდე, რომ გორკის მიმართ ძალდატანებითი ღონისძიებანი გამოეყენებინათ.

მეოთხე, ძალდატანების ეს ღონისძიებანი შეიცავდნენ სწორედ ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის მოკვლას. რიკოვმა და ბუხარინმა იცოდნენ ამ ძალდატანებითი ღონისძიებების შესახებ. მათ იცოდნენ, რომ მზადდება გორკის მოკვლა, აწყობდნენ ამ მკვლელობას, ჰფარავდნენ ამ მკვლელობას. ამგვარად, რიკოვი და ბუხარინი იყვნენ ა. მ. გორკის ამ უსაზიზღრესი მკვლელობის მონაწილენი.

ხოლო ბუხარინს, მელიისა და ღორის ამ დაწყევლილ ნარევს,— როგორ უჭირავს მას თავი ამ საკითხში? როგორც მელასა და ღორს შეჰფერის. იგი ტრიალებს, კუდს იქნევს. მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, არსებითად, ბუხარინი ამბობს იმასვე, რასაც რიკოვი ამბობს. ავიღოთ ბუხარინის ჩვენებანი ამ ნაწილში. ნება მიბოძეთ მოვიყვანო ამ ჩვენების შემდეგი ნაწილი: „1935 წელს ტომსკიმ მითხრა, რომ ტროცკი ამზადებს რაღაც მტრულ აქციას თუ მტრულ აქტს გორკის წინააღმდეგ“.

საიდან იცოდა ტომსკიმ ეს? რა თქმა უნდა, მან ეს იცოდა ბესონოვისაგან, რომელმაც საზღვარგარეთიდან ჩამოიტანა ეს დირექტივა. ხოლო როგორი იყო ტროცკის დირექტივა? მოისპოთ გორკი, ფიზიკურად მოისპოთ. ბუხარინი აჩვენებს: „ტომსკიმ სთქვა, რომ ტროცკი ამზადებს მტრულ აქციას თუ მტრულ აქტს გორკის წინააღმდეგ“.

მე ვეკითხები: ვისი მეშვეობით ამზადებს ტროცკი ამ მტრულ აქციას? რასაკვირველია, ბლოკის მეშვეობით, რომელიც ტროცკის ხელში იყო, იმ ბლოკის მეშვეობით, რომელშიც გადაიხლართნენ მემარჯვენეები და ტროცკისტები, მენშევიკები და ესერები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები და პირდაპირ ყველა ჯურის, ხარისხისა და კატეგორიის ვიგინდარები.

ეს ფაქტი დადასტურებულია. თვით ბუხარინი აღიარებს, რომ 1935 წელს, გორკის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, ტომსკიმ აცნობა ბუხარინს, რომ ტროცკი ამზადებს მტრულ აქტს გორკის წინააღმდეგ. ეს სავსებით იგივეა, რასაც ამბობდა რიკოვი, როცა გადმოგვცემდა თავის საუბარს ენუქიძესთან. და ეს კი, თავის მხრივ, იგივეა, რასაც ლაპარაკობდა ბესონოვი, როცა მოიყვანა პარიზში მომხდარი თავისი საუბარი ტროცკისთან 1934 წლის ივლისში. აქ არავითარ სხვადასხვაობას ადგილი არა აქვს.

ჩვენ ვიცით, როგორ აყენებდნენ შეთქმულები საკითხს საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის შესახებ. მათი მეთოდებია—ტერორი, ღალატი და სხვა.

ბუხარინი ლაპარაკობს, რომ, როცა ამბობენ მტრული აქტის შესახებ, შეიძლება ვიგულისხმოთ ყველაფერი, თვით ტერორისტულ აქტამდე; ამპლიტუდა რხევისა აქ მეტად დიდია. ბუხარინი აღიარებს, რომ გორკის მკვლელობა მაშინ არ იყო გამორიცხული. ეს შენიღბული აღიარებაა, რომელმაც სავსებით გამოამჟღავნა ბუხარინი.

მე უკვე ვლაპარაკობდი იმ ხერხებზე, რომელთა დახმარებით განხორციელებული იყო სამი ტერორისტული აქტი—მენჟინსკის წინააღმდეგ, კუიბიშევის წინააღმდეგ და ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის წინააღმდეგ.

ყურადღებას იქცევს ის ხერხი, რომლის საშუალებით ჩადენილია ეს მკვლელობანი. ეს არის ხერხი თანდათანობითი სიცოცხლის მოსპობისა, „მკვლელობის გარანტიით“, რომლის შესახებ ამბობდა იაგოდა, —ეს არის ხერხი მკვლელობისა თანამონაწილეთა სპეციალური ცოდნის გამოყენების საშუალებით. არ არის ცუდად მოფიქრებული! ლევინი, პლეტნევი, კაზაკოვი, მაქსიმოვ-დიკოვსკი, კრიუჩკოვი, ბულანოვი—მკვლელების ბანდაა, სპეციალურად მომზადებული ბანდა, რომელიც მონაწილეობდა ამ „საქმეში“. მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება იმ განსაკუთრებულ ხერხს და განსაკუთრებულ როლს ამ მკვლელობის განხორციელებაში, რომელიც შეასრულეს ბრალდებულმა ექიმებმა—ლევინმა, კაზაკოვმა და პლეტნევმა. მაგრამ წინასწარ რამოდენიმე შენიშვნაზე მინდა შევჩერდე. სისხლის სამართლის მკვლელობათა ისტორია და ქრონიკა ჩვენ გვეუბნება, რომ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში მოწამვლას პროფესიული მკვლელების დახმარებით თითქმის სრულებით ადგილი აღარ აქვს.

ამ მომწამვლელების ადგილი ექიმებმა დაიკავეს. თუ თქვენ გადაშლით დოქტორის, ბერნის უნივერსიტეტის პროფესორის კარლ ემერტის სასამართლო მედიცინის სახელმძღვანელოს, თქვენ აქ მეტად საგულისხმიერო მითითებას იპოვით. ემერტი სწერს:

„მკვლელობა მოწამვლის საშუალებით ეხლა უფრო იშვიათია წარსულთან შედარებით, ნაწილობრივ, იმიტომ, რომ არაექიმისათვის ძნელი გახდა შხამის შოვნა. ამიტომ პროფესიული მომწამვლელები აღარ გვხვდებიან, როგორც უწინ. თუ ასეთი შემთხვევები არის, მაშინ ისინი ხშირად საექიმო წოდების პირებს ეკუთვნიან“.

ამიტომ სრულებით შემთხვევითი არ არის, რომ იაგოდა თავისი საზარელი განზრახვისთვის და მისი რეალიზაციისთვის სწორედ ექიმებს ირჩევს. ის ანგარიშს უწევს, ასე რომ ვსთქვათ, ისტორიულ კონიუნქტურას.

მე, ბოლოს, უნდა ვსთქვა, რომ სწორედ ამ გეგმით იყო მოფიქრებული ბოროტმოქმედ-მკვლელების მიერ ტერორისტული აქტი ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვის წინააღმდეგ. ეს მკვლელობაც ხომ აგრეთვე საკმარისი ხელოვნებით იყო მოფიქრებული—ჰაერის მოწამვლის საშუალებით, რომლითაც უნდა ესუნთქა თავის სამსახურის კაბინეტში ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვს. ჰაერი იწამლებოდა მჟავაში გახსნილი ვერცხლის წყლით. ამასთან იაგოდა აფრთხილებდა—არავითარ შემთხვევაში არ გახსნათ გოგირდის სიმჟავეში, რადგანაც გოგირდის სიმჟავე სტოვებს კვალს და შეუძლია დაწვას ის შტორები და გარდინები, რომლებიც იაგოდას მითითებით უნდა გაჟღენთილიყო მისთვის, რომ ამ ჰაერის შესუნთქვით დაღუპულიყო ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვი.

მე მინდა, ამხანაგო მოსამართლენო, გაგახსენოთ რამოდენიმე ცნობა მოცემული ექსპერტიზის მიერ ამ საკითხზე, რომლებიც არავითარ ეჭვს არ სტოვებენ იმაში, რომ ეს მეტად ხელოვნური, მოღალატური და საზიზღარი გეგმა მოფიქრებულია იაგოდას მიერ მემარჯვენე-ტროცკისტული ცენტრის დასტურით და მოწონებით, განსაკუთრებით კუიბიშევის, გორკის და ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვის მიმართ. რომლის თავიდან მოცილება მათ სურდათ, რომ გამოუმჟღავნებელი დარჩენილიყვნენ.

უწინარეს ყოვლისა მე მივაქცევ თქვენს ყურადღებას იმას, რომ ექსპერტიზა შედგენილი იყო საბჭოთა და მსოფლიო სამედიცინო მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეებიდან. მე მივაქცევ თქვენს ყურადღებას, რომ ეს ექსპერტიზა მივიდა ერთსულოვან დასკვნამდე: ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ზომები რომლებიც მიღებული იყო მკვლელების მიერ ა. მ. გორკის, ვ. ვ. კუიბიშევის, მენჟინსკის მკვლელობისათვის მართლაც მეტად ზუსტად იყო მოფიქრებული და თავის შედეგად გამოიწვია ამ გამოჩენილი ადამიანების სიკვდილი, რისი მისწრაფებაც ჰქონდათ ამ ვაჟბატონებს.

ამიტომ მე ნებას მივცემ ჩემს თავს განვაცხადო, რომ ბრალდებები წამოყენებული საბრალდებო დასკვნაში, რომლებსაც მე მხარს ვუჭერ, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, ამ ნაწილშიაც სრული მოცულობით შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს.

ვეხები რა ბრალდების ამ ნაწილს, მე მინდა სპეციალურად შევჩერდე ორ ბრალდებულზე — იაგოდასა და ლევინზე.

იაგოდაზე მოკლედ შეიძლება ითქვას. იაგოდა ამ საზარელ ბოროტმოქმედებათა მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია, მისი პასუხისმგებლობა მით უფრო ძლიერი და სერიოზულია, რომ იაგოდა როდია უბრალო იაგოდა, იგი იმ დროს იყო გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე, ფაქტიურად გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარე. ეს ის კაცია, რომლის მოვალეობას შეადგენდა სახელმწიფო უშიშროების დაცვა. მას რომ იმ დანაშაულობათა მემილიონედი ნაწილი ჩაედინა, რომლებიც იაგოდამ ჩაიდინა, რომლებშიაც იგი გამოტყდა, მაშინაც კი მე უფლება მექნებოდა მომეთხოვა სასამართლოსაგან იაგოდას დახვრეტა.

ამ მკვლელობებში ლევინმაც უდიდესი როლი ითამაშა. ლევინი იყო იაგოდას მიერ მოფიქრებულ მკვლელობათა მთავარი ორგანიზატორი, მან ჩაბა ამ საქმეში კაზაკოვიც, პლეტნევიც, იგი, მე ვიტყოდი, ამ საქმეში იყო იაგოდას მარჯვენა ხელი, ისე როგორც ბულანოვი იაგოდას მარჯვენა ხელი იყო მის ყველა დანაშაულობაში მთლიანად.

როცა ლევინის ხელით დაიღუპა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი, ლევინმა, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორმა, გაზეთებში გამოაქვეყნა ნეკროლოგი—„ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის უკანასკნელი დღეები“. ამ ნეკროლოგში იგი სწერდა, ოხრავდა, ჰკვნესოდა დიდი ადამიანის დაღუპვაზე. „დიდი ადამიანები,—სწერდა იგი ფარისევლურად, თვალთმაქცურად, ორგულურად,—ცხოვრობენ და კვდებიან, როგორც დიდი ადამიანები“. „ცხოვრობენ და კვდებიან, როგორც დიდი ადამიანები!“—ლევინმა არ დაუმატა,—„ამ ნეკროლოგის ავტორის, ერთერთი საზიზღარი მკვლელის ხელით!“.

სამარცხვინო ორგულობა, ვერაგობა, თვალთმაქცობა აქ ეჯიბრება უსირცხვილობას მომწამვლავისას, რომელიც სტირის მისი ეგრეთწოდებული „მკურნალობის“ მსხვერპლის სასთუმალთან.

ასეთია ეს ლევინი! იგი შორს არ ჩამორჩა იაგოდას!

დასასრულ მე მინდა მოგაგონოთ იაგოდას ჩვენება, რომელშიაც იგი გვიჩვენებს თავის ნამდვილ მორალურ-ადამიანურ, თუ ეს გამოთქმა აქ დასაშვებია, სახეს.

აი ამონაწერები იაგოდას ჩვენებიდან საქმის მე-58 ფურცელზე:

„მთელ ჩემს სიცოცხლეში მე დავდიოდი ნიღაბით, თავს ვასაღებდი შეურიგებელ ბოლშევიკად. ნამდვილად კი ბოლშევიკი, მისი ნამდვილი გაგებით, მე არასოდეს არ ვყოფილვარ“.

— და შემდეგ:

„ჩემმა წვრილბურჟუაზიულმა წარმოშობამ, თეორიული მომზადების უქონლობამ,—ყოველივე ამან, საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციის დასაწყისიდანვე, შეჰქმნა ჩემში პარტიის საქმის საბოლოო გამარჯვებისადმი რწმენის უქონლობა“.

„...ამიტომ მე შევუთანხმდი რიკოვს ჩემი განსაკუთრებული მდგომარეობის შესახებ მემარჯვენეთა შორის“.

თურმე, რიკოვს საკმაოდ გარკვეული გავლენა ჰქონდა იაგოდაზედაც კი. არსებითად, ის, რასაც იაგოდა ამბობს—ეს ხომ პოლიტიკური კარიერისტისა და უსინდისო არამზადის ძველი გამცემლური ორგულური სკოლაა, ეს ხომ ჟოზეფ ფუშეს სისტემაა.

„შეიდას ორმოცდაათს შორის, რომელნიც ზეიმით შედიან გვირგვინახდილი მეფის დარბაზში, ჩუმად, სამფეროვანი სახვევით მკერდზე, შედის ხალხის წარმომადგენელი ჟოზეფ ფუშე, ქალაქ ნანტის დეპუტატი. ტონზურა უკვე დაფარულია თმით, სასულიერო სამოსელი დიდი ხანია გახდილია: ისე როგორც აქ ყველას, მას აცვია სავსებით სადა სამოქალაქო ტანისამოსი.

რა ადგილს დაიკავებს ჟოზეფ ფუშე? რადიკალებს შორის, მთაზე, თუ ზომიერებთან, ვაკეზე? ჟოზეფ ფუშე დიდხანს არ ჰყოყმანებს: იგი სცნობს მხოლოდ ერთ პარტიას, რომლის ერთგულიც რჩება ბოლომდე: იმას, რომელიც უფრო ძლიერია, უმრავლესობის პარტიას. და ამხელად იგი თავისთვის ასწონ-დასწონავს და ითვლის ხმებს; იგი ხედავს—ამჟამად ძალა ჯერ კიდევ ჟირონდისტების მხარეზეა, ზომიერთა მხარეზეა. და აი იგი ჯდება მათ სკამზე. კონდორსეს, როლანის სერვანის გვერდით, იმათთან, ვის ხელშიც არის სამინისტროს პოსტები, ვინც გავლენას ახდენს ყველა დანიშვნაზე და ანაწილებს მოგებას. მათ წრეში იგი თავს მტკიცედ ჰგრძნობს, იქ იკავებს იგი ადგილს“.

აი ის წყარო, საიდანაც ჰკრეფდა თავის სულიერ ძალებს იაგოდა, თუ ის ოდესმე გაცნობილი იყო ჟოზეფ ფუშეს ცხოვრებას და საქმიანობას, — მე ამაში ეჭვი მეპარება, რადგან ჩვენებებიდან და საქმის მასალებიდან სჩანს, ლიტერატურიდან იგი იცნობდა მხოლოდ ერთ რამეს — ალექსანდრე დიუმას წიგნს „სამ მუშკეტერს“, რომლებიც წარმოადგენდნენ იდეალს იაგოდასთვის. იგი, როგორც ეს ბულანოვის ჩვენებებიდან სჩანს, ამბობდა: ძალაუფლების დაპყრობის წარმატება რომ უზრუნველჰყო, საჭიროა შეარჩიო რამდენიმე ათეული ისეთი ვაჟკაცი, როგორც სამი მუშკეტერი, და მათი დახმარებით ყველაფრის გაკეთება შეიძლებაო.

ასეთია იაგოდა, რომელსაც საბრალდებულო სკამზე დათმობილი აქვს სერიოზული ადგილი, ბუხარინისა და რიკოვის გვერდით. ეს არის ერთერთი უდიდესი შეთქმულთაგანი, საბჭოთა ხელისუფლების ერთერთი ყველაზე თვალსაჩინო მტერი, ერთერთი ყველაზე უფრო თავხედი მოღალატეთაგანი, ადამიანი, რომელიც ცდილობდა თვით შინსახკომში ჩამოეყალიბებინა ჯგუფი და ნაწილობრივ მოაწყო იგი მოღალატეებისაგან — პაუკერის, ვოლოვიჩის, გაის, ვინეცკისა და სხვათაგან, რომლებიც პოლონეთისა და გერმანიის ჯაშუშები და მზვერავები აღმოჩნდნენ. ასეთი იყო თვით იაგოდაც, რომელიც იმის ნაცვლად, რომ ჩვენი სახელოვანი დაზვერვა საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, სოციალისტური მშენებლობის საკეთილდღეოდ წარემართა, ცდილობდა მოებრუნებინა იგი ჩვენი ხალხის წინააღმდეგ, ჩვენი რევოლუციის წინააღმდეგ, სოციალიზმის წინააღმდეგ.

ეს ვერ მოხერხდა, ჩაიშალა! იაგოდა მხილებული იქნა, გაძევებულ იქნა ჩვენი სახელმწიფო აპარატიდან, დასმულ იქნა საბრალდებულო სკამზე, განიარაღებულ იქნა და ახლა სავსებით ამოგდებული, ამორიცხული უნდა იქნას ცხოვრებიდან.

იურიდიული კითხვები

მე ვამთავრებ. დასასრულ, მე მინდა დავაყენო რამოდენიმე კითხვა, რომელთაც მე იურიდიულ კითხვებს ვუწოდებდი.

უწინარეს ყოვლისა — საკითხი თანამონაწილეობის შესახებ, როგორც სასამართლოს გამოძიებამ გვიჩვენა, ყველა ბრალდებული, რომელიც ამ სასამართლოს წინაშე წარსდგა, ერთნაირად არ იღებდა მონაწილეობას ბოროტმოქმედებაში.

აქედან გამომდინარეობს კითხვა — რა ზომით და რამდენად შეუძლია და უნდა აგოს პასუხი თითეულმა ბრალდებულმა იმ ბრალდებაზე, რომელიც წაყენებული აქვს საბრალდებო დასკვნით.

მეორე კითხვა — რა ზომით და რამდენად დამტკიცებულია ბრალდებულებისათვის წაყენებული ბრალდებანი.

და მესამე კითხვა — რა სასჯელი დაიმსახურეს ბრალდებულებმა.

მე ვუპასუხებ, უპირველეს ყოვლისა, მეორე კითხვაზე. დამტკიცებულია თუ არა, და რამდენად დამტკიცებულია ის ბოროტმოქმედებანი, რომლებიც ბრალდებულებმა ჩაიდინეს? მე ვფიქრობ, რომ თქვენ, ამხანაგო მოსამართლენო, თქვენი განაჩენით ამ კითხვაზე უპასუხებთ დადებითად: დიაღ, დამტკიცებულია. დამტკიცებულია თვით ბრალდებულების აღიარებით, დამტკიცებულია მოწმეებით, რომლებიც წარსდგნენ სასამართლოს წინაშე, დამტკიცებულია სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით, დამტკიცებულია ნივთიერი საბუთებით.

მთელი ერთობლიობა დასამტკიცებელი საბუთებისა, რომლებიც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ სისხლის სამართლის პროცესში, აქ, სასამართლოს განკარგულებაშია ახლა. ამ საბუთების საფუძველზე სასამართლო შესძლებს გამოიტანოს თავისი საბოლოო გადაწყვეტილება იმის შესახებ თუ რამდენად დამნაშავეა ესა თუ ის ბოროტმოქმედი, რომელმაც ეს ბოროტმოქმედებანი ჩაიდინა.

მეორე, რამდენად უნდა აგოს პასუხი თვითეულმა ბრალდებულმა ჩვენი კანონით ერთობლივად ყველა იმ ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია ამ შეთქმულთა ხროვის მიერ. მე ამ კითხვაზე ვუპასუხებ: სრული მოცულობით. რატომ?

თვითეული ბრალდებული პასუხს უნდა აგებდეს ერთობლივად ყველა ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის, როგორც წევრი შეთქმულთა ორგანიზაციისა, რომლის დანაშაულებრივი ამოცანები და მიზნები და მათი განხორციელების დანაშაულებრივი მეთოდები თვითეული მათგანისათვის ცნობილი იყო, თვითეულის მიერ მოწონებული და მიღებული იყო. აქ ჩვენ ვხედავთ მხოლოდ „შრომის“ თავისებურ „განაწილებას“ დანაშაულებრივ საქმიანობაში იმ სპეციალურ ღირსებათა და საშუალებათა მიხედვით, რომლებიც ბანდის თვითეული მონაწილის განკარგულებაში იყო. ეს სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერია ერთიანად მთელი შეთქმულობის ინტერესების თვალსაზრისით.

ამ საქმეში, ამხანაგო მოსამართლენო, ჩვენს თვალწინ არის შეთქმულთა ჯგუფი, უცხოეთის დაზვერვის აგენტურა, გაერთიანებული ყველა მისი წევრისათვის საერთო ნებისყოფით, ყველა მათთვის ერთი დანაშაულებრივი მიზნებით. ამა თუ იმ დამნაშავის მიერ ჩადენილი კონკრეტული ბოროტმოქმედებანი— ეს მხოლოდ კერძო შემთხვევებია ყველა ბრალდებულისათვის ამ ერთიანი დანაშაულებრივი საქმიანობის მთლიანი გეგმისა.

დანაშაულებრივი საქმიანობის ეს ერთიანობა იურიდიულად გამოხატულია ყველა ბრალდებულის მიმართ წაყენებულ ბრალდებაში თანახმად რსფსრ სსკ. 58-11 მუხლისა.

მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ ყველამ ერთნაირად უნდა აგოს პასუხი, ეს არ გამორიცხავს სასამართლოს ვალდებულებას მოახდინოს ინდივიდუალიზირება სასჯელისა ამ საქმეში თვითეული ბრალდებულის კონკრეტული როლის მიხედვით.

ამ თვალსაზრისით მე ვთვლი, რომ ბრალდებულთა საერთო რიცხვიდან უნდა გამოიყოს ორი — რაკოვსკი და ბესონოვი. მე ასე ვთვლი, რომ რაკოვსკიმ, თუმცა მან უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ მთელი თავის მდგომარეობით ამ შეთქმულობაში, თავის, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ერთგვარი დაშორებულობით ყველა უმთავრესი ბოროტმოქმედებიდან, რომელიც ჩაიდინა „მემარჯვენე-ტროცკისტულმა ბლოკმა“, დაიმსახურა ის, რომ მის მიმართ გამოყენებულ იქნას სასჯელის უფრო ნაკლებად მკაცრი ზომა, ვიდრე დანარჩენი ბრალდებულების მიმართ.

იგივე შეიძლება ვთქვათ რამდენიმედ ბესონოვის შესახებაც. რომელიც რასაკვირველია, განირჩევა ჩერნოვისა, როზენგოლცისა, კრესტინსკისა და რიკოვისაგან, თუნდაც იმით, რომ მისი როლი განისაზღვრებოდა კავშირგამბმელის როლით, რაც თუმცა აგრეთვე დანაშაულებრივია, მაგრამ მთელი თავისი არსებით უფრო სხვანაირად უნდა შეფასდეს, ვიდრე დანაშაულებანი ძირითადი ბრალდებულებისა ამ საქმეში.

ამ პირების მიმართ მე შესაძლებლად მიმაჩნია გამოყენებულ იქნას 1937 წლის 2 ოქტომბრის კანონი, რომელიც უფლებას აძლევს სასამართლოს განსაკუთრებულ შემთხვევაში აირჩიოს სასჯელის საშუა-

(გაგრძელება იხ. მე-6 გვ.)

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" პროცესი

11—12 მარტის დილისა და საღამოს სხდომები

სსრ კავშირის პროკურორის სახელმწიფო ბრალმდებლის ამხ. ვიშინსკის სიტყვა. დამცველების ამხ. ბრაუდეს და კომოდოვის სიტყვები

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სხდომა 11 მარტს დღის 12 საათზე დაიწყო საერთო დაძაბული ყურადღების პირობებში. კავშირთა სახლის ოქტომბრის დარბაზი, სადაც ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, როგორც ყველა წინა დღეებში, გაჭედილია: პროცესს ესწრება 500-ზე მეტი კაცი—მუშებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები. კინოოპერატორები იღებენ სასამართლოს სხდომას კინოსათვის.

სასამართლოს სხდომის დასაწყისში თავმჯდომარე ულრიხი ეკითხება სახელმწიფო ბრალდებას, დაცვას, ბრალდებულებს, ხომ არა აქვთ მათ რაიმე განცხადება (გამოტოვებულია). მიიღო რა უარყოფითი პასუხი, თავმჯდომარე სასამართლო გამოძიებას დამთავრებულად აცხადებს და აძლევს სიტყვას სახელმწიფო ბრალმდებელს სსრ კავშირის პროკურორს ამხ. ვიშინსკის.

ამხ. ვიშინსკი ხუთი საათის განმავლობაში ამბობს ძლიერს, ბრწყინვალე სიტყვას, რომელიც შეიცავს საზიზღარი და სისხლიანი „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" საზარელ ბოროტმოქმედებათა გამანადგურებელ ანალიზს; ამ ბლოკის ავაზაკობის სიაშია: გაბოროტებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ კაპიტალიზმის აღდგენისათვის, სოციალისტური სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა უცხოეთის დაზვერვების დავალებით, მავნებლობა სოციალისტური მეურნეობის ყველა დარგში, მკვლელობა ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი საუკეთესო ადამიანებისა.

მიჰმართავს რა მსაჯულებს, ამხ. ვიშინსკი ამბობს:

— ჩვენი ხალხი და მთელი მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი თქვენს სამართლიან განაჩენს მოელის. დაე თქვენმა განაჩენმა დაიქუხოს მთელ ჩვენს დიდ ქვეყანაში, როგორც განგაშის ზარმა, რომელიც მოუწოდებს ახალი გმირობისათვის და ახალი გამარჯვებებისათვის. დაე, დაიქუხოს თქვენმა განაჩენმა, როგორც განმაახლებელმა და ყველაფრის გამწმენდმა საბჭოთა სამართლიანი სასჯელის გრგვინვამ.

მთელი ჩვენი ქვეყანა, დიდით პატარამდე ერთს მოელის და მოითხოვს: მურტალი ძაღლებივით დაიხვრიტონ ეს მოღალატეები და ჯაშუშები, რომლებიც მტერზე ჰყიდდნენ ჩვენს სამშობლოს!

ჩვენი ხალხი მოითხოვს ერთს — წყეული ქვეწარმავალის გასრესას!

გავა დრო და ნარი და ეკალი ამოვა საზიზღარი მოღალატეების საფლავზე, რომელსაც დაჰფარავს პატიოსანი საბჭოთა ადამიანების, მთელი საბჭოთა ხალხის სამუდამო ზიზღი.

ჩვენში კი, ჩვენს ბედნიერ სამშობლოში, კვლავინდებურად ბრწყინვალედ და სიხარულით იკაშკაშებს თავისი ელვარე სხივებით ჩვენი მზე. ჩვენი ხალხი კვლავინდებურად ივლის წინ და წინ წარსულის უკანასკნელი უწმინდურებისა და სისაძაგლისაგან გაწმენდილი გზით ჩვენი საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის—დიდი სტალინის მეთაურობით—წინ კომუნიზმისაკენ!

პროკურორი მოითხოვს ყველა ბრალდებულისათვის სასჯელის უმაღლეს ზომას, მხოლოდ გამოჰყოფს ბრალდებულთა რიცხვიდან ორს: რაკოვსკისა და ბესონოვს, რომელთა მიმართ ის შესაძლებლად სთვლის დაკმაყოფილდეს 25 წლის პატიმრობის მისჯით.

დამსწრენი პროკურორის მოთხოვნას ერთსულოვანი მოწონებით ხვდებიან, რომელსაც სასამართლოს სხდომის დარბაზს გარეთ მთელი დიდი საბჭოთა ხალხი იზიარებს.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 11 მარტის საღამოს სხდომაზე სიტყვა ეძლევა დამცველთა კოლეგიის წევრს ამხ. ბრაუდეს, რომელიც იცავს ბრალდებულ ლევინს.

დამცველის აზრით, ბრალდებული ლევინი მემარჯვენე-ტროცკისტული ბოროტმოქმედების შეთქმულობაში ჩაბმული იყო მხოლოდდამხოლოდ შანტაჟისა და დაშინების მეთოდებით. ლევინი ბურჟუაზიული ინტელიგენციის დამახასიათებელი მრავალრიცხოვანი უარყოფითი თვისებების მატარებელია. ავაზაკ იაგოდას რომ თავისი საძაგელი წინადადებით საბჭოთა ინტელიგენციის ნამდვილი წარმომადგენლებისათვის მიემართნა, ის ღირსეულ პასუხს მიიღებდა და მხილებულ იქნებოდა. იაგოდამ იცოდა, თუ ვისთვის მიემართნა. მაგრამ მან ლევინის „დამუშავებასაც" დიდი დრო მოანდომა, სანამ შესძლებდა გაეხადა ის თავის თანამონაწილედ: იაგოდამ ლევინის მიმართ დაშინებისა და შანტაჟის მეთოდებთან ერთად გამოიყენა აგრეთვე პირფერობისა და თავისებური მოხყიდვის მეთოდები.

დამცველი სთვლის, რომ ლევინის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებებში დამნაშავენი არიან პირველ რიგში „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" მეთაურები. ის შუამდგომლობს, რომ შეუნარჩუნონ სიცოცხლე მის კლიენტს.

დამცველთა კოლეგიის წევრი ამხ. კომოდოვი იცავს ბრალდებულებს პლეტნევს და კაზაკოვს.

დამცველი ლაპარაკობს ანტისაბჭოთა ბრძოლის დახელოვნებულ მეთოდებზე, რომელსაც იყენებენ ჩვენი სამშობლოს მტრები: ჯაშუშობაზე, მავნებლობაზე, ტერორზე. ფარულად თოფის გასროლიდან საბჭოთა ქვეყნის მტრები გადავიდნენ საბჭოთა მოღვაწეების მკვლელობაზე შეთქმულებაში ჩაბმული ექიმების ხელით. ეს ყველაზე უფრო ვერაგული და სასტიკი ხერხია მკვლელობისა, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის შეგნებას და რამაც ამიტომ განსაკუთრებული სიძლიერით შეარყია საზოგადოებრივი აზრი.

დამცველი სთვლის, რომ პლეტნევი და კაზაკოვი ასეთი საზარელი ბოროტმოქმედების გზას დაადგნენ იაგოდას მუქარის ზეგავლენით. ეყრდნობა რა იმას, რომ სახელმწიფო ბრალმდებელმა შესაძლებლად დაინახა სხვადასხვა მიდგომის გამოყენება ბრალდებულების მიმართ, დამცველი ამხ. კომოდოვი სთხოვს სასამართლოს, რათა შენარჩუნებულ იქნას მისი კლიენტების სიცოცხლე.

თავმჯდომარე ამხ. ულრიხი ეკითხება სხვა ბრალდებულებს, სურთ თუ არა მათ ისარგებლონ თავდასაცავი სიტყვით. ყველა ისინი უარს ამბობენ თავდასაცავ სიტყვაზე.

შემდეგ სასამართლომ მოისმინა ბრალდებულების ბესონოვის, გრინკოს და ჩერნოვის უკანასკნელი სიტყვები.

სასამართლოს შემდეგი სხდომა—12 მარტს დილის 11 საათზე.

ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვის დასასრული

ლო ზომა 10 წლით თავისუფლების აღკვეთასა და სოციალური თავდაცვის უმაღლეს ზომას შორის. მე ვთვლი, რომ რაკოვსკისა და ბესონოვის მიმართ შესაძლებელია დავკმაყოფილდეთ 25 წლის ციხეში პატიმრობით.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით ყველა ბრალდებული მხილებულია იმაში, რომ 1932-33 წლებში მათ უცხო სახელმწიფოების დაზვერვათა დავალებით შეადგინეს შეთქმულობითი ჯგუფი „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" სახელწოდებით, რომელმაც მიზნად დაისახა იმ ბოროტმოქმედებათა ჩადენა, რომლებიც აქ სავსებით დამტკიცებულია.

დამტკიცებულია, რომ ეს ბლოკი შესდგებოდა უცხოეთის ზოგიერთი სახელმწიფოს დაზვერვათა აგენტებისაგან. დამტკიცებულია, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტულ ბლოკს" სისტემატური უკანონო ურთიერთობა ჰქონდა უცხოეთის ზოგიერთ სახელმწიფოსთან იმისათვის, რომ მიეღო მათგან დახმარება თავისი დანაშაულობრივი განზრახვების განსახორციელებლად, საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად და სსრ კავშირში მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლების დასამყარებლად.

დამტკიცებულია, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი" სისტემატურად ეწეოდა შპიონაჟს ამ სახელმწიფოთა სასარგებლოდ, ამარაგებდა რა მათს დაზვერვებს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საიდუმლო მასალებით.

დამტკიცებულია, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი" ამავე მიზნით სისტემატურად ანხორციელებდა მავნებლურ და დივერსიულ აქტებს ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში,—მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ფინანსების, კომუნალური მეურნეობის დარგში, რკინიგზებზე და ა. შ.

დამტკიცებულია, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტულმა ბლოკმა" მოაწყო მთელი რიგი ტერორისტული აქტები საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ, რომ ამ „მემარჯვენე-ტროცკისტულმა ბლოკმა" განახორციელა ტერორისტული აქტები ს. მ. კიროვის, ვ. რ. მენჟინსკის, ვ. ვ. კუიბიშევის, ა. მ. გორკის წინააღმდეგ, აგრეთვე განახორციელა მ. ა. პეშკოვის მკვლელობა.

დამტკიცებულია, რომ ბლოკმა მოაწყო, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ვერ მოასწრო განეხორციელებინა მთელი რიგი ტერორისტული აქტები ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ.

ასეთია ამ საქმის გარემოებანი. ასეთია ამ საქმეში როლი თვითეული ბრალდებულისა, რომლებიც ახლა, ამხანაგო მოსამართლენო, თქვენს განაჩენს ელიან.

დასკვნა

სიტყვები არ გვყოფნის, რომ დავასურათოთ ბრალდებულების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა საშინელება. მაგრამ განა ამისათვის, გეკითხებით, კიდევ საჭიროა რაღაცა სიტყვები? არა, ამხანაგო მოსამართლენო, ეს სიტყვები საჭირო არ არის. ყველა სიტყვა უკვე ნათქვამია, ყველაფერი გარჩეულია უწვრილმანეს დეტალებამდე. ხალხი ახლა ხომ ხედავს, თუ რას წარმოადგენენ ეს საზარელი მხეცები.

ჩვენი ხალხი და მთელი მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი ელიან თქვენს სამართლიან განაჩენს. დეე, თქვენმა განაჩენმა მთელს ჩვენს დიად ქვეყანაში დაიგრგვინოს, როგორც ნაღარამ, რომელიც მოგვიწოდებს ახალი საგმირო საქმეებისაკენ და ახალი გამარჯვებებისაკენ! დეე, თქვენმა განაჩენმა დაიგრგვინოს, როგორც მაცოცხლებელმა და ყოვლისგამწმენდმა ჭექა-ქუხილმა სამართლიანი საბჭოთა სასჯელისამ!

მთელი ჩვენი ქვეყანა, დიდით პატარამდე, ელის და მოითხოვს ერთ რამეს: მოღალატეები და ჯაშუშები, რომლებიც მტრებზე ჰყიდდნენ ჩვენს სამშობლოს, დახვრეტილ იქნან, როგორც უწმინდური ქოფაკები!

ჩვენი ხალხი მოითხოვს ერთ რამეს: გასრისეთ წყეული ქვეწარმავალი! გავა დრო. ნარი და ეკალი ამოვა მოღალატეთა საფლავზე, რომელსაც დაჰფარავს მთელი საბჭოთა ხალხის მარადიული ზიზღი.

ჩვენს თავზე კი, ჩვენი ბედნიერი ქვეყნის თავზე წინანდებურად ნათლად და სასიხარულოდ იელვარებს ჩვენი მზე თავისი ნათელი სხივებით. ჩვენ, ჩვენი ხალხი, წინანდებურად ვივლით წარსულის უკანასკნელი სიბინძურისა და სიბილწისაგან გასუფთავებული გზით, ჩვენი საყვარელი ბელადის და მასწავლებლის დიდი სტალინის მეთაურობით—წინ და წინ, კომუნიზმისაკენ!

ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები

11 მარტს საღამოს, 12 მარტს დილით და საღამოს ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" პროცესზე მოსმენილ იქნა ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები. ერთიმეორეზე მიდიოდნენ მოაჯირთან გამომჟღავნებული და მხილებათა სიმძიმით გასრესილი ბოროტმოქმედნი და დამნაშავედ სცნობდნენ თავს უმძიმეს ბოროტმოქმედებებში, სამშობლოს ღალატში.

ბრალდებულმა **ბესონოვმა** აღნიშნა, რომ იგი იყო შუამავალი იმ დანაშაულობრივ მოლაპარაკებაში, რომელსაც „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკი" აწარმოებდა გერმანიის ფაშისტურ წრეებთან. ამ მოლაპარაკებაში სრულად გამოიხატა მემარჯვენე ტროცკისტ შეთქმულთა თანამშრომლობა საზღვარგარეთულ ფაშიზმთან და თეთრგვარდიელებთან. მოლაპარაკების მონაწილე ორივე მხარე მიზნად ისახავდა ანტისაბჭოთა ომის მოწყობას და სსრ კავშირის დანაწილებას.

შემდეგ ბესონოვი მოუთხრობს სასამართლოს, თუ როგორ ებრძოდა იგი სასამართლო გამოძიებას თავისი დაპატიმრებიდან 10 თვის განმავლობაში, არ ტყდებოდა და არ აღიარებდა იმ როლს, რომელსაც იგი შეთქმულებაში თამაშობდა. ბესონოვი თავის დანაშაულებრივ მოქმედებათა აღიარების გზას დაადგა მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი მხილებულ იქნა.

ბრალდებული **გრინკო** ამბობს:

— მე უმაღლესი სასამართლოს წინაშე ვდგევარ, როგორც სამშობლოს მოღალატე, როგორც აქტიური მონაწილე მემარჯვენე - ტროცკისტული შეთქმულებისა სსრ კავშირში გამარჯვებული სოციალიზმის წინააღმდეგ, როგორც კაპიტალიზმის მოკავშირე და აგენტი, როგორც სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენი, რომელიც ცდილობდა ომის მომზადებასა და სსრ კავშირის დანაწილებაზე ფაშიზმის სასარგებლოდ, აღმართა თავისი ხელი ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანთა მკვლელობის მოსამზადებლად.

გრინკო ჩერდება უკრაინის ნაციონალ-ფაშისტთა დანაშაულობაზე, რომლებიც, როგორც „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის", ისე ფაშისტურ დაზვერვათა დავალებებით ძირს უთხრიდნენ სსრ კავშირის დასავლეთის საზღვრებს. გრინკომ აღიარა, რომ ორი წლის განმავლობაში იცოდა წითელ არმიაში არსებული შეთქმულების ამბავი, რომ მან იცოდა იმ ტერორისტულ ჯგუფთა საქმიანობის ამბავი, რომლებიც უთვალთვალებდნენ ამხანაგ სტალინსა და ამხანაგ ეჟოვს. გრინკო აღნიშნავს, რომ მან ბოროტად გამოიყენა პარტიისა და ქვეყნის ნდობა, რომლებმაც იგი სახელმწიფოს მაღალ პოსტზე დააყენეს.

„მე მაქვს ერთი სურვილი: ჩემი დღეების თუ საათების უკანასკნელ წუთებს, რა რიგ ცოტა უნდა იყოს ისინი,—ამბობს გრინკო,—მე მინდა ვიცოცხლო და მოვკვდე არა როგორც საბჭოთა ხელისუფლების ტყვეობაში მყოფი მტერი, არამედ როგორც სსრ კავშირის მოქალაქე, რომელმაც ჩაიდინა სამშობლოს ღალატი, მაგრამ მოინანია".

ბრალდებული **ჩერნოვი** აცხადებს:

— მე სოციალისტური სამშობლოს მოღალატე ვარ, მე ვყიდდი სამშობლოს ინტერესებს. მე ვარ გერმანიის დაზვერვის ჯაშუში, მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის აქტიური მონაწილე, მავნებლობისა და დივერსიების ორგანიზატორი, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" აქტიური მონაწილე.

ჩერნოვი ჩამოსთვლის თავის დანაშაულობებს შპიონაჟის, მავნებლობის, დივერსიების დარგში. იგი აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობაში მის დივერსიულ და მავნებლურ მუშაობას „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" სახელით ხელმძღვანელობდა რიკოვი. იგი აღიარებს, რომ ეს ბლოკი იყო „გამხეცებულ მოხელეთა ბანდა", რომელსაც არავითარი ფესვები არ ჰქონდა მოსახლეობაში. ჩერნოვი სთხოვს სასამართლოს შეუნარჩუნოს მას სიცოცხლე.

ბრალდებული **ივანოვი** მოუთხრობს სასამართლოს მის მიერ განვლილი სამარცხვინო გზის შესახებ, რომელიც მეფის ოხრანკაში დაიწყო და „მემარჯვენე - ტროცკისტულ ბლოკში" დამთავრდა. შემდეგ ივანოვი აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების თავის დანაშაულობებს იგი სჩადიოდა „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" მეთაურის ბუხარინის უშუალო ხელმძღვანელობით. ივანოვი უსარგებლოდ სთვლის ბუხარინის ცდას მოგვაჩვენოს თავი „თეორეტიკოსად", რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია პრაქტიკულ კონტრრევოლუციურ მუშაობაში. ივანოვი სთხოვს პროლეტარულ სასამართლოს შეუნარჩუნოს მას სიცოცხლე.

ბრალდებული **კრესტინსკი** თავის უკანასკნელ სიტყვას იწყებს თავისი წინანდელ დამსახურებათა აღნიშვნით. შემდეგ იგი გადმოგვცემს თავისი ბრძოლის ისტორიას, რომელსაც პარტიის წინააღმდეგ აწარმოებდა ტროცკის ხელმძღვანელობით, თავისი კავშირურთიერთობის ისტორიას გერმანიის რეიხსვერთან, ხოლო შემდეგ კი—გერმანიის ფაშისტებთან.

დანაშაულობის შემამსუბუქებელ გარემოებად კრესტინსკი სთვლის იმას, რომ იგი თითქოს არ იცნობდა „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" დანაშაულობრივი საქმიანობის ყველა მხარეს, რომ მან თითქოს არაფერი იცოდა ბლოკის მონაწილეების მიერ შესრულებული ტერორისტული აქტების შესახებ, აგრეთვე არ მიუღია უშუალო მონაწილეობა დივერსიულ და მავნებლურ მოქმედებაში. თავის საქციელს სასამართლო პროცესის პირველ დღეს, როდესაც იგი უარჰყოფდა თავის წინანდელ ჩვენებებს, კრესტინსკი იმით ხსნის, რომ მისთვის ძნელი იყო მძიმე დანაშაულობათა აღიარება მსოფლიოს წინაშე. იგი ითხოვს შეუნარჩუნონ მას სიცოცხლე.

ბრალდებული **ზუბარევი** მოკლედ ჩამოსთვლის თავის ჩადენილ ბოროტმოქმედებებს. სთვლის რა სასჯელის უმაღლეს ზომას დამსახურებულ სასჯელად, იგი მაინც სთხოვს სასამართლოს შეუმსუბუქოს მას განაჩენი.

ბრალდებული **რიკოვი** ამბობს:

— მე ჩავიდინე უაღრესად მძიმე სახელმწიფო დანაშაულობანი. მე ვუღალატე სამშობლოს. ეს ღალატი გამოიხატა საბჭოების მოსისხლე მტრებთან კავშირურთიერთობით, გამოიხატა სსრ კავშირის დამარცხებისაკენ აღებული გეზით. თავის ბრძოლაში „მემარჯვენე-ტროცკისტულმა ბლოკმა" გამოიყენა მთელი არსენალი იმ საშუალებათა, რომლებიც კი ოდესმე გამოუყენებიათ შეთქმულთა ორგანიზაციებს. მთელ ამ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მე მეორეხარისხოვანი პირი როდი ვიყავი. ამიტომ ყოველივე ამისათვის მე სასტიკად უნდა ვაგო პასუხი.

შემდეგ რიკოვი აღნიშნავს თავის მონაწილეობას სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაში. აღიარებს რა თავის როლს „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" იმ გეზის შემუშავებაში, რომელიც ტერორისაკენ იყო აღებული, იგი უარჰყოფს უშუალო მონაწილეობას კიროვის, კუიბიშევის, მენჟინსკის, გორკის, პეშკოვის მოკვლის შესახებ გადაწყვეტილებათა გამოტანაში.

რიკოვი აღნიშნავს ბუხარინის აქტიურ როლს „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" ძირგამომთხრელი მუშაობის უკლებლივ ყველა დარგში. თავის სიტყვას რიკოვი ამთავრებს იმით, რომ მიმართავს თავის იმ ყოფილ თანამზრახველებს, რომლებიც ჯერ კიდევ გამოუმჟღავნებელი დარჩნენ. იგი მოუწოდებს მათ დაეხმარონ მთავრობას კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ნაშთების ამოჩენაში, თუ ასეთები კიდევ სადმე დარჩნენ.

ბრალდებული **შარანგოვიჩი** თავის უკანასკნელ სიტყვაში ერთხელ კიდევ ჩამოსთვლის თავის დანაშაულობებს საბჭოთა ქვეყნის წინაშე: შპიონაჟს პოლონეთის გენერალური შტაბის სასარგებლოდ 1921 წლიდან, ნაციონალ - ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელობას ბელორუსიაში, ტერორისტული აქტების მოწყობას პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

ბრალდებული **ხოჯაევი** აგრეთვე აღიარებს თავის მძიმე დანაშაულობებს. იგი აღნიშნავს, რომ ხალხის მტრების ძირგამომთხრელი მუშაობის მიუხედავად, საბჭოთა უზბეკეთმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია. იგი აცხადებს, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" გამარჯვება გამოიწვევდა ფეოდალურ - კაპიტალისტურ ურთიერთობათა რესტავრაციას უზბეკეთში, უზბეკ მუშათა და გლეხთა მასების დამონებას. ხოჯაევი ამბობს, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" განადგურება სავსებით უპასუხებს სსრ კავშირის ხალხების ინტერესებს, მათ შორის უზბეკეთის ხალხის ინტერესებსაც. აცხადებს რა, რომ მას არ მიუღია მონაწილეობა შპიონაჟსა და მკვლელობაში, ხოჯაევი სთხოვს სასამართლოს შეუნარჩუნოს მას სიცოცხლე.

ბრალდებული **ზელენსკი** აღიარებს თავის სამსახურს მეფის ოხრანკაში და თავის მთელ რიგ კოშმარულ დანაშაულობებს. ამავე დროს ზელენსკი ამტკიცებს, რომ არ მიუღია მონაწილეობა მთელ რიგ დანაშაულობებში, რომლებიც „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" პროცესზე გამომჟღავნდა, კერძოდ, სამხედრო გადატრიალების მომზადებაში, უცხოეთის დაზვერვებთან კავშირურთიერთობასა და ტერორისტულ აქტებში.

ბრალდებული **იკრამოვი** აცხადებს, რომ როგორც „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" აქტიური მონაწილე, იგი პასუხისმგებელია უკანასკნელის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულობისათვის. იკრამოვი ამბობს, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი" კოლონიურ დამოკიდებულებას უმზადებდა უზბეკეთის ხალხს.

— ჩვენი გზა იყო უზბეკეთის ხალხის ჩაგვრის გზა, დამონების გზა, — აღიარებს იგი. — ნაციონალისტებს უნდოდათ მუშათა და გლეხთა სისხლში ჩაეღრჩოთ უზბეკეთი.

ისე როგორც დანარჩენი ბრალდებულები, იკრამოვი შუამდგომლობს საბჭოთა სასამართლოს წინაშე, რათა შეუნარჩუნოს მას სიცოცხლე.

ლაპარაკობს რა თავის მონანიებაზე, ბრალდებული **რაკოვსკი** ამბობს: — მე ორმაგი ჯაშუში ვარ, იაპონიისა და ინგლისისა.

რაკოვსკი გამოსთქვამს მწუხარებას, რომ საბრალდებულო სკამზე არ ზის ტროცკი — მემარჯვენე ტროცკისტ ბანდიტთა მეთაური. ლაპარაკობს რა ტროცკისტთა დანაშაულობებზე, იგი აღნიშნავს, რომ ისინი მუდამ უცხო სხეული იყვნენ ბოლშევიკური პარტიის ორგანიზმში. თვითონ რაკოვსკი, სანამ იგი ბოლშევიკების პარტიაში შევიდოდა, 25 წელზე მეტი იყო II ინტერნაციონალის რიგებში და, მისი საკუთარი სიტყვებით, დაავადებული იყო ამ უკანასკნელის ოპორტუნიზმით. ბოლშევიკურ პარტიაში შესვლის პირველი დღეებიდანვე ტროცკისტები იბრძოდნენ საკ. კ.პ.(ბ) ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ამ გზამ მიიყვანა ისინი სამშობლოს ღალატამდე, შპიონაჟამდე, ტერორისტული აქტების მოწყობამდე, კონტრრევოლუციური აჯანყების მომზადებამდე.

მოაგონებს რა, რომ პროკურორმა შესაძლოდ დაინახა დაკმაყოფილებულიყო მის მიმართ ხანგრძლივი პატიმრობის მოთხოვნით, რაკოვსკი მიუთითებს თავის მოხუცებულობაზე და შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს შეუმციროს ამ პატიმრობის ვადა.

ბრალდებული **როზენგოლცი** ლაპარაკობს თავის წარსულ დამსახურებაზე. შემდეგ აძლევს რა დახასიათებას ტროცკიზმს, ის ტროცკის უწოდებს „ფაშიზმის ყველაზე უფრო ბინძურ აგენტს" და აცხადებს: —ტროცკიზმი ეს მკვლელების, ჯაშუშების, პროვოკატორების, მომწამვლელების ბინძური ბანდაა, ეს კაპიტალიზმის ხელისშემწყობთა ბინძური ბანდაა.

ბრალდებული **ბუხარინი** აღიარებს მთელ რიგ თავის ჩადენილ ბოროტმოქმედებას, მათ შორის მონაწილეობას „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" ცენტრში, სამშობლოს ღალატს, კულაკურ აჯანყების ორგანიზაციას, ტერორისტული აქტების მომზადებას, სახელმწიფო გადატრიალების მომზადებას, შეთქმულების პორაჟენცული გეზის შემუშავებას, სსრკ დანაწილების ავაზაკური გეგმის შემუშავებას. ამავე დროს იგი ეკამათება პროკურორს მის წინააღმდეგ წაყენებულ ზოგიერთ ბრალდებებზე.

ბუხარინი უარჰყოფს თავის კავშირს უცხოეთის დაზვერვებთან. მიმართავს რა ხრიკებს, ის არწმუნებს სასამართლოს, რომ არასოდეს არ ცდილა მოეწყო ჯაშუშობა და მავნებლური აქტები.

ამ ადგილას ბუხარინს აწყვეტინებს შარანგოვიჩი, რომელმაც ვერ შესძლო თავის შეკავება, ის წამოხტება ადგილიდან და უყვირის მას:

— თავი გაანებეთ სიცრუეს ერთხელ მაინც თქვენს სიცოცხლეში. თქვენ ახლაც სტყუით სასამართლოს წინაშე!

სრულებით წარბშეუხრელად, ბუხარინი განაგრძობს იმ ცხადი ფაქტების უარჰყოფას, რომლებიც ეჭვმიუტანელად დამტკიცებულია სასამართლოს გამოძიების მსვლელობაში. ის უარჰყოფს თავის მონაწილეობას კიროვის, მენჟინსკის, გორკის და მაქსიმ პეშკოვის მკვლელობაში.

და მხოლოდ თავისი უკანასკნელი სიტყვის ბოლოში ბუხარინი გამოსთქვამს მონანიებას, ირწმუნება რა, რომ ის „მუხლმოდრეკილი სდგას ქვეყნის წინაშე, პარტიის წინაშე, ხალხის წინაშე".

ბრალდებული **ლევინი** სთხოვს საბჭოთა სასამართლოს მისთვის სიცოცხლის შენარჩუნებას. ლაპარაკობს რა თავის ჩადენილ გორკის მკვლელობაზე, ლევინი თავს ნებას აძლევს და უადგილოდ ირწმუნება თავის „მხურვალე სიყვარულის შესახებ" ჩადენილი მკვლელობის მსხვერპლის მიმართ.

თავმჯდომარე ამხ. ულრიხი იძულებულია მიმართოს მას სიტყვებით:

— არ შეიძლება თავი შეიკავოთ შებილწვისაგან!

ბრალდებული **ბულანოვი** ლაპარაკობს, რომ იაგოდამ აიძულა ხალხის მტრად გამხდარიყო იგი. ის ამტკიცებს, რომ მხოლოდ სასამართლოში ცხადი შეიქნა მისთვის ნამდვილი ფიზიონომია „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" წინამძღოლებისა.

— გთხოვთ დამიჯეროთ,—ლაპარაკობს იგი, — რომ განსაკუთრებით ძნელია გამოესალმო სიცოცხლეს იმ შეგნებით, რომ შენ კვდები უმართებულო საქმისათვის, რომ ესალმები სიცოცხლეს იმ ხალხის გულისათვის, რომლის ფიზიონომია ცხადია მთელი მსოფლიოსათვის და, სამწუხაროდ, გვიან, მაგრამ ჩემთვისაც ცხადი შეიქნა.

ბრალდებული **იაგოდა** აღიარებს თავის ავაზაკურ ბოროტმოქმედებებს, ამავე დროს ცდილობს უარჰყოს კავშირი უცხოეთის დაზვერვებთან და თანამონაწილეობა ს. მ. კიროვის მკვლელობაში. აღნიშნავს რა, რომ საბჭოთა ხალხმა დაამსხვრია და მოსპო კონტრრევოლუციური მემარჯვენე - ტროცკისტული შეთქმულება, ის მიმართავს სასამართლოს თხოვნით აპატიონ მას და შეუნარჩუნონ სიცოცხლე.

ბრალდებული **კრიუჩკოვი** ლაპარაკობს თავის როლის შესახებ გორკის მკვლელობაში:

— მე განვიცდი მწვავე სირცხვილის გრძნობას,—უმატებს კრიუჩკოვი,—განსაკუთრებით აქ სასამართლოს წინაშე, როცა მე გავიგე და მივხვდი მემარჯვენე-ტროცკისტული ბანდის ბოროტმოქმედებათა მთელ კონტრრევოლუციურ საძაგლობას, რომელშიაც მე დაქირავებული მკვლელი ვიყავი. მე გთხოვთ, მოქალაქე მოსამართლენო, განაჩენის შემსუბუქებას.

ბრალდებული **პლეტნევი** არწმუნებს სასამართლოს, რომ ის ინანიებს თავის დანაშაულობრივ მოქმედებას. „თუ სასამართლომ შესაძლებლად დაინახა შემინარჩუნოს მე სიცოცხლე,—ლაპარაკობს ის,—მე სავსებით და მთლიანად შევწირავ სიცოცხლეს ჩემს საბჭოთა სამშობლოს".

ამნაირივე სულისკვეთებით ლაპარაკობს ბრალდებული **კაზაკოვი**, რომელიც თავის უკანასკნელ სიტყვას ასეთი განცხადებით ამთავრებს:

— მე დავიმსახურე უმკაცრესი სასჯელი, და თუ სასამართლო ასე გადასწყვეტს, მე მივიღებ ამ გადაწყვეტილებას როგორც მართებულს. თუ მე მომეცა საშუალება მუშაობისა, მაშინ მთელ ჩემ შემდგომ სიცოცხლეში ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩამოვირეცხო ეს შერცხვენა რომლითაც დადაღული ვარ და გამოვასწორო ჩემი ბოროტმოქმედება პატიოსანი და შეუდრეკელი შრომით.

ყველაზე ბოლოს ლაპარაკობს ბრალდებული **მაქსიმოვ-დიკოვსკი**. ის მიუთითებს იმ გარემოებას, რომ ხელისშემწყობ როლს ასრულებდა მემარჯვენე-ტროცკისტულ შეთქმულებაში და რომ 1935 წლიდან გასწყვიტა ორგანიზაციული კავშირი შეთქმულებთან. ის ლაპარაკობს, რომ მხოლოდ სასამართლოში მისთვის ცხადი შეიქნა მთელი მოცულობით ჭეშმარიტი ხასიათი დანაშაულობრივი შეთქმულობისა. „მე გთხოვთ დამიჯეროთ იმაში, რომ მე არა ვარ გაუსწორებელი ადამიანი",—აცხადებს ის, შუამდგომლობს რა სასამართლოს წინაშე მისთვის სიცოცხლის შენარჩუნებას. (საქდესი)

პროცესის უკანასკნელი დღე

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 12 მარტის სხდომა გაიხსნა დილის 11 საათზე. სასამართლომ მოისმინა ბრალდებულთა უკანასკნელი სიტყვები.

დღის დასვენებამდე სასამართლომ მოისმინა შემდეგი ბრალდებულების უკანასკნელი სიტყვები: ივანოვისა, კრესტინსკისა, ზუბარევისა, რიკოვისა, შარანგოვიჩისა, ხოჯაევისა, ზელენსკისა, იკრამოვისა, რაკოვსკისა, როზენგოლცისა.

საღამოს სხდომაზე სასამართლომ მოისმინა შემდეგი ბრალდებულების უკანასკნელი სიტყვები: ბუხარინისა, ლევინისა, ბულანოვისა, იაგოდასი, კრიუჩკოვის, პლეტნევის, კაზაკოვისა და მაქსიმოვ-დიკოვსკის.

21 საათსა და 25 წუთზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია მიდის სათათბირო ოთახში განაჩენის გამოსატანად.

* * *

13 მარტს დილის 4 საათზე თავმჯდომარემ—სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარემ არმიის სამხედრო იურისტმა ამხ. ვ. ვ. ულრიხმა გამოაქვეყნა სამხედრო კოლეგიის განაჩენი. (საქდესი).

შემფოთებული მდგომარეობა ავსტრიაში

ჰიტლერელები იმუქრებიან, რომ პლებისციტის დღეს სისხლისმღვრელ არეულობას მოაწყობენ

ლონდონი, 11 მარტი (საქდესი). ინგლისის გაზეთები ათავსებენ თავისი კორესპონდენტების დაწვრილებით ცნობებს ავსტრიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. რეიტერის სააგენტოს ვენელი კორესპონდენტი სწერს: ჰიტლერელები აშკარად იმუქრებიან, რომ სისხლისმღვრელ არეულობას მოაწყობენ პლებისციტის დღეს, რაც ჰიტლერისათვის საბაბი იქნება იმისათვის, რომ გერმანული ჯარები დასძრას ავსტრიის წინააღმდეგ. კორესპონდენტი იტყობინება იმ მოთხოვნილებათა დეტალებს, რომლებიც ზეის-ინკვარტმა წარუდგინა გუშინ შუშნიგს. ეს მოთხოვნილებები ასეთია: პლებისციტი გადაიდოს, დაუყოვნებლივ მიეცეს ჰიტლერელებს ადგილები პროვინციალურ მთავრობებში, დაინიშნოს ჰიტლერელთაგან კონტროლიორები საარჩევნო ყუთებთან პლებისციტის დროს და მიღებულ იქნას შუშნიგის მიერ გარკვეული ღონისძიებანი ჰიტლერელების „დასამშვიდებლად".

გაზეთ „ტაიმსის" ვენელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ სატახტო ქალაქის რამოდენიმე რაიონში მოხდა სერიოზული შეტაკებანი და ჰიტლერელების თავდასხმა ებრაელებზე და მათ სახლებზე.

გაზეთ „დეილი ჰერალდის" ვენელი კორესპონდენტის სიტყვით, შესაძლებელია, დღეს ვენაში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდეს.

ვენიდან გრაცში გაიგზავნა 60 საბარგო ავტომობილი ჯარით, ტანკები, მსუბუქი არტილერია და სამი ყუმბარმტყორცნი. გუშინ გრაცში გამეფებული იყო ჰიტლერელების სრული ტერორი. თავს ესხმოდნენ მუშებს, მთავრობის საიგიტაციო ავტომობილები კი გადააბრუნეს და დასწვეს.

კლეგენფურტში შეტაკება მოხდა 2.000 ჰიტლერელსა და ამავე რაოდენობის მუშებს შორის. მრავალი დაჭრილია. 10 კაცი დაპატიმრებულია. ლინცში ჰიტლერელებსა და „მამულიშვილთა ფრონტის" წევრებს შორის შეტაკების დროს სერიოზულად დაჭრილია 10 კაცი.

პლებისციტი გადადებულია

ლონდონი, 11 მარტი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს მიერ ვენიდან მიღებული ცნობით, ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ 13 მარტისათვის დანიშნული პლებისციტი გადადებულია.

ავსტრიის მთავრობის გადადგომა

ლონდონი, 11 მარტი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იტყობინება ვენიდან, ავსტრიის პრემიერმა თავის რადიო გამოსვლაში გამოაცხადა გადადგომის შესახებ. შუშნიგმა განაცხადა, რომ გერმანია თავის ულტიმატუმში ემუქრებოდა ავსტრიას სამხედრო თავდასხმით, თუ ის არ გადადგებოდა.

შუშნიგი და ავსტრიის მთავრობის სხვა წევრები დაპატიმრებული არიან ჰიტლერელების მიერ

ლონდონი, 12 მარტი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ვენელი კორესპონდენტის ცნობით, ავსტრიის კანცლერი შუშნიგი და ავსტრიის მთავრობის სხვა წევრები დაპატიმრებული არიან ჰიტლერელების მიერ.

ზეის-ინკვარტი ავსტრიის მთავრობის სათავეში

ვენა, 12 მარტი (საქდესი). ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ზეის-ინკვარტმა, რომელმაც ავსტრიის მთავრობის ხელმძღვანელობა იკისრა, 11 მარტს საღამოს რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც მან განაცხადა, რომ იგი ინარჩუნებს აგრეთვე შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრის პოსტს. „იმ ამბებთან დაკავშირებით რაც ხდება და განსაკუთრებით უახლოეს დროში მოსალოდნელ ამბებთან დაკავშირებით" ზეის-ინკვარტმა მოუწოდა ყველა ნაციონალისტ-სოციალისტსა და მათ საიერიშო რაზმებს ხელი შეუწყონ ავსტრიის დაპყრობაში ჰიტლერულ ხელისუფალთ, რაც ახლა იქმნება ყველგან ავსტრიაში, და აგრეთვე პოლიციას. ზეის-ინკვარტმა განსაკუთრებით მოითხოვა ყველა ხელისუფალთაგან, რათა ოდნავი წინააღმდეგობაც არ გაუწიონ ავსტრიაში მომავალ გერმანულ ჯარებს.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე ვ. ხატიაშვილი.

მისამართი, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სოფლ.-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24; პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 1457